

სსბასს 35 — კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

გამომცემლისაგან

წინამდებარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს) ძირითადად ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (ფასს) 10-ს, *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (სსბასსს) ამ გამოცემაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ფონდის ნებართვით, გამოყენებულია ამონარიდები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ (ფასს) 10-დან.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს ბასსს-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი, რომლის ასლები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უშუალოდ ფასს-ის საგამომცემლო დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: First Floor, 30 Cannon Street, London EC4M 6XH, United Kingdom.

ელ.ფოსტა: [publications@ifrs.org](mailto:publications@ifrs.org)

ვებ-გვერდი: [www.ifrs.org](http://www.ifrs.org)

ფასს-ები, ბასს-ები, განსახილველი პროექტები და ბასსს-ის სხვა გამოცემები დაცულია ფასს-ის ფონდის საავტორო უფლებით.

“IFRS,” “IAS,” “IASB,” “IFRS Foundation,” “International Accounting Standards,” და “International Financial Reporting Standards” ფასს-ების ფონდის სავაჭრო ნიშნებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული, ფასს-ების ფონდის თანხმობის გარეშე.

## სსბასს 35—კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

### სსბასს-ის ისტორია

*წინამდებარე ვერსია მოიცავს 2018 წლის 31 იანვრამდე გამოცემული სსბასს-ებით გამოწვეულ ცვლილებებს.*

სსბასს 35, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოცემულია 2015 წლის იანვარში.

მას შემდეგ, სსბასს-ში ცვლილებები შევიდა შემდეგი სსბასს-ების შესაბამისად:

- სსბასს 40 საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები (2017 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს 39, დაქირავებულთა სარგებელი (2016 წლის ივლისის გამოცემა)
- სსბასს-ების გამოყენება (2016 წლის აპრილის გამოცემა)

### სსბასს 35-ში შეცვლილი პუნქტების ცხრილი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
4	შეცვლილია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
6	შეცვლილია	სსბასს 39, 2016 წლის ივლისი
8	შეცვლილია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
11	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
12	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
13	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი

40	შესწორებულია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
52	შესწორებულია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
55ა	დამატებულია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
56	შესწორებულია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
57	შესწორებულია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
63	შესწორებულია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
79ა	დამატებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
79ბ	დამატებულია	სსბასს 39, 2016 წლის ივლისი
79გ	დამატებულია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
79დ	დამატებულია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი

სსბასს 35—კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

პუნქტი	
მიზანი .....	1–2
მოქმედების სფერო .....	3–13
საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანება .....	4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წადგენა .....	5–10
სახელმწიფო კომერციული საწარმოები .....	11–13
განმარტებები .....	14–17
სავალდებულო შეთანხმება.....	15
ეკონომიკური ერთეული .....	16–17
კონტროლი .....	18–37
უფლებამოსილება.....	23–29
სარგებელი.....	30–34
უფლებამოსილებასა და სარგებელს შორის კავშირი .....	35–37
ბუღალტრული აღრიცხვის წესები .....	38–55
კონსოლიდაციის პროცედურები .....	40
ერთიანი სააღრიცხო პოლიტიკა .....	41
შეფასება .....	42
ხმის მიცემის უფლება .....	43–45
ანგარიშგების თარიღი .....	46
უმცირესობის წილი .....	43–45
კონტროლის დაკარგვა .....	52–55
საინვესტიციო ერთეულები სამართლიანი ღირებულების მოთხოვნა	56–64
ერთეული არის თუ არა საინვესტიციო ერთეული, იმის დადგენა	59–60
მსჯელობა და დაშვებები .....	61–62
საინვესტიციო ერთეულის სტატუსის ცვლილების აღრიცხვა	63–64
გარდამავალი დებულებები .....	65–78

ძალაში შესვლის თარიღი .....	79–80
სსბასს 6 (2006 წლის დეკემბერი) -ის გაუქმება ან ჩანაცვლება .....	81
დანართი ა: მითითებები გამოყენებაზე	
დანართი ბ: ცვლილებები სხვა სსბასს-ებში	
დასკვნის საფუძვლები	
მითითებები დანერგვაზე	
საილუსტრაციო მაგალითები	
შედარება სსბასს 10-თან	

---

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 35, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოცემულია 1-81 პუნქტებში. ყველა პუნქტს თანაბარი ძალა აქვს. სსბასს 35 გააზრებული უნდა იქნას მისი მიზნის, დასკვნის საფუძვლის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის წინასიტყვაობისა და საჯარო სექტორის ერთეულებისთვის ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების კონტექსტში. სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები-იძლევა სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების საფუძვლებს ზუსტი მითითებების არარსებობის შემთხვევაში.

## მოქმედების სფერო

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია დაადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მომზადების პრინციპები როდესაც ერთეული აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა ერთეულს.
2. 1-ელ პუნქტში მოცემული მიზნის მისაღწევად, წინამდებარე სტანდარტი:
  - (ა) თხოვს ერთეულს (მაკონტროლებელ ერთეულს), რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა ერთეულს (კონტროლირებულ ერთეულს) წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
  - (ბ) განსაზღვრავს კონტროლის პრინციპს და ადგენს კონტროლს, როგორც კონსოლიდაციის საფუძველს;
  - (გ) განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული კონტროლის პრინციპი იმის დასადგენად, აკონტროლებს თუ არა ერთეული სხვა ერთეულს და, შესაბამისად, უნდა მოახდინოს თუ არა ერთეულმა მისი კონსოლიდაცია;
  - (დ) ადგენს ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის; და
  - (ე) განსაზღვრავს საინვესტიციო ერთეულს და ადგენს გამონაკლისს საინვესტიციო ერთეულის ცალკეული კონტროლირებული ერთეულების კონსოლიდაციისთვის.

## მოქმედების სფერო

3. ერთეულმა, რომელიც ამზადებს და წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, უნდა გამოიყენოს ეს სტანდარტი ეკონომიკური ერთეულის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და წარდგენისას.

### საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები

4. წინამდებარე სტანდარტი არ ეხება საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებებთან დაკავშირებულ ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს და მათ გავლენას კონსოლიდაციაზე, მათ შორის საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ გუდვილს (იხ. სსბასს 40, *საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები*).

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

5. ერთეულმა, რომელიც წარმოადგენს მაკონტროლებელ ერთეულს, უნდა წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. წინამდებარე სტანდარტი ვრცელდება ყველა ერთეულზე, გარდა იმ შემთხვევისა, რომ მაკონტროლებელ ერთეულს არ მოეთხოვება წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ იგი აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას.

(ა) ის არის თავად კონტროლირებული ერთეული და მომხმარებლების საინფორმაციო მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია მისი მაკონტროლებელი ერთეულის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებით, ხოლო ნაწილობრივ კონტროლირებული ერთეულის შემთხვევაში მისი ყველა სხვა მესაკუთრე, მათ შორის ისინიც, რომლებსაც სხვაგვარად არ აქვთ ხმის მიცემის უფლება, ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მაკონტროლებელი ერთეული არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ამის წინააღმდეგ არ წასულან;

(ბ) მაკონტროლებელი ერთეულის წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე (ადგილობრივი ან უცხოური საფონდო ბირჟა, ან არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მათ შორის, ადგილობრივი და რეგიონული ბაზრები);

(გ) მაკონტროლებელი ერთეული თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის; და

(დ) მისი საბოლოო ან ნებისმიერი შუალედური მაკონტროლებელი ერთეული ამზადებს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც კონტროლირებული ერთეულები ან კონსოლიდირებულია, ან შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.

6. მოცემული სტანდარტი არ ეხება დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებლების ან სხვა გრძელვადიანი სარგებლების პროგრამებს, რომლებზეც ვრცელდება სსბასს 39, *დაქირავებულთა სარგებელი*.

7. მაკონტროლებელმა ერთეულმა, რომელიც საინვესტიციო ერთეულს წარმოადგენს, არ ევალება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, თუ წინამდებარე სტანდარტის 56-ე პუნქტის შესაბამისად, მოითხოვება ყველა მისი კონტროლირებული ერთეულის



## **შეფასება სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით.**

8. კონტროლირებული ერთეული არ არის გამორიცხული კონსოლიდაციისგან, რადგან მისი საქმიანობა განსხვავდება ეკონომიკური ერთეულის ფარგლებში შემავალი სხვა ერთეულების საქმიანობისაგან, მაგალითად, საჯარო სექტორის კომერციული ერთეულების გაერთიანება საბიუჯეტო სექტორის ერთეულებთან. კონტროლირებული ერთეულების სხვადასხვა საქმიანობის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია ამგვარი კონტროლირებული ერთეულების კონსოლიდაციით და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებით. მაგალითად, სსპასს 18-ით, *სეგმენტის შესახებ ანგარიშგება*, მოთხოვნილი გამჟღავნებები ხელს უწყობს ეკონომიკურ ერთეულში სხვადასხვა საქმიანობის მნიშვნელობის ახსნას.
9. მე-5 პუნქტში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისგან განთავისუფლება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კონტროლირებული ერთეულის მომხმარებელთა ინფორმაციის მოთხოვნილებები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული მაკონტროლებელი ერთეულის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებით. მაგალითად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მთლიან სამთავრობო დონეზე შეიძლება არ აკმაყოფილებდეს მომხმარებლების ინფორმაციულ მოთხოვნილებებს მთავრობის მთავარ სექტორებთან ან საქმიანობებთან დაკავშირებით. მრავალ იურისდიქციაში კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები, რომლებიც გამიზნულია ამგვარი მომხმარებლების ინფორმაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.
10. შეიძლება ერთეულს მოეთხოვოს (მაგალითად, კანონმდებლობით, ან გარე მომხმარებლების მიერ) შეიმუშაოს ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომელიც განსხვავებული ეკონომიკური ერთეულისათვის არის განკუთვნილი, ვიდრე ამ სტანდარტითაა განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფინანსური ანგარიშგება არ შეესაბამება ამ სტანდარტის ფარგლებს და არ უნდა შეესატყვისებოდეს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებს, ერთეულს შეუძლია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის სახელმძღვანელო მითითებები ამგვარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

## **სახელმწიფო კომერციული საწარმოები**

11. [ამოღებულია]
12. [ამოღებულია]
13. [ამოღებულია]

## განმარტებები

14. წინამდებარე სტანდარტში მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

სარგებელი არის უპირატესობა, რომელსაც ერთეული იღებს სხვა ერთეულებთან მისი მონაწილეობით. სარგებელი შეიძლება იყოს ფინანსური ან არაფინანსური. ერთეულის სხვა ერთეულზე მონაწილეობის ფაქტობრივ გავლენას შეიძლება ჰქონდეს დადებითი ან უარყოფითი მხარეები.

სავალდებულო შეთანხმება: წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის, სავალდებულო შეთანხმება არის შეთანხმება, რომელიც ანიჭებს მას აღსრულებულ უფლებებსა და მოვალეობებს მასზე, როგორც ეს ხელშეკრულების ფორმითაა გათვალისწინებული. იგი მოიცავს ხელშეკრულებებს ან სხვა იურიდიულ უფლებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ეკონომიკური ერთეულის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მაკონტროლებელი ერთეულის და მისი კონტროლირებული ერთეულების აქტივები, ვალდებულებები, წმინდა აქტივები/კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების ნაკადები წარმოდგენილია როგორც ერთი ეკონომიკური ერთეულის აქტივები, ვალდებულებები, წმინდა აქტივები/კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების ნაკადები.

კონტროლი: ერთეული აკონტროლებს სხვა ერთეულს, როდესაც ერთეული ექვემდებარება ან აქვს უფლებები, შეცვალოს სარგებელი სხვა ერთეულებთან მისი მონაწილეობით და აქვს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს ამ სარგებელთა ბუნებაზე ან ოდენობაზე სხვა ერთეულზე მისი უფლებამოსილებით.

კონტროლირებული ერთეული არის ერთეული, რომელსაც აკონტროლებს სხვა ერთეული.

მაკონტროლებელი ერთეული არის ერთეული, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე ერთეულს.

გადაწყვეტილების მიმღები პირი არის უფლებების მქონე პირი, რომელიც არის მარწმუნებელი ან რწმუნებული სხვა მხარისათვის.

ეკონომიკური ერთეული არის მაკონტროლებელი ერთეული და მისი კონტროლირებული ერთეულები.

საინვესტიციო ერთეული არის ერთეული, რომელიც:

- (ა) ღებულობს სახსრებს ერთი ან მეტი ინვესტორისგან, რათა ამ ინვესტორ(ებ)ს გაუწიოს ინვესტიციების მართვის მომსახურება;

- (ბ) მიზნად ისახავს სახსრების ინვესტირებას მხოლოდ კაპიტალის ღირებულების ნაზრდის, საინვესტიციო შემოსავლის ან ორივეს მიღების გზით; და
- (გ) ზომავს და აფასებს მისი ყველა ინვესტიციის შესრულებას სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

უმცირესობის წილი არის კონტროლირებული ერთეულის წმინდა აქტივები/კაპიტალი, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს, უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით, მაკონტროლებელ ერთეულს.

უფლებამოსილება მოიცავს ძალაში შესულ (მოქმედ) უფლებებს, რომლებიც მოცემულ მომენტში ერთეულს სხვა ერთეულის შესაბამისი საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს.

დამცავი უფლებები არის უფლებები, რომლებიც მიზნად ისახავს მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ფლობს, გარეშე მხარის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, იმ ერთეულზე, რომელსაც ეს უფლებები ეხება.

შესაბამისი საქმიანობა: წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის, შესაბამისი საქმიანობა არის პოტენციურად კონტროლირებული ერთეულის საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვნად აისახება იმ სარგებელის ბუნებაზე ან ოდენობაზე, რომელსაც ერთეული ღებულობს ამ სხვა ერთეულში მისი მონაწილეობისაგან.

მოცილების უფლებები არის გადაწყვეტილების მიმღებისთვის გადაწყვეტილების უფლებამოსილების ჩამორთმევა.

სხვა სსბასს-ებში განსაზღვრული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში. შემდეგი ტერმინები მოცემულია ან სსბასს 36-ში, *ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში* ან სსბასს 37-ში, *ერთობლივი შეთანხმებები*, ან სსბასს 38-ში, *განმარტებითი შენიშვნები სხვა ერთეულებში მონაწილეობის შესახებ*.

#### სავალდებულო შეთანხმება

15. სავალდებულო კავშირების დადგენა შეიძლება რამდენიმე გზით. სავალდებულო შეთანხმება ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, წერილობით, ხელშეკრულების ფორმით ან მხარეებს შორის დოკუმენტირებული მსჯელობით ხდება. კანონმდებლობით განსაზღვრულ სტრუქტურებს, როგორებიცაა საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ორგანო, ასევე შეუძლიათ შექმნან სააღსრულებო შეთანხმებები, სახელშეკრულებო შეთანხმებების მსგავსად, თვითონვე ან მხარეთა შორის ხელშეკრულებებთან ერთად.

#### ეკონომიკური ერთეული

16. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, ტერმინი ეკონომიკური ერთეული წინამდებარე სტანდარტში გულისხმობს ერთეულთა ჯგუფს, რომელიც შედგება მაკონტროლებელი და კონტროლირებული ერთეულებისგან. ეკონომიკურ ერთეულთან მიმართებით ხანდახან გამოიყენება სხვა ტერმინებიც, როგორცაა: ადმინისტრაციული ერთეული, ფინანსური ერთეული, კონსოლიდირებული ერთეული და ჯგუფი. ეკონომიკურ ერთეულში შესაძლოა შედიოდეს ისეთი ერთეულები, რომლებსაც გააჩნიათ ორივე, სოციალურ-პოლიტიკური და კომერციული მიზნები.
17. ეკონომიკური ერთეულის დადგენა უნდა განხორციელდეს იურისდიქციაში მოქმედი საკონსტიტუციო წყობის გათვალისწინებით, კერძოდ, თუ როგორაა სახელისუფლებო უფლებამოსილებები შეზღუდული და განაწილებული, ასევე, და როგორ შეიქმნა და მოქმედებს სამთავრობო სისტემა. მაგალითად, იურისდიქციებში აღმასრულებელმა, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებმა შეიძლება ერთობლივად შექმნან ეკონომიკური ერთეული, რასთან დაკავშირებითაც არსებობს მომხმარებლის მოთხოვნილება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ასეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ჩვეულებრივ, მოიხსენიება როგორც მთლიანი მთავრობის ფინანსური ანგარიშგება.

#### კონტროლი (იხ. პუნქტები მგ2–მგ87)

18. ერთეული, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რას წარმოადგენს სხვა ერთეულში მისი მონაწილეობა, განსაზღვრავს, არის თუ არა იგი მაკონტროლებელი ერთეული, თუკი აკონტროლებს იგი სხვა ერთეულს.
19. ერთეული აკონტროლებს სხვა ერთეულს, როდესაც სხვა ერთეულში მისი მონაწილეობიდან წარმოქმნილ ცვალებად სარგებელთან დაკავშირებით ექვემდებარება რისკებს ან გააჩნია ამ ერთეულიდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლებები და აქვს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს ამ სარგებელთა ბუნებაზე ან ოდენობაზე, სხვა ერთეულზე უფლებამოსილების განხორციელების საშუალებით.
20. ამრიგად, ერთეული აკონტროლებს სხვა ერთეულს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთეული ფლობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს:

(ა) უფლებამოსილებას სხვა ერთეულებზე (იხ. პუნქტები 23–29);

(ბ) სხვა ერთეულში მისი მონაწილეობით, ცვალებადი შემოსავლების მიღების რისკებს ან უფლებებს (იხ.პუნქტები 30–34);

(გ) შესაძლებლობა იმისა, რომ სხვა ერთეულთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს სხვა ერთეულში მონაწილეობიდან მიღებული სარგებლის ბუნებაზე ან ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით (იხ. პუნქტები 35–37).

21. ერთეულმა უნდა განიხილოს ყველა ფაქტი და გარემოება, რათა დაადგინოს, აკონტროლებს თუ არა იგი სხვა ერთეულს. თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებს, რომ შეიცვალა მე-20-ე პუნქტში ჩამოთვლილი, კონტროლის არსებობის განმსაზღვრელი ერთი ან მეტი ელემენტი, ერთეულმა ხელახლა უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის სხვა ერთეულს (იხ. პუნქტები მგ82–მგ87).
22. ორი ან რამდენიმე ერთეული კოლექტიურად აკონტროლებს სხვა ერთეულს იმ შემთხვევაში, თუ მათ ერთად უნდა იმოქმედონ შესაბამისი საქმიანობების სამართავად. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან არც ერთ ერთეულს არ შეუძლია ამ საქმიანობების მართვა სხვებთან თანამშრომლობის გარეშე, ცალ-ცალკე არც ერთი ერთეული არ აკონტროლებს სხვა ერთეულს. თითოეულმა ერთეულმა თავისი მონაწილეობის წილი სხვა ერთეულში უნდა აღრიცხოს შესაბამისი სსბასს-ების მიხედვით, როგორცაა სსბასს 36, სსბასს 37 ან ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სხვა სსბასს-ები (სსბასს 28, *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება* და სსბასს 30, *ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები*.)

## უფლებამოსილება

23. ერთეულს მაშინ გააჩნია უფლებამოსილება სხვა ერთეულთან მიმართებით, როდესაც აქვს მოქმედი (ძალაში შესული) უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში შესაბამისი საქმიანობების (ე.ი. საქმიანობების, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვა ერთეულებში მონაწილეობიდან მიღებული სარგებლის ბუნებაზე ან ოდენობაზე) მართვის შესაძლებლობას აძლევს. სხვა ერთეულის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის მართვის უფლება იმაზე მეტყველებს, რომ ერთეულს აქვს უნარი წარმართოს სხვა ერთეულის შესაბამისი საქმიანობა და რომ ამ გზით ხშირად ხდება საჯარო სექტორში უფლებამოსილების დემონსტრირება.
24. უფლებამოსილება გამომდინარეობს უფლებებისგან. ზოგიერთ შემთხვევაში მარტივია უფლებამოსილების დადგენა. მაგალითად, როდესაც სხვა ერთეულთან მიმართებით უფლებამოსილების მოპოვება ხდება პირდაპირ და მხოლოდ და მხოლოდ წილობრივი ინსტრუმენტებით მინიჭებული ხმის უფლებებით, როგორცაა აქციები და მისი არსებობის დადგენა (შეფასება) შესაძლებელია

აქციების ფლობით განპირობებული ხმის უფლებებით. ამასთან, საჯარო სექტორის ერთეულები ხშირად სხვა უფლებამოსილებებს მოიპოვებენ, ვიდრე ხმის უფლებას. მათ ასევე შეიძლება მიიღონ სხვა ერთეულზე უფლებამოსილება კაპიტალის წილობრივი ინსტრუმენტის გარეშე, როგორც ფინანსური ინვესტიციის. ერთულს შეიძლება ჰქონდეს უფლებები, რომლებიც მინიჭებულია სავალდებულო შეთანხმებებით. ეს უფლებები შეიძლება ერთულს აძლევდეს უფლებამოსილებას მოსთხოვოს სხვა ერთულს აქტივების გაცემა ან ვალდებულებების წარმოქმნა ისე, რომ გავლენა იქონიოს თავდაპირველად ნახსენები ერთეულის მიერ მიღებული სარგებლის ბუნებაზე ან ოდენობაზე. იმის შეფასება, თუ რამდენად იწვევს ასეთი უფლებები სხვა ერთეულებზე უფლებამოსილების წარმოქმნას, შეიძლება იყოს რთული და მოითხოვს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებას.

25. ერთულს შეიძლება ჰქონდეს უფლებამოსილება სხვა ერთეულზე მამინაც კი, თუ მას არ აქვს პასუხისმგებლობა სხვა ერთეულის ყოველდღიურ საქმიანობაზე ან სხვა ერთეულის მიერ შესრულებული ფუნქციების შესრულებაზე. კანონმდებლობამ შეიძლება კანონმდებლობით დადგენილ ორგანოებს ან მოხელეებს უფლება მისცეს განახორციელონ თავიანთი ფუნქციები მთავრობისგან დამოუკიდებლად. მაგალითად, გენერალურ აუდიტორს და მთავრობის სტატისტიკოსს, ჩვეულებრივ, აქვთ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, მიიღონ ინფორმაცია და გამოაქვეყნონ ანგარიშები მთავრობისთვის დახმარების თხოვნის გარეშე, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას ხშირად აქვს სპეციალური უფლებამოსილებები, რათა მოხდეს სასამართლო დამოუკიდებლობის კონცეფციის უზრუნველყოფა. კანონმდებლობამ ასევე შეიძლება განსაზღვროს ფართო პარამეტრები, რომლის ფარგლებშიც საკანონმდებლო ორგანო უნდა მოქმედებდეს და შედეგად, იქმნება კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო, რომელიც ფუნქციონირებს პარლამენტის ან მსგავსი ორგანოს მიერ დადგენილი მიზნების შესაბამისად. დამოუკიდებლად ფუნქციონირების კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების არსებობა თავისთავად არ გამორიცხავს იმ ერთულს, რომელსაც აქვს შესაძლებლობა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სხვა ერთეულის საოპერაციო და ფინანსური პოლიტიკა წარმართოს ისე, რომ მიიღოს სარგებელი. მაგალითად, ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა მონეტარულ პოლიტიკასთან მიმართებაში არ გამორიცხავს ცენტრალური ბანკის კონტროლის შესაძლებლობას. მაინც საჭირო იქნება ყველა ფაქტის და გარემოების გათვალისწინება.

26. სხვა ერთეულზე უფლებების არსებობა აუცილებლად არ წარმოქმნის უფლებამოსილებას წინამდებარე სტანდარტის

მიზნებისათვის. ერთეულს არ აქვს უფლებამოსილება სხვა ერთეულზე მხოლოდ იმის გამო, რომ არსებობს:

(ა) მარეგულირებელი კონტროლი (იხ. პუნქტი მგ12);

(ბ) ეკონომიკური დამოკიდებულება (იხ. პუნქტები მგ41–მგ42).

27. ერთეულს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საქმიანობის წარმართვის მიმდინარე შესაძლებლობა, უფლებამოსილება მაშინაც კი აქვს, თუ ჯერ არ მომხდარა მისთვის მინიჭებული მართვის უფლებების რეალიზება. მტკიცებულება იმისა, რომ ერთეულს განხორციელებული აქვს კონტროლის მიზნებისათვის განხილული ერთეულის შესაბამისი საქმიანობების მართვა, შეიძლება ერთეულს დაეხმაროს იმის დადგენაში, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება, მაგრამ მხოლოდ ამგვარი მტკიცებულების არსებობა, თავისთავად, გადაწყვეტი არ არის იმის დასადგენად, აქვს თუ არა ერთეულს უფლებამოსილება კონტროლის მიზნებისათვის განხილულ ერთეულზე - წინასწარ განსაზღვრული საქმიანობით შექმნილი ერთეულის შემთხვევაში, შესაბამისი საქმიანობის წარმართვის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ დროისთვის, როდესაც აღნიშნული ერთეული დაფუძნდა.
28. თუ ორი ან მეტი ერთეულიდან თითოეულს აქვს ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას სხვა ერთეულის სხვადასხვა შესაბამისი საქმიანობის ცალმხრივად მართვის შესაძლებლობას აძლევს, მაშინ ამ ერთეულთან მიმართებით იმ ერთეულს გააჩნია უფლებამოსილება სხვა ერთეულთან მიმართებით, რომელსაც აქვს მიმდინარე მომენტში იმის შესაძლებლობა, რომ მართოს ისეთი საქმიანობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვა ერთეულის სარგებლის ბუნებაზე ან ოდენობაზე.
29. ერთეულს შეუძლია ჰქონდეს უფლებამოსილება კონტროლის მიზნებისთვის განხილულ ერთეულზე, მაშინაც კი, თუ სხვა ერთეულებს აქვთ ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მიმდინარე მომენტში შესაბამისი საქმიანობების მართვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას აძლევს. მაგალითად, როდესაც მეორე ერთეულს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. თუმცა, ერთეულს, რომელსაც აქვს მხოლოდ დამცავი უფლებები, არ გააჩნია უფლებამოსილება მეორე ერთეულთან მიმართებით (იხ. პუნქტები მგ29–მგ31) და, მაშასადამე, ის არ აკონტროლებს სხვა ერთეულს.

### სარგებელი

30. ერთეული მაშინ ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ერთეულში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი სარგებლის მიღებასთან, ან გააჩნია სხვა ერთეულიდან ცვალებადი სარგებლის მიღების უფლება, თუ მისი მონაწილეობით

მისაღები სარგებელი შეიძლება იცვლებოდეს სხვა ერთეულის საქმიანობის შედეგების მიხედვით. ერთეულები სხვა ერთეულებში დროთა განმავლობაში მონაწილეობენ დადებითი ფინანსური ან არაფინანსური სარგებლის მოლოდინის გამო. ამასთან, კონკრეტულ საანგარიშგებო პერიოდში, კონტროლის მიზნებისათვის განხილულ ერთეულში, ერთეულის მონაწილეობის ფაქტობრივი გავლენა შეიძლება იყოს მხოლოდ პოზიტიური, მხოლოდ ნეგატიური, ან ორივეს ნაზავი - როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური.

31. ერთეულის სარგებელი კონტროლის მიზნებისათვის განხილულ ერთეულში მისი მონაწილეობიდან, შეიძლება იყოს მხოლოდ ფინანსური, მხოლოდ არაფინანსური ან ორივე ერთად, ფინანსურიც და არაფინანსურიც. ფინანსური სარგებელი მოიცავს ინვესტიციებს, როგორცაა დივიდენდები ან მსგავსი განაწილებები და ზოგჯერ მოიხსენიება როგორც "დაბრუნება". არაფინანსური სარგებელი მოიცავს იმ უპირატესობებს, რომლებიც წარმოიქმნება მწირი რესურსებიდან, რომელიც არ ფასდება ფინანსურად და ეკონომიკური სარგებლით, რომლებიც უშუალოდ მიიღება ერთეულის მომსახურების მიმღებების მიერ. არაფინანსური სარგებელი შეიძლება აღმოჩნდეს მაშინ, როდესაც სხვა ერთეულის საქმიანობა შესაბამისობაშია (ეს მათთან შეთანხმებულია) ერთეულის მიზნებთან და ეხმარება ერთეულს მისი მიზნების მისაღწევად. მაგალითად, ერთეულმა შეიძლება მოიპოვოს სარგებელი მაშინ, როდესაც თავსებადი საქმიანობის სხვა ერთეული უზრუნველყოფს მომსახურებას, რომელზეც ეს ერთეული იყო ვალდებული მიეწოდებინა. თავსებადი საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ნებაყოფლობით, ან ერთეულს შეიძლება ჰქონდეს უფლებამოსილება, სხვა ერთეულმა განახორციელოს აღნიშნული საქმიანობა. არაფინანსური სარგებელი შეიძლება ასევე წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც ორ ერთეულს აქვს დამატებითი მიზნები (ანუ ერთი ერთეულის მიზნები სხვა ერთეულის მიზნებს ემატება და უფრო სრულყოფილს ხდის).
32. შემდეგი მაგალითები ასახავს ფინანსურ სარგებელს, რომელიც შეუძლია ერთეულმა მიიღოს სხვა ერთეულში მისი მონაწილეობით:
  - (ა) დივიდენდები, სავალო ფასიან ქაღალდებზე სესხის ცვალებადი პროცენტი, ეკონომიკური სარგებელის სხვა განაწილება;
  - (ბ) სხვა ერთეულში ინვესტიციის ღირებულების ზრდა ან შემცირება;



- (გ) ფინანსური დახმარების გაწევის ხელშეკრულებებიდან ზარალი, ძირითადი პროექტების ფინანსური დახმარების ჩათვლით;
- (დ) ხარჯების დაზოგვა (მაგალითად, თუ ერთეულმა მიაღწია მასშტაბის ან სინერგიის ეკონომიას სხვა ერთეულის ოპერაციების ან აქტივების საკუთარ ოპერაციებთან ან აქტივებთან გაერთიანებით);
- (ე) სხვა ერთეულის ლიკვიდაციისას, აქტივებისა და ვალდებულებების დარჩენილი პროცენტები; და
- (ვ) ცვლადი სარგებელის სხვა ზემოქმედება, რომელიც სხვა ერთეულებისთვის მიუწვდომელია.

33. არაფინანსური სარგებელის მაგალითები მოიცავს:

- (ა) სხვა ერთეულის სპეციალიზირებული ცოდნისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას;
- (ბ) ერთეულისთვის სხვა ერთეულის საქმიანობის განმახორციელებელი საქმიანობის მნიშვნელობა, რომელიც ეხმარება მას მიზნების მიღწევაში;
- (გ) გაუმჯობესებული შედეგები
- (დ) შედეგების უფრო ეფექტური მიწოდება
- (ე) საქონლისა და მომსახურების უფრო ეფექტური წარმოება და მიწოდება;
- (ვ) აქტივებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებების უფრო ადრე ხელმისაწვდომობა, ვიდრე ამას სხვა შემთხვევაში ექნებოდა ადგილი; და
- (ზ) მომსახურების ხარისხის უფრო მაღალი დონე, ვიდრე ამას სხვა შემთხვევაში ექნებოდა ადგილი.

34. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთ ერთეულს შეუძლია გააკონტროლოს სხვა ერთეული, ერთზე მეტმა მხარემ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ამ სხვა ერთეულის სარგებელში. მაგალითად, უმცირესობის წილის მფლობელებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ისეთ ფინანსურ სარგებლებში, როგორიცაა ერთეულიდან ნამეტი ან განაწილებები ან არაფინანსური სარგებელი, როგორიცაა თავსებადი საქმიანობები სასურველი შედეგებით.

### **კავშირი უფლებამოსილებასა და სარგებლებს შორის**

35. ერთეული მაშინ აკონტროლებს კონტროლის მიზნებისათვის განხილულ სხვა ერთეულს, თუ ერთეულს გააჩნია არა მარტო უფლებამოსილება სხვა ერთეულთან მიმართებით და ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვა

ერთეულში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი სარგებლის მიღებასთან, ან გააჩნია სხვა ერთეულიდან ცვალებადი სარგებლის მიღების უფლება, არამედ იმავდროულად აქვს იმის უნარი, თავისი უფლებამოსილება გამოიყენოს კონტროლის მიზნებისათვის განხილულ სხვა ერთეულში მონაწილეობიდან მისაღები სარგებლის ბუნებაზე ან ოდენობაზე გავლენის მოსახდენად.

36. მხოლოდ თავსებადი მიზნების არსებობა არასაკმარისია იმისათვის, რომ ერთულმა დაასკვნას, რომ იგი აკონტროლებს სხვა ერთეულს. იმისათვის, რომ ერთეული აკონტროლებდეს სხვა ერთეულს, ერთეულს ასევე უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება კონტროლის მიზნებისათვის განხილულ ერთეულზე, იმისათვის, რომ სხვა ერთეულმა იმუშაოს მასთან ერთად, მიზნების განსახორციელებლად.
37. გადაწყვეტილების მიღების უფლებების მქონე ერთულმა უნდა განსაზღვროს ის მარწმუნებელია, თუ რწმუნებული. ერთულმა ასევე უნდა განსაზღვროს, გადაწყვეტილების მიღების უფლებების მქონე სხვა ერთეული მოქმედებს თუ არა როგორც ერთეულის რწმუნებული. რწმუნებული არის მხარე, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დაქირავებულია იმისთვის, რომ იმოქმედოს სხვა მხარის, ან მხარეების (მარწმუნებელის/მარწმუნებლების) სახელით და მათი ინტერესების სასარგებლოდ და, მაშასადამე, ის არ აკონტროლებს სხვა ერთეულს, როდესაც იყენებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას. ამგვარად, ზოგჯერ, მარწმუნებელი მხარის უფლებამოსილებას შესაძლებელია რწმუნებული ფლობდეს და ახორციელებდეს.

### ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები

38. მაკონტროლებელმა ერთულმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ანალოგიურ ვითარებაში მომხდარი მსგავსი ოპერაციებისა და სხვა მოვლენების მიმართ.
39. კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდაცია იწყება იმ თარიღიდან, როდესაც ერთეული მოიპოვებს სხვა ერთეულის კონტროლს და წყდება მაშინ, როდესაც ერთეული კარგავს სხვა ერთეულის კონტროლს.

### კონსოლიდაციის პროცედურები

40. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:
  - (ა) გაერთიანებულია მაკონტროლებელი ერთეულისა და მისი კონტროლირებული ერთეულების აქტივების, ვალდებულებების, წმინდა აქტივების/კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი სახსრების ნაკადების ანალოგიური მუხლები.

(ბ) ამოთიშულია (ელიმინირებულია) მაკონტროლებელი ერთეულის მიერ თითოეულ კონტროლირებულ ერთეულში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მაკონტროლებელი ერთეულის კუთვნილი წილი თითოეული კონტროლირებული ერთეულის წმინდა აქტივებში/კაპიტალში (სსბასს 40 განმარტავს, თუ როგორ უნდა აღირიცხოს ნებისმიერი დაკავშირებული გუდვილი).

(გ) მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, წმინდა აქტივები/კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი სახსრების ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ერთეულში შემავალ ერთეულთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან (მთლიანად არის ელიმინირებული შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული ნამეტი ან დეფიციტი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორიცაა მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი აქტივები). შიდაჯგუფური დეფიციტი შეიძლება გაუფასურების მაჩვენებელი იყოს, რაც უნდა აღიარდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### **ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა**

41. თუ ეკონომიკურ ერთეულში შემავალი რომელიმე წევრი ანალოგიურ ვითარებაში მომხდარი მსგავსი ოპერაციებისა და სხვა მოვლენების მიმართ იყენებს იყენებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, მაშინ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სათანადო კორექტირებები უნდა გაკეთდეს ეკონომიკურ ერთეულში შემავალი ზემოაღნიშნული წევრის ფინანსურ ანგარიშგებაში, ეკონომიკური ერთეულის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

#### **შეფასება**

42. ერთეული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლირებული ერთეულების შემოსავლებსა და ხარჯებს ასახავს იმ თარიღიდან, როდესაც მოიპოვებს კონტროლს და იმ თარიღამდე, როდესაც დაკარგავს კონტროლს ამ კონტროლირებულ ერთეულზე. კონტროლირებული ერთეულის შემოსავლები და ხარჯები მაკონტროლებელი ერთეულის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაიანგარიშება შეძენის თარიღისთვის აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების საფუძველზე. მაგალითად, ფინანსური შედეგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შეძენის თარიღის შემდეგ აღიარებული ცვეთის ხარჯი უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი ცვეთადი აქტივების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული იყო შეძენის თარიღისათვის.

## ხმის მიცემის პოტენციური უფლებები

43. როდესაც არსებობს პოტენციური ხმის უფლებები, ან სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს პოტენციურ ხმის უფლებებს, პროპორცია, რომლის მიხედვითაც ხდება ნამეტის ან დეფიციტის და ერთეულის წმინდა აქტივებში/კაპიტალში მომხდარი ცვლილებების მიკუთვნება მაკონტროლებელ ერთეულზე და უმცირესობის წილზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, განისაზღვრება მხოლოდ ძალაში შესული საკუთრების წილების საფუძველზე და ეს თანხები არ ასახავს პოტენციური ხმის უფლებების შესაძლო გამოყენებას, ან კონვერტაციას და სხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გამოიყენება 44-ე პუნქტი.
44. ზოგიერთ სიტუაციაში, ერთეულს, პრაქტიკულად გააჩნია ძალაში შესული საკუთრების წილი, გამომდინარე გარიგებიდან, რომელიც მიმდინარე მომენტში ერთეულისთვის ხელმისაწვდომს ხდის საკუთრების წილებთან დაკავშირებული შემოსავლების მიღებას. ასეთ სიტუაციაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მაკონტროლებელ ერთეულსა და უმცირესობის წილზე მისაკუთვნებელი წილების თანაფარდობა განისაზღვრება ამგვარი პოტენციური ხმის უფლებებისა და სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შესაძლო გამოყენების გათვალისწინებით, რომლებიც მიმდინარე მომენტში ერთეულისთვის ხელმისაწვდომს ხდის შემოსავლების მიღებას.
45. სსბასს 28 და სსბასს 29 არ ეხება იმ კონტროლირებულ ერთეულებში ფლობილ წილებს, რომლებიც კონსოლიდირდება. როდესაც ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს პოტენციურ ხმის უფლებებს, თავისი არსით, მიმდინარე მომენტში ერთეულისთვის ხელმისაწვდომს ხდის კონტროლირებულ ერთეულში ფლობილ საკუთრების წილთან დაკავშირებული შემოსავლების მიღებას, ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ არ გამოიყენება სსბასს 28-ის და სსბასს 29-ის მოთხოვნები. ყველა სხვა შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს კონტროლირებულ ერთეულში პოტენციურ ხმის უფლებებს, აღირიცხება სსბასს 28-ის და სსბასს 29-ის შესაბამისად.

## საანგარიშო თარიღები

46. მაკონტროლებელი ერთეულის და მისი კონტროლირებული ერთეულების ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც გამოიყენება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, შედგენილი უნდა იყოს ერთი და იმავე საანგარიშგებო თარიღისთვის. როდესაც მაკონტროლებელი ერთეულის საანგარიშგებო თარიღი განსხვავდება ზემოაღნიშნული

კონტროლირებული ერთეულის საანგარიშგებო თარიღისგან, მაკონტროლებელი ერთეული ან:

- ა) მოიპოვებს დამატებით ფინანსურ ინფორმაციას კონსოლიდაციის მიზნებისთვის მაკონტროლებელი ერთეულის საანგარიშგებო თარიღისათვის; ან
- ბ) იყენებს კონტროლირებული ერთეულის უახლეს ფინანსურ ანგარიშგებას, დაზუსტებულს იმ მნიშვნელოვანი გარიგებების ან მოვლენების შედეგებით, რომლებიც ამ ფინანსური ანგარიშგებების თარიღსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის ხდება.

#### უმცირესობის წილი

- 47. მაკონტროლებელმა ერთეულმა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში უმცირესობის წილი უნდა წარადგინოს წმინდა აქტივების/კაპიტალის ნაწილში, მაკონტროლებელი ერთეულის მფლობელების წმინდა აქტივების/კაპიტალისგან განცალკევებით.
- 48. კონტროლირებულ ერთეულში მაკონტროლებელი ერთეულის საკუთრების წილში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს მაკონტროლებელი ერთეულის მიერ კონტროლირებული ერთეულის კონტროლის დაკარგვას, განიხილება როგორც კონტროლირებული ერთეულის მესაკუთრებთან, როგორც მფლობელებთან შესრულებული ოპერაციები.
- 49. ერთეულმა ნამეტი ან დეფიციტი და წმინდა აქტივებში/კაპიტალში პირდაპირ აღიარებული სხვა მოგება ან ზარალი უნდა გაანაწილოს მაკონტროლებელ ერთეულსა და უმცირესობის წილზე. ანალოგიურად, ერთეულმა მაკონტროლებელ ერთეულსა და უმცირესობის წილზე უნდა გაანაწილოს წმინა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებული მთლიანი სრული თანხებიც თუნდაც ამან გამოიწვიოს უმცირესობის წილის უარყოფითი ნაშთი.
- 50. თუ კონტროლირებულ ერთეულს მიმოქცევაში გაშვებული აქვს კაპიტალის ინსტრუმენტებად კლასიფიცირებული კუმულაციური პრივილეგიური აქციები, რომლებიც უმცირესობის წილის მფლობელობაში იმყოფება, მაშინ მაკონტროლებელმა ერთეულმა თავისი წილი ნამეტში ან დეფიციტში უნდა გაიანგარიშოს ასეთი აქციების დივიდენდების გათვალისწინებით ჩატარებული კორექტირების შემდეგ, იმის მიუხედავად, იყო თუ არა დივიდენდები გამოცხადებული.

#### *უმცირესობის წილის ხვედრით წილში მომხდარი ცვლილებები*

- 51. იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება უმცირესობის წილის მიერ ფლობილი წმინდა აქტივების/კაპიტალის ხვედრითი წილი, ერთეულმა უნდა გააკორექტიროს მაკონტროლებელი და უმცირესობის წილების

საბალანსო ღირებულებები, კონტროლირებულ ერთეულში ფლობილი წილების თანაფარდობაში მომხდარი ცვლილების ასახვის მიზნით. სხვაობა უმცირესობის წილების კორექტირების თანხასა და გადახდილი ან მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებას შორის უნდა აღიარდეს პირდაპირ წმინდა აქტივების/კაპიტალის ნაწილში და მიეკუთვნოს მაკონტროლებელი ერთეულის მფლობელებს.

## კონტროლის დაკარგვა

52. თუ მაკონტროლებელი ერთეული კონტროლს კარგავს კონტროლირებულ ერთეულზე, მაკონტროლებელი ერთეული:

(ა) წყვეტს ყოფილი კონტროლირებული ერთეულის აქტივების და ვალდებულებების აღიარებას ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში;

(ბ) ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში დარჩენილ ნებისმიერ ინვესტიციას აღიარებს კონტროლის დაკარგვის თარიღისათვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ამ ინვესტიციას და ასევე ყოფილი კონტროლირებული ერთეულიდან მისაღებ, ან მისთვის გადასახდელი ნებისმიერი დავალიანების თანხას ასახავს შესაფერისი სსბასს-ების შესაბამისად. დარჩენილი წილი ხელახლა ფასდება 54 (ბ) (iii)-სა და 55 (ა) პუნქტების შესაბამისად. გადაფასებული ღირებულება მიიჩნევა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას სსბასს 29-ის შესაბამისად განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებად, ან როდესაც შესაფერისია, თვითღირებულებად, მეკავშირე ერთეულში ან ერთობლივ საქმიანობაში განხორციელებული ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას; და

(გ) აღიარებს მოგებას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია კონტროლის დაკარგვასთან, რომელიც მიეკუთვნება ყოფილი მაკონტროლებლის წილს, როგორც ეს მოცემულია 54-55 (ა) პუნქტებში.

53. მაკონტროლებელმა ერთეულმა კონტროლირებულ ერთეულზე კონტროლი შეიძლება დაკარგოს ორი ან მეტი შეთანხმების (ოპერაციის) შედეგად. თუმცა, ზოგჯერ გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ მრავალჯერადი გარიგებები უნდა აისახოს როგორც ერთი ოპერაცია. იმის დასადგენად, მრავალჯერადი შეთანხმება უნდა აისახოს თუ არა ერთი ოპერაციის სახით, მაკონტროლებელმა ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შეთანხმების ყველა პირობა და მათი ეკონომიკური შედეგები. ქვემოთ განხილული სიტუაციიდან ერთ-ერთის, ან მეტის არსებობა შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ მაკონტროლებელმა ერთეულმა მრავალჯერადი გარიგებები უნდა აისახოს, როგორც ერთი ოპერაცია:

- ა) ეს გარიგებები დადებულია ერთსა და იმავე დროს, ან ერთმანეთთან დაკავშირებულად;
- ბ) ისინი ქმნიან ერთიან გარიგებას, რომელიც განკუთვნილია საერთო კომერციული ეფექტის მისაღწევად.
- გ) ერთი გარიგების განხორციელება დამოკიდებულია სულ მცირე ერთ სხვა გარიგებაზე მაინც;
- დ) ცალკე განხილული ერთი გარიგება, ეკონომიკური თვალსაზრისით, გამართლებული არ არის, მაგრამ ეკონომიკურად გამართლებულია, როდესაც სხვა გარიგებებთან ერთად განიხილება. მაგალითად, როდესაც ინვესტიციების გაყიდვა გათვალისწინებულია საბაზროზე დაბალი ფასით და ამის კომპენსაცია ხდება საბაზროზე მაღალი ფასით მომდევნო გაყიდვის შედეგად.

54. თუ მაკონტროლებელი ერთეული კონტროლს კარგავს კონტროლირებულ ერთეულზე, იგი:

(ა) წყვეტს:

- i) კონტროლირებული ერთეულის აქტივებისა (მათ შორის გუდვილის) და ვალდებულებების აღიარებას მათი საბალანსო ღირებულებით იმ თარიღისთვის, როდესაც დაკარგა კონტროლი;
- ii) ყოფილი კონტროლირებული ერთეულის უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებების აღიარებას იმ თარიღისთვის, როდესაც კონტროლს კარგავს (მათ შორის, პირდაპირ წმინდა აქტივებში/კაპიტალში ასახული ამ წილზე მისაკუთვნილებელი ნებისმიერი მოგების ან ზარალის).

(ბ) აღიარებს:

- i) იმ ოპერაციიდან, მოვლენიდან თუ გარემოებებიდან მიღებული კომპენსაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამართლიან ღირებულებას, რომელმაც გამოიწვია კონტროლის დაკარგვა; და
- ii) თუ ოპერაცია, რომელმაც კონტროლის დაკარგვა გამოიწვია, მოიცავს კონტროლირებული ერთეულის აქციების განაწილებას მის მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე, ამ განაწილებას; და
- iii) კონტროლირებულ ერთეულში დარჩენილ ინვესტიციას, კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით;

(გ) თუ სხვა სსბასს-ებით მოითხოვება, პირდაპირ აკუმულირებულ ნამეტში/დეფიციტში გადააქვს კონტროლირებულ ერთეულთან დაკავშირებით 55-ე პუნქტის შესაბამისად უშუალოდ წმინდა აქტივების/კაპიტალის შემადგენლობაში აღიარებული თანხები.

(დ) ამის შედეგად წარმოქმნილ ნებისმიერ სხვაობის თანხას აღიარებს, როგორც მოგებას ან ზარალს, მაკონტროლებელ ერთეულზე მისაკუთვნიებელ მოგებაში ან ზარალში.

55. თუ მაკონტროლებელი ერთეული კონტროლს კარგავს კონტროლირებულ ერთეულზე, მაკონტროლებელმა ერთეულმა ამ კონტროლირებულ ერთეულთან დაკავშირებით წმინდა აქტივებში/კაპიტალში, ადრე აღიარებული ყველა თანხა იმავე მეთოდით უნდა ასახოს, რომელიც მოეთხოვებოდა, თუ შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გასვლა პირდაპირ მაკონტროლებელი ერთეულიდან მოხდებოდა. თუ თავდაპირველად უშუალოდ წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარებული გადაფასების ნამეტი აქტივის გასვლისას გადატანილი იქნება პირდაპირ აკუმულირებულ ნამეტში ან დეფიციტში, მაკონტროლებელმა ერთეულმა კონტროლირებულ ერთეულზე კონტროლის დაკარგვისას გადაფასების ნამეტი უნდა გადაიტანოს პირდაპირ აკუმულირებულ ნამეტში ან დეფიციტში.

55ა. თუ მაკონტროლებელი ერთეული კარგავს კონტროლს იმ კონტროლირებულ ერთეულზე, რომელიც არ შეიცავს ოპერაციას, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 40-ში, მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის მონაწილეობით გარიგების შედეგად, რაც კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით აღირიცხება, მაკონტროლებელი ერთეული მოგებას ან ზარალს განსაზღვრავს 54-55-ე პუნქტების შესაბამისად. გარიგების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მაკონტროლებელი ერთეულის ნამეტში ან დეფიციტში მხოლოდ მეკავშირე ერთეულში ან ერთობლივ საქმიანობაში იმ წილის ოდენობით, რასთანაც არაა დაკავშირებული ინვესტიცია. მოგების დარჩენილი ნაწილი ელიმინირდება ამ მეკავშირე ერთეულში ან ერთობლივ საქმიანობაში ინვესტიციის საბალანსო ღირებულების საპირისპიროდ. გარდა ამისა, თუ მაკონტროლებელი ერთეული ინარჩუნებს ინვესტიციას ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში და ყოფილი მაკონტროლებელი ერთეული ახლა არის მეკავშირე ერთეული ან ერთობლივი საქმიანობა, რომელიც აღირიცხულია კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, მაკონტროლებელი ერთეული აღიარებს თავის ნამეტში ან დეფიციტში ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში დარჩენილი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებით გადაფასების შედეგად მოგების ან ზარალის ნაწილს ახალ მეკავშირე ერთეულში ან ერთობლივ საქმიანობაში იმ ოდენობით, რასთანაც არაა დაკავშირებული ინვესტიცია. მოგების დარჩენილი ნაწილი ელიმინირდება ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში დარჩენილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულების საპირისპიროდ თუ მაკონტროლებელი ერთეული ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში დაიტოვებს ინვესტიციას, რომელიც ახლა აღირიცხება სსბასს 29-ის შესაბამისად, ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში დარჩენილი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებით გადაფასების შედეგად წარმოქმნილი მოგების ან ზარალის ნაწილი



მთლიანად აღირიცხება მაკონტროლებელი ერთეულის ნამეტში ან დეფიციტში.

საინვესტიციო ერთეულები: სამართლიანი ღირებულების მოთხოვნა

56. გარდა 57-ე პუნქტში აღწერილისა, საინვესტიციო ერთეულმა არ უნდა მოახდინოს თავისი კონტროლირებული ერთეულების კონსოლიდირება ან სსბასს 40-ის გამოყენება, როდესაც იგი მოიპოვებს სხვა ერთეულის კონტროლს. ამის ნაცვლად, საინვესტიციო ერთეულმა უნდა შეაფასოს ინვესტიცია კონტროლირებულ ერთეულში სამართლიანი ღირებულებით ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, სსბასს 29-ის შესაბამისად.
57. 56 პუნქტის მოთხოვნის მიუხედავად, თუ საინვესტიციო ერთეულს გააჩნია კონტროლირებული ერთეული, რომელიც თავად არ არის საინვესტიციო ერთეული და რომლის ძირითადი დანიშნულება და საქმიანობაა მომსახურების გაწევა, რაც უკავშირდება საინვესტიციო ერთეულის საინვესტიციო საქმიანობას (იხ. პუნქტები მგ98 - მგ100), მან უნდა მოახდინოს აღნიშნული კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდირება, წინამდებარე სტანდარტის 38-ე-55-ე პუნქტების შესაბამისად და გამოიყენოს სსბასს 40-ის მოთხოვნები, ნებისმიერი ასეთი კონტროლირებული ერთეულის შემენისას.
58. საინვესტიციო ერთეულის მაკონტროლებელმა ერთეულმა, რომელიც თავად არ წარმოადგენს საინვესტიციო ერთეულს, უნდა წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც იგი (i) აფასებს კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის ინვესტიციებს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, სსბასს 29-ის შესაბამისად და (ii) ახდენს კონსოლიდაციას კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის სხვა აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების, წინამდებარე სტანდარტის 38-ე-55-ე პუნქტების შესაბამისად.

როგორ განისაზღვრება, ერთეული მიიჩნევა თუ არა საინვესტიციო ერთეულად

59. ერთეულმა უნდა განიხილოს ყველა ფაქტი და გარემოება, როდესაც აფასებს, არის თუ არა ის საინვესტიციო ერთეული, მათ შორის, თავისი მიზანი და სტრუქტურა. მგ89 - მგ106 პუნქტები უფრო დეტალურად აღწერს საინვესტიციო ერთეულის განსაზღვრის ელემენტები. თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ არსებობს ცვლილებები სამი ელემენტიდან ერთ ან მეტ ელემენტში, რომლებიც შეადგენენ საინვესტიციო ერთეულის განსაზღვრებას, მაკონტროლებელმა ერთეულმა უნდა შეაფასოს, არის თუ არა ეს საინვესტიციო ერთეული.
60. მაკონტროლებელი ერთეული, რომელიც ან წყვეტს საინვესტიციო ერთეულად არსებობას, ან ხდება საინვესტიციო ერთეული, სტატუსის

ცვლილებას უნდა ასახოს პერსპექტიულად იმ თარიღიდან, როდესაც მოხდა სტატუსის შეცვლა (იხ. პუნქტები 63–64).

#### მსჯელობა და ვარაუდები

61. საინვესტიციო ერთეულმა უნდა გაამყდავნოს სსბასს 38-ის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მნიშვნელოვან მსჯელობასა და ვარაუდებთან დაკავშირებით, რომლითაც დადგინდა, რომ ეს არის საინვესტიციო ერთეული, თუ მას არ აქვს ყველა შემდეგი მახასიათებელი:

- (ა) ჰყავს ერთზე მეტი ინვესტორი (იხ. პუნქტები მგ89 – მგ90);
- (ბ) გააჩნია საკუთრების წილი კაპიტალის ფორმით ან ანალოგიური წილები (იხ. პუნქტები მგ91 – მგ92); და
- (გ) გააჩნია ერთზე მეტი ინვესტიცია (იხ. პუნქტები მგ96 – მგ97).

62. რომელიმე ზემოაღნიშნული მახასიათებლების არარსებობა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ერთეული არ კლასიფიცირდება საინვესტიციო ერთეულად. თუმცა, ამ მახასიათებლებიდან ნებისმიერის არარსებობა გულისხმობს იმას, რომ ერთეულს მოეთხოვება საინვესტიციო ერთეულად განსაზღვრისათვის გაკეთებული მნიშვნელოვანი მსჯელობების და ვარაუდების გათვალისწინება განმარტებით შენიშვნებში.

#### საინვესტიციო ერთეულის სტატუსის ცვლილების აღრიცხვა

63. როდესაც ერთეული წყვეტს საინვესტიციო ერთეულად არსებობას, მან უნდა გამოიყენოს სსბასს 40 ყველა კონტროლირებულ ერთეულთან მიმართებით, რომლებიც ადრე შეფასებული ჰქონდა სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, 56-ე პუნქტის შესაბამისად. საინვესტიციო ერთეულის სტატუსის შეცვლის თარიღი ერთეულმა უნდა მიიჩნიოს პირობითი შეძენის თარიღად. პირობითი შეძენის შედეგად წარმოქმნილი გუდვილის, ან ხელსაყრელი შეძენის მოგების შეფასებისას, პირობითი შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული, კონტროლირებული ერთეულის სამართლიანი ღირებულება მიჩნეულ უნდა იქნეს შეძენისთვის გადაცემულ პირობით კომპენსაციად. სტატუსის შეცვლის თარიღიდან, ყველა კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდაცია უნდა განხორციელდეს წინამდებარე სტანდარტის 38-ე-51-ე პუნქტების შესაბამისად.

64. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთეული გახდება საინვესტიციო ერთეული, მან უნდა შეწყვიტოს კონტროლირებული ერთეულების კონსოლიდაცია ერთეულის სტატუსის შეცვლის თარიღიდან, იმ კონტროლირებული ერთეულების გარდა, რომელთა კონსოლიდაცია ისევ გაგრძელდება 57-ე პუნქტის შესაბამისად. იმ კონტროლირებული ერთეულების მიმართ, რომელთა კონსოლიდაციასაც წყვეტს, საინვესტიციო ერთეულმა 52-ე და

53-ე პუნქტების მოთხოვნები იმგვარად უნდა გამოიყენოს, თითქოს საინვესტიციო ერთეულმა ამ კონტროლირებულ ერთეულებზე კონტროლი დაკარგა, სტატუსის შეცვლის თარიღიდან.

გარდამავალი დებულებანი

65. ერთეულმა უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი რეტროსპექტულად, სსბასს 3-ის, *სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები* - შესაბამისად, გარდა 66–78 პუნქტებში მითითებული შემთხვევებისა.
66. სსბასს 3-ის 33-ე პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, როდესაც ეს სტანდარტი პირველად გამოიყენება, ერთეულმა უნდა წარადგინოს მხოლოდ სსბასს 3-ის 33 (ვ) პუნქტით გათვალისწინებული რაოდენობრივი ინფორმაცია იმ წლიური პერიოდისთვის, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს („უშუალო წინა პერიოდი“) პირველ წლიურ პერიოდს. ერთეულს შეუძლია ასევე წარადგინოს ინფორმაცია მიმდინარე პერიოდისთვის ან ადრინდელი შესადარისი პერიოდების შესახებ, მაგრამ მას არ ევალება ამის გაკეთება.
67. წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღად მიიჩნევა იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც ერთეული მოცემულ სტანდარტს პირველად გამოიყენებს.
68. სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის, ერთეულს არ ევალება კორექტირებების გაკეთება ადრინდელი აღრიცხვის წესებში, რომელსაც იყენებდა თავისი მონაწილეობის ასახვისთვის:
  - (ა) ერთეულებში, რომლებიც კონსოლიდირებული უნდა ყოფილიყო ამ თარიღისათვის სსბასს 6-ის, *კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება* შესაბამისად, და კვლავ კონსოლიდირდება წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად; ან
  - (ბ) ერთეულებში, რომლებიც არ უნდა ყოფილიყო კონსოლიდირებული ამ თარიღისათვის, სსბასს 6-ის შესაბამისად და არ კონსოლიდირდება არც წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.
69. წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის, ერთეულმა უნდა შეაფასოს არის თუ არა ის საინვესტიციო ერთეული, ამ თარიღისათვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. თუ თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის ერთეული დაასკვნის, რომ ის არის საინვესტიციო ერთეული, მან, 77-ე-78-ე პუნქტების მოთხოვნების ნაცვლად, უნდა გამოიყენოს 70-ე-73-ე პუნქტების მოთხოვნები.

70. იმ კონტროლირებული ერთეულების გარდა, რომლებიც კონსოლიდირდება 57-ე პუნქტის შესაბამისად (რომელთა მიმართაც გამოიყენება 68-ე ან და 77-ე-78-ე პუნქტები, საჭიროებისამებრ), საინვესტიციო ერთეულმა თავისი ინვესტიცია თითოეულ კონტროლირებულ ერთეულში უნდა შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით იმგვარად, თითქოს ყოველთვის წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები მოქმედებდა. საინვესტიციო ერთეულმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს როგორც იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს, ასევე უშუალო წინა პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით წმინდა აქტივების/კაპიტალის მონაცემი, შემდეგ ორ სიდიდეს შორის სხვაობის გათვალისწინებით:

(ა) კონტროლირებული ერთეულის ადრინდელი საბალანსო ღირებულება; და

(ბ) საინვესტიციო ერთეულის მიერ კონტროლირებულ ერთეულში ფლობილი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება.

სამართლიანი ღირებულებების კორექტირების მთლიანი თანხა, რომელიც ადრე აღიარებული იყო უშუალოდ წმინდა აქტივებში/კაპიტალში, ერთეულმა უნდა გადაიტანოს იმ წლიური პერიოდის აკუმულირებული ნამეტის/დეფიციტის საწყის ნაშთში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს.

71. საინვესტიციო ერთეულმა უნდა გამოიყენოს სამართლიანი ღირებულების ის მნიშვნელობები, რომლებიც ადრე წარედგინათ ინვესტორებს ან ხელმძღვანელობას.

72. თუ 70-ე პუნქტის შესაბამისად კონტროლირებულ ერთეულში განხორციელებული ინვესტიციის შეფასება შეუძლებელია (როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 3-ში), საინვესტიციო ერთეულმა წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისისთვის, რომლისთვისაც შესაძლებელია 70-ე პუნქტის გამოყენება, რაც შეიძლება იყოს მიმდინარე პერიოდი. ინვესტორმა რეტროსპექტიურად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, წმინდა აქტივების/კაპიტალის კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის დასაწყისში.

73. თუ საინვესტიციო ერთეულმა გაასხვისა კონტროლირებულ ერთეულში ფლობილი ინვესტიცია, ან დაკარგა კონტროლი

კონტროლირებულ ერთეულზე, ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე, საინვესტიციო ერთეულს არ მოეთხოვება ამ კონტროლირებული ერთეულის მიმართ ადრე გამოყენებული სააღრიცხვო მეთოდის კორექტირება.

74. თუ თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის ერთეული დაასკვნის, რომ მან უნდა მოახდინოს სხვა ისეთი ერთეულის კონსოლიდაცია, რომელიც ადრე არ იყო კონსოლიდირებული სსბასს 6-ის შესაბამისად, ერთეულმა უნდა შეაფასოს ადრე არაკონსოლიდირებული ერთეულის აქტივები, ვალდებულებები და უმცირესობის წილი იმგვარად, თითქოს ეს სხვა ერთეული კონსოლიდირებული იყო იმ თარიღიდან, როდესაც ერთეულმა მოიპოვა კონტროლი სხვა ერთეულზე, წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. ერთეულმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს. თუ ერთეული დაადგენს, რომ კონტროლის მოპოვების თარიღი წინ უსწრებს წინა პერიოდის დასაწყისს, მან უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული წმინდა აქტივების/კაპიტალის მონაცემის კორექტირების სახით, უნდა აღიაროს სხვაობა შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

- (ა) აღიარებული აქტივების, ვალდებულებების და უმცირესობის წილის თანხა; და
- (ბ) ერთეულის სხვა ერთეულში მონაწილეობის წინა პერიოდის საბალანსო ღირებულებები.

75. თუ კონტროლირებული ერთეულის აქტივების, ვალდებულებების და უმცირესობის წილის შეფასება 74-ე (ა) ან (ბ) პუნქტების შესაბამისად, შეუძლებელია (როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 3-ში), ერთეულმა უნდა შეაფასოს ადრე არაკონსოლიდირებული ერთეულის აქტივები, ვალდებულებები და უმცირესობის წილი იმგვარად, თითქოს ეს ერთეული კონსოლიდირებული იყო პირობითი შეძენის თარიღისათვის. პირობითი შეძენის თარიღი იქნება ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, რომელიც შეიძლება იყოს მიმდინარე პერიოდი.

76. ერთეულმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდს. თუ პირობითი შეძენის თარიღი წინ უსწრებს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისს, ერთეულმა, უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული წმინდა აქტივების/კაპიტალის მონაცემის კორექტირების სახით, უნდა აღიაროს სხვაობა შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

- (ა) აღიარებული აქტივების, ვალდებულებების და უმცირესობის წილის თანხა; და
- (ბ) ერთეულის სხვა ერთეულში მონაწილეობის წინა პერიოდის საბალანსო ღირებულებები.

თუ ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდს, წმინდა აქტივების/კაპიტალის კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის დასაწყისში.

77. თუ წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის ერთეული დაასკვნის, რომ მან აღარ უნდა მოახდინოს იმ ერთეულის კონსოლიდაცია, რომელიც ადრე კონსოლიდირებული იყო სსბასს 6-ის შესაბამისად, ერთეულმა სხვა ერთეულში თავისი წილი უნდა შეაფასოს იმ თანხით, რომლითაც შეაფასებდა იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები ძალაში იქნებოდა შესული იმ დროს, როდესაც ერთეული ჩაერთო სხვა ერთეულის საქმიანობაში ან როდესაც მან კონტროლი დაკარგა სხვა ერთეულზე. ერთეულმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს. თუ თარიღი, როდესაც ერთეული ჩაერთო სხვა ერთეულის საქმიანობაში (მაგრამ კონტროლი არ ჰქონდა მოპოვებული წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად), ან როდესაც მან კონტროლი დაკარგა სხვა ერთეულზე, წინ უსწრებს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისს, ერთეულმა უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული წმინდა აქტივების/კაპიტალის მონაცემების კორექტირების სახით, უნდა აღიაროს სხვაობა შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

- (ა) აქტივების, ვალდებულებებისა და უმცირესობის წილის აღრინდელი საბალანსო ღირებულება; და
- (ბ) ერთეულის სხვა ერთეულში მონაწილეობის აღიარებული თანხა.

78. თუ შეუძლებელია (სსბასს 3-ში მოცემული განმარტების თანახმად) სხვა ერთეულში ფლობილი წილის შეფასება 77-ე პუნქტის შესაბამისად, ერთეულმა უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისისთვის, რომლისთვისაც შესაძლებელია 77-ე პუნქტის გამოყენება, რაც შეიძლება იყოს მიმდინარე პერიოდი. ერთეულმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდს. თუ თარიღი, როდესაც ერთეული ჩაერთო სხვა ერთეულის საქმიანობაში (მაგრამ არ ჰქონდა კონტროლი მოპოვებული წინამდებარე სტანდარტის

შესაბამისად), ან როდესაც მან კონტროლი დაკარგა აღნიშნულ ერთეულზე, წინ უსწრებს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისს, ერთეულმა უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული წმინდა აქტივების/კაპიტალის მონაცემების კორექტირების სახით, უნდა აღიაროს სხვაობა შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

- (ა) აქტივების, ვალდებულებებისა და უმცირესობის წილების ადრინდელი საბალანსო ღირებულება; და
- (ბ) სხვა ერთეულში ერთეულის მონაწილეობის წილთან დაკავშირებით აღიარებული თანხა.

თუ ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდს, წმინდა აქტივების/კაპიტალის კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის დასაწყისში.

#### ძალაში შესვლის თარიღი

- 79. ერთეულმა წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2017 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული მოცემული სტანდარტის გამოყენებას დაიწყებს უფრო ადრეული პერიოდისთვის, მან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და ამავდროულად გამოიყენოს სსბასს 34, *ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*.
- 79ა. მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტები ამოღებულია და მე-8 პუნქტი შეცვლილია 2016 წლის აპრილში *სსბასს-ების გამოყენება* გამოცემის შედეგად. ერთეული ვალდებულია ზემოაღნიშნული ცვლილებები გამოიყენოს წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისათვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.
- 79ბ. მე-6 პუნქტი შეიცვალა 2016 წლის ივლისში სსბასს 39-ის, *დაქირავებულთა სარგებელი*, გამოცემის შედეგად. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისათვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი და ამავდროულად გამოიყენოს სსბასს 39.
- 79გ. მე-4, მე-40, 56-ე, 57-ე და 63-ე პუნქტები შეიცვალა 2017 წლის იანვარში სსბასს 40-ის, *საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები*, გამოცემის შედეგად. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა

გამოიყენოს წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული იყენებს ცვლილებებს 2019 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი და ამავედროულად გამოიყენოს სსბასს 40.

79დ. 52-ე პუნქტი შეიცვალა და 55 (ა) პუნქტი დაემატა 2017 წლის იანვარში სსბასს 40-ის, *საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები*, გამოცემის შედეგად. ერთეული ამ ცვლილებებს გამოიყენებს პერსპექტიულად, წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს, რომლებიც იწყება სსბასსს-ს მიერ განსაზღვრული თარიღიდან ან მის შემდეგ. ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუ ერთეული გამოიყენებს ზემოაღნიშნულ ცვლილებებს უფრო ადრე, მან უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და, თუ მას უკვე არ გაუკეთებია, იმავედროულად გამოიყენოს სსბასს 40.

80. როდესაც ერთეული ნერგავს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე სსბასს-ებს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 33-ში, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ძალაში შესვლის თარიღისათვის, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ერთეულის წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს, დაწყებულს სსბასს-ების დანერგვის თარიღიდან ან მის შემდეგ.

## **სსბასს 6 – ის გაუქმება და ჩანაცვლება (2006 წლის დეკემბერი)**

81. წინამდებარე სტანდარტი გამოიცა სსბასს 34-თან ერთად. ორი სტანდარტი ერთად ანაცვლებს სსბასს 6-ს (2006 წლის დეკემბერი). სსბასს 6 მოქმედებს მანამ, სანამ სსბასს 34 და სსბასს 35 არ იქნება გამოყენებული ან ძალაში არ შევა - რომელიც უფრო ადრე მოხდება.

**დანართი „ა“**

## **მითითებები გამოყენებაზე**

წინამდებარე დანართი სსბასს 35-ის შემადგენელი ნაწილია.

მგ1. წინამდებარე დანართში ჰიპოთეტური სიტუაციებია წარმოდგენილი. მართალია, ამ მაგალითების ზოგიერთი ასპექტი



შეიძლება ფაქტობრივად არსებობდეს, მაგრამ ყველა კონკრეტული ფაქტი და გარემოება უნდა შეფასდეს სსბასს 35-ის, *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*, გამოყენებისას.

## კონტროლის შეფასება

მგ2. იმისათვის, რომ ერთეულმა განსაზღვროს, ის აკონტროლებს თუ არა მეორე ერთეულს, მან უნდა შეაფასოს აქვს თუ არა ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი:

- (ა) უფლებამოსილება სხვა ერთეულზე;
- (ბ) სხვა ერთეულში მისი მონაწილეობიდან წარმოქმნილ ცვალებად სარგებლთან დაკავშირებული რისკი ან უფლებები; და
- (გ) მეორე ერთეულზე თავისი უფლებამოსილების გამოყენების უნარი, რათა გავლენა მოახდინოს ამ ერთეულში მისი მონაწილეობიდან წარმოქმნილი სარგებლის ხასიათსა და ოდენობაზე.

მგ3. შემდეგი საკითხების გათვალისწინებას შეუძლია დახმარების გაწევა აღნიშნულის განსაზღვრაში:

- (ა) აღნიშნული მეორე ერთეულის დანიშნულება და სტრუქტურა (იხ. პუნქტები მგ5–მგ8);
- (ბ) რომელია რელევანტური საქმიანობები და ამ საქმიანობების შესახებ როგორ მიიღება გადაწყვეტილებები (იხ. პუნქტები მგ13–მგ15);
- (გ) ერთეულის უფლებები განაპირობებს თუ არა მიმდინარე მომენტში მის უნარს, რომ წარმართოს მეორე ერთეულის რელევანტური საქმიანობები (იხ. პუნქტები მგ16–მგ56);
- (დ) ერთეულს აქვს თუ არა მეორე ერთეულში მისი მონაწილეობიდან წარმოქმნილ ცვალებად სარგებლთან დაკავშირებული რისკი ან უფლებები (იხ. პუნქტები მგ57–მგ58); და
- (ე) ერთეულს აქვს თუ არა მეორე ერთეულზე თავისი უფლებამოსილების გამოყენების უნარი, რათა გავლენა მოახდინოს ამ ერთეულში მისი მონაწილეობიდან წარმოქმნილი სარგებლის ხასიათსა და ოდენობაზე (იხ. პუნქტები მგ60–მგ74).

მგ4. იმისათვის, რომ ერთეულმა განსაზღვროს, აკონტროლებს თუ არა

მეორე ერთეულს, მან უნდა გაითვალისწინოს თავისი ურთიერთობა სხვა მხარეებთან (იხ. პუნქტები მგ75–მგ77).

### **სხვა ერთეულის დანიშნულება და სტრუქტურა**

- მგ5. ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს იმ ერთეულის დანიშნულება და სტრუქტურა, რომლის კონტროლის თვალსაზრისით შემოწმებაც ხორციელდება, რათა გამოავლინოს რელევანტური საქმიანობები, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები ამ რელევანტურ საქმიანობებზე და მიმდინარე მომენტში ვისა აქვს ამ საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობა, ასევე, ვინ იღებს სარგებელს ამ საქმიანობებიდან.
- მგ6. იმ ერთეულის დანიშნულებისა და სტრუქტურის გათვალისწინების შემდეგ, რომლის კონტროლის თვალსაზრისით შემოწმებაც ხორციელდება, შეიძლება ნათელი გახდეს, რომ ერთეული, რომლის კონტროლის შეფასებაც ხორციელდება, კონტროლირდება იმ წილობრივი ინსტრუმენტების მეშვეობით, რომლებიც წარმოქმნიან მფლობელის პროპორციულ ხმის უფლებებს, როგორცაა მაგალითად ჩვეულებრივი აქციები. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების შემცველი დამატებითი შეთანხმებების არარსებობის პირობებში, კონტროლის შეფასებისას აქცენტი კეთდება იმის განსაზღვრაზე, რომელ მხარეს, თუ არსებობს ასეთი, აქვს საკმარისი ხმის უფლებების გამოყენების უნარი იმისათვის, რომ განსაზღვროს კონტროლის თვალსაზრისით შესაფასებელი ერთეულის საოპერაციო და ფინანსური პოლიტიკა (იხ. პუნქტები მგ32–მგ52). ყველაზე მარტივ შემთხვევაში ერთეული, რომელიც ხმის უფლებების უმრავლესობას ფლობს, სხვა ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში, აკონტროლებს ამ ერთეულს.
- მგ7. იმისათვის, რომ უფრო რთულ შემთხვევებში განისაზღვროს ერთეული აკონტროლებს თუ არა მეორე ერთეულს, შეიძლება აუცილებელი იქნეს პუნქტში მგ3 მოცემული ზოგიერთი ან ყველა ფაქტორის გათვალისწინება.
- მგ8. შეიძლება ხმის უფლებები გადამწყვეტი ფაქტორი არ იყოს იმის განსაზღვრისას, ვინ აკონტროლებს ერთეულს, რომლის კონტროლის შეფასებაც ხორციელდება. თუ ხმის უფლებები არსებობს, შეიძლება მისი მოქმედების სფერო შეზღუდული იყოს. კონტროლის თვალსაზრისით შესაფასებელი ერთეულის რელევანტური საქმიანობები შეიძლება წარიმართებოდეს სავალდებულო შეთანხმებებით ან ისეთი სადამფუძნებლო

დოკუმენტების დებულებებით, როგორცაა მაგალითად წესდება ან კონსტიტუცია. ასეთ შემთხვევაში, შესაფასებელი ერთეულის დანიშნულებისა და სტრუქტურის განხილვა უნდა მოიცავდეს ასევე იმ რისკების განხილვას, რომელთა ამ ერთეულის მიერ აღებაა გათვალისწინებული, ან რისკების, რომელთა სხვა ერთეულის მიერ აღებაა გათვალისწინებული, ან ზოგიერთი მათგანის ან ყველა რისკის განხილვას. რისკების გათვალისწინება გულისხმობს არა მარტო დადმასვლის რისკს, არამედ აღმასვლის რისკსაც.

### **უფლებამოსილება**

- მგ9. სხვა ერთეულზე უფლებამოსილება რომ ჰქონდეს, ერთეულს უნდა გააჩნდეს უფლებები, რომელიც მას მიმდინარე მომენტში მისცემს შესაძლებლობას, წარმართოს აღნიშნული დაკავშირებული საქმიანობები. უფლებამოსილების შეფასების მიზნისთვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს მხოლოდ არსებითი უფლებები და უფლებები, რომლებიც დამცავი ხასიათის არ არის (იხ. პუნქტები მგ25–მგ31).
- მგ10. იმის განსაზღვრა, ერთეულს აქვს თუ არა უფლებამოსილება, დამოკიდებულია რელევანტურ საქმიანობებზე, ამ საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების ხასიათსა და პოტენციურ კონტროლირებულ ერთეულთან დაკავშირებით ამ და სხვა ერთეულების უფლებებზე.
- მგ11. როგორც წესი, ერთეულს უფლებამოსილება ექნება მის მიერ შექმნილ ერთეულზე, როდესაც სადამფუძნებლო დოკუმენტში ან შესაბამის კანონმდებლობაში მითითებულია ის საოპერაციო და საფინანსო საქმიანობები, რომლებსაც ეს ერთეული ახორციელებს. თუმცა, სადამფუძნებლო დოკუმენტის ან კანონმდებლობის გავლენის შეფასება ხდება არსებული გარემოებების ჭრილში, რადგან ყველა ფაქტი და გარემოება უნდა იქნეს გათვალისწინებული იმის შეფასებისას, ერთეულს აქვს თუ არა უფლებამოსილება სხვა ერთეულზე. მაგალითად, მთავრობას შეიძლება უფლებამოსილება არ ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევით და განვითარების კორპორაციაზე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი მანდატის საფუძველზე ფუნქციონირებს და ამ ან სხვა კანონმდებლობით რელევანტური საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება დაკისრებული აქვს სხვა ერთეულებს, რომლებიც მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარებიან.

### *მარეგულირებელი კონტროლი*

- მგ12. საზოგადოდ, წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის

მარეგულირებელი კონტროლი არ წარმოქმნის უფლებამოსილებას სხვა ერთეულზე. მთავრობასა და სხვა საჯარო სექტორის ერთეულებს, მათ ზენაციონალურ ორგანოებს, შეიძლება იმ მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის ფართო უფლებამოსილება ჰქონდეთ, რომლის ფარგლებშიც ერთეულები ფუნქციონირებენ, რათა დააწესონ პირობები ან სანქციები მათ ოპერაციებზე და აღასრულონ აღნიშნული პირობები ან სანქციები. მაგალითად, მთავრობები და სხვა საჯარო სექტორის ერთეულები ზღუდავენ სახიფათო საქონლის გაყიდვას ან მოხმარებას, ან განსაზღვრავენ მონოპოლიების ფასწარმოქმნის პოლიტიკას. თუმცა, როდესაც რეგულირება იმდენად მჭიდროა, რომ ფაქტობრივად კარნახობს, როგორ წარმართოს ერთეულმა თავისი საქმიანობა, მაშინ შეიძლება აუცილებელი იქნეს იმის განხილვა, არის თუ არა ამ ერთეულის დანიშნულება და სტრუქტურა ისეთი, რომ ის მარეგულირებელი ერთეულის მიერ კონტროლირდებოდეს.

#### *რეგულაციური საქმიანობები და რეგულაციური საქმიანობების წარმართვა*

მგ13. მრავალი ერთეულის შემთხვევაში, საოპერაციო და საფინანსო საქმიანობების სპექტრი გავლენას ახდენს მათ მიერ წარმოქმნილ სარგებელზე. ნებისმიერმა საქმიანობამ, რომელიც ეხმარება კონტროლირებულ ერთეულს მიზნების მიღწევაში ან რომელსაც წვლილი შეაქვს მიზნების მიღწევაში, შეიძლება გავლენა იქონიოს კონტროლირებულ ერთეულის სარგებელზე. იმ საქმიანობების მაგალითები, რომლებსაც, გარემოებების მიხედვით, შეუძლია იყოს რეგულაციური საქმიანობები, სხვასთან ერთად, მოიცავს:

- (ა) აქტივების მოხმარება და ვალდებულებების აღება მომსახურების მიმღებთათვის მომსახურების გასაწევად;
- (ბ) კონკრეტული პირების ან ჯგუფებისთვის ფონდების განაწილება;
- (გ) შემოსავლის ამოღება არაგაცვლითი ოპერაციების მეშვეობით;
- (დ) საქონლის ან მომსახურების გაყიდვა ან შესყიდვა;
- (ე) ფიზიკური აქტივების მართვა;
- (ვ) ფინანსური აქტივების მართვა მათი მომსახურების პერიოდში (დეფოლტის ჩათვლით);
- (ზ) აქტივების შერჩევა, შექმნა და გაყიდვა;
- (თ) ვალდებულებების პორტფელის მართვა;
- (ი) ახალი პროდუქტების ან პროცესების კვლევა და შექმნა; და

(ვ) დაფინანსების სტრუქტურის განსაზღვრა ან დაფინანსების მოპოვება.

მგ14. რელევანტური საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მაგალითები, სხვასთან ერთად, მოიცავს:

(ა) საოპერაციო და კაპიტალის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას, ბიუჯეტის ჩათვლით; და

(ბ) ერთეულის ძირითადი ხელმძღვანელი პირების ან მომსახურების მომწოდებლების დანიშვნასა და ანაზღაურების განსაზღვრას, ასევე მათი მომსახურების ან დასაქმების შეწყვეტას.

მგ15. ზოგიერთ სიტუაციაში კონკრეტული გარემოებების შექმნამდე ან მის შემდეგ საქმიანობები შეიძლება იყოს რელევანტური საქმიანობები. როდესაც ორ ან მეტ ერთეულს მიმდინარე მომენტში შესაძლებლობა აქვს, რომ წარმართოს რელევანტური საქმიანობები და ეს საქმიანობები სხვადასხვა დროს ხდება, ამ ერთეულებმა უნდა განსაზღვრონ, რომელ ერთეულს შეუძლია იმ საქმიანობების წარმართვა, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ სარგებელზე, განმეორებადი გადაწყვეტილებების მიღების უფლებების შესაბამისად (იხ. 28-ე პუნქტი). აღნიშნულმა ერთეულებმა დროთა განმავლობაში ხელახლა უნდა გაითვალისწინონ ეს შეფასება, თუ შეიცვლება შესაბამისი ფაქტები ან გარემოებები.

*უფლებები, რომლებიც ერთეულს სხვა ერთეულზე უფლებამოსილებას აძლევს*

მგ16. უფლებამოსილება წარმოიქმნება უფლებებიდან. სხვა ერთეულზე ეუფლებამოსილების მოსაპოვებლად ერთეულს უნდა ჰქონდეს უფლებები, რომელიც მას სხვა ერთეულის რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობას აძლევს მიმდინარე მომენტში. უფლებები, რომლებმაც შეიძლება ერთეულის უფლებამოსილება წარმოქმნას, ერთმანეთისგან განსხვავდება.

მგ17. იმ უფლებების მაგალითები, რომლებსაც შეუძლია ერთეულისთვის უფლებამოსილების მიცემა, სხვასთან ერთად, მოიცავს:

(ა) სხვა ერთეულის მმართველი ორგანოსთვის პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით მითითებების მიცემის უფლება, რომელიც ამ უფლების მფლობელს აღნიშნული სხვა ერთეულის რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობას აძლევს;

- (ბ) უფლებები სხვა ერთეულის ხმის უფლებების (ან პოტენციური ხმის უფლებების) სახით (იხ. პუნქტები მგ32–მგ52);
- (გ) სხვა ერთეულის ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალის, რომელთაც რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობა აქვთ, დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის ან გათავისუფლების უფლება;
- (დ) სხვა ერთეულის, რომელიც რელევანტურ საქმიანობებს წარმართავს, დანიშვნის ან გათავისუფლების უფლება;
- (ე) სხვა ერთეულის რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებული საოპერაციო და კაპიტალის ბიუჯეტების დამტკიცების ან ვეტოს უფლება;
- (ვ) სხვა ერთეულის მიერ ერთეულის სასარგებლოდ ოპერაციებში მონაწილეობის წარმართვის უფლება ან ნებისმიერი ცვლილების ვეტოს უფლება;
- (ზ) სხვა ერთეულში ძირითადი ცვლილებების ვეტოს უფლება, როგორცაა მაგალითად სხვა ერთეულის ძირითადი აქტივის გაყიდვა; და
- (თ) სხვა უფლებები (როგორცაა მაგალითად მენეჯმენტის ხელშეკრულებაში მითითებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებები), რომლებიც მის მფლობელს რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობას აძლევს.

მგ18. იმისათვის, რომ ერთეულმა განსაზღვროს, აქვს თუ არა უფლებამოსილება, მან უნდა განიხილოს არსებული სავალდებულო შეთანხმებები და მექანიზმ(ებ)ი, რომლის მეშვეობითაც მან მოიპოვა უფლებამოსილება. გზები, რომელთა საშუალებით ერთეულმა შეიძლება მოიპოვა უფლებამოსილება, ინდივიდუალურად ან სხვა შეთანხმებებთან კომბინაციაში, მოიცავს:

- (ა) საკანონმდებლო ან აღმასრულებელ უფლებამოსილებას;
- (ბ) ადმინისტრაციულ შეთანხმებებს;
- (გ) სახელშეკრულებო შეთანხმებებს;
- (დ) სადამფუძნებლო დოკუმენტებს (მაგალითად, წესდება); და
- (ე) ხმის ან მსგავს უფლებებს.

მგ19. იმისათვის, რომ განსაზღვროს, ერთეულს საკმარისი უფლებები აქვს თუ არა იმისათვის, რომ უფლებამოსილება გააჩნდეს, ერთეულმა ასევე უნდა გაითვალისწინოს სხვა ერთეულის დანიშნულება და სტრუქტურა (იხ. პუნქტები მგ5–მგ8) და პუნქტებში მგ53–მგ56 მოცემული მოთხოვნები, პუნქტებთან მგ20–მგ22 ერთად.

მგ20. ზოგიერთ ვითარებაში შეიძლება რთული იყოს იმის განსაზღვრა, ერთეულს აქვს თუ არა საკმარისი უფლებები, სხვა ერთეულზე უფლებამოსილების წარმოქმნისთვის. მსგავს შემთხვევებში, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს უფლებამოსილების შეფასება, ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს მტკიცებულება იმის შესახებ, მას აქვს თუ არა რელევანტური საქმიანობების ცალმხრივად წარმართვის პრაქტიკული შესაძლებლობა. სხვა ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები, რომლებმაც უფლებებსა და პუნქტებში მგ21 და მგ22 მოცემულ ინდიკატორებთან ერთად, შეიძლება უზრუნველყოს მტკიცებულება, რომ ერთეულის უფლებები საკმარისია სხვა ერთეულზე უფლებამოსილების წარმოსაქმნელად:

- (ა) ერთეულს შეუძლია, სახელშეკრულებო უფლების გარეშე, დანიშნოს ან დაამტკიცოს სხვა ერთეულის ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალი, რომელთაც აქვთ რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობა;
- (ბ) ერთეულს შეუძლია, სახელშეკრულებო უფლების გარეშე, წარმართოს სხვა ერთეული ან ვეტო დაადოს ნებისმიერ ცვლილებას მნიშვნელოვან ოპერაციებში, თავის სასარგებლოდ;
- (გ) ერთეულს შეუძლია დომინირება სხვა ერთეულის მმართველი ორგანოს წევრების არჩევისას ნომინაციის პროცესზე, ან ხმის უფლების სხვა მფლობელებისგან მინდობილობის მიღება;
- (დ) სხვა ერთეულის ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალი ერთეულის დაკავშირებული მხარეა (მაგალითად, სხვა ერთეულის აღმასრულებელი დირექტორი და ერთეულის დირექტორი ერთი და იგივე პირია); ან
- (ე) სხვა ერთეულის მმართველი ორგანოს წევრების უმეტესობა ერთეულის დაკავშირებული მხარეა.

მგ21. ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს სხვა ერთეულთან ერთეულის

სპეციფიური ურთიერთობის ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ერთეულს სხვა ერთეულში პასიურ წილთან შედარებით უფრო მეტი ინტერესი აქვს. ნებისმიერი ნიშნის, ან ნიშნების ერთობლიობის არსებობა, აუცილებელი არ არის, რომ ნიშნავდეს უფლებამოსილების კრიტერიუმის დაკმაყოფილებას. თუმცა, თუ ერთეულს სხვა ერთეულში პასიურ წილთან შედარებით უფრო მეტი ინტერესი აქვს, ეს შეიძლება მიუთითებდეს, რომ ერთეულს სხვა დაკავშირებული უფლებები აქვს, რომელიც საკმარისია მისთვის სხვა ერთეულზე უფლებემოსილების მოსაპოვებლად ან უზრუნველყოფს სხვა ერთეულზე უფლებემოსილების არსებობის მტკიცებულებას. მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები მიუთითებს, რომ ერთეულს სხვა ერთეულში პასიურ წილთან შედარებით მეტი ინტერესი აქვს და სხვა უფლებებთან გაერთიანებით შეიძლება უფლებამოსილებაზე მიუთითებდეს:

(ა) ერთეულსა და სხვა ერთეულის ოპერაციებს შორის ურთიერთობა დამოკიდებულების ურთიერთობაა, როგორც მაგალითად, შემდეგ სიტუაციებშია:

- (i) ერთეული აფინანსებს სხვა ერთეულის ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს და სხვა ერთეული აღნიშნულზეა დამოკიდებული;
- (ii) ერთეული გარანტიას გასცემს სხვა ერთეულის მოვალეობების მნიშვნელოვან ნაწილზე და სხვა ერთეული აღნიშნულზეა დამოკიდებული;
- (iii) ერთეული სხვა ერთეულს უზრუნველყოფს კრიტიკული მნიშვნელობის მომსახურებით, ტექნოლოგიით, ნედლეულით ან მასალებით და სხვა ერთეული აღნიშნულზეა დამოკიდებული;
- (iv) ერთეული აკონტროლებს ისეთ აქტივებს, როგორცაა ლიცენზიები ან სავაჭრო ნიშნები, რომლებსაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სხვა ერთეულისთვის და სხვა ერთეული აღნიშნულზეა დამოკიდებული;
- (v) ერთეული უზრუნველყოფს სხვა ერთეულის ძირითად ხელმძღვანელ პერსონალს (მაგალითად, როდესაც ერთეულის პერსონალს სხვა ერთეულის ოპერაციების სპეციალიზებული ცოდნა აქვს) და სხვა ერთეული აღნიშნულზეა დამოკიდებული.

(ბ) სხვა ერთეულის საქმიანობების მნიშვნელოვან ნაწილშია



ჩართული ერთეული ან საქმიანობები მისი სახელით ხორციელდება;

- (გ) სხვა ერთეულში ერთეულის მონაწილეობიდან წარმოქმნილ ცვალებად სარგებლთან დაკავშირებული რისკი ან უფლებები აღემატება მის ხმის ან სხვა მსგავს უფლებებს. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს სიტუაცია, როდესაც ერთეულს სხვა ერთეულის სარგებლის ნახევარზე მეტის მიღების უფლება ან რისკი აქვს, თუმცა ის სხვა ერთეულის ხმის უფლებების ნახევარზე ნაკლებს ფლობს.

მგ22. საჯარო სექტორის ერთეულებს ხშირად სპეციფიური ურთიერთობები აქვთ სხვა მხარეებთან პუნქტში მგ21 ჩამოთვლილი ნიშნების შედეგად. საჯარო სექტორის ერთეულები ხშირად აფინანსებენ სხვა ერთეულების საქმიანობებს. ეკონომიკური დამოკიდებულება განხილულია პუნქტებში მგ41-მგ42.

მგ23. რაც უფრო მეტია სხვა ერთეულში მისი მონაწილეობიდან წარმოქმნილ ცვალებად სარგებლთან დაკავშირებული რისკი ან უფლებები, მით უფრო მეტია ერთეულის მოტივაცია, რომ უფლებამოსილების მოსაპოვებლად საკმარისი უფლებები მიიღოს. მამასადამე, სხვა ერთეულში მისი მონაწილეობიდან წარმოქმნილ ცვალებად სარგებლთან დაკავშირებული მაღალი რისკი ან დიდი უფლებები მიანიშნებს, რომ ერთეულს შეიძლება უფლებამოსილება აქვს. თუმცა, ერთეულის რისკის დონე თავისთავად არ განსაზღვრავს, აქვს თუ არა ერთეულს უფლებამოსილება სხვა ერთეულზე.

მგ24. როდესაც პუნქტში მგ20 მოცემული ფაქტორები და პუნქტებში მგ21-მგ23 მოცემული ნიშნები ერთეულის უფლებებთან ერთად განიხილება, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება პუნქტში მგ20 აღწერილ უფლებამოსილების მტკიცებულებას.

არსებითი უფლებები

მგ25. იმის შეფასებისას, აქვს თუ არა უფლებამოსილება, ერთეული ითვალისწინებს სხვა ერთეულთან დაკავშირებულ მხოლოდ არსებით უფლებებს (რომელსაც ერთეული ან სხვები ფლობენ). იმისათვის, რომ უფლება არსებითი იყოს, მის მფლობელს ამ უფლების გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

მგ26. იმის განსაზღვრა, უფლებები არსებითია თუ არა, განსჯის

გამოყენებას მოითხოვს, ყველა ფაქტისა და გარემოების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი ფაქტორები, სხვასთან ერთად, მოიცავს:

- (ა) არსებობს თუ არა ბარიერები (ეკონომიკური ან სხვაგვარი), რომელიც მფლობელს (ან მფლობელებს) ამ უფლებების გამოყენებაში უშლის ხელს. მსგავსი ბარიერების მაგალითები, სხვასთან ერთად, მოიცავს შემდეგს:
  - (i) ფინანსური ჯარიმები და მოტივაცია, რომელიც ხელს უშლის (ან აფერხებს) მფლობელის მიერ ამ უფლებების გამოყენებას;
  - (ii) განხორციელების ან კონვერსიის ფასი, რომელიც წარმოქმნის ფინანსურ ბარიერს, რომელიც ხელს უშლის (ან აფერხებს) მფლობელის მიერ ამ უფლებების გამოყენებას;
  - (iii) პირობები, რომლებიც გამორიცხავს ამ უფლებების გამოყენებას, მაგალითად, პირობები, რომლებიც ზღუდავენ ამ უფლების გამოყენების ვადებს;
  - (iv) სხვა ერთეულის სადამფუძნებლო დოკუმენტებში ან შესაბამის კანონებსა და რეგულირებაში ცალსახა, გონივრული მექანიზმის, რომელიც მფლობელს თავისი უფლებების გამოყენების საშუალებას მისცემდა, არარსებობა;
  - (v) ამ უფლებების მფლობელის უუნარობა, მოიპოვოს უფლებების გამოყენებისათვის საჭირო ინფორმაცია;
  - (vi) საოპერაციო ბარიერები ან მოტივაცია, რომელიც ხელს უშლის (ან აფერხებს) მფლობელის მიერ თავისი უფლებების გამოყენებას (მაგ., იმ ხელმძღვანელების არარსებობა, რომელთაც სურთ ან შეუძლიათ სპეციალიზებული მომსახურების გაწევა ან მომსახურების გაწევა და არსებული ხელმძღვანელის სხვა ინტერესების აღება);
  - (vii) იურიდიული ან მარეგულირებელი მოთხოვნები, რომლებიც ზღუდავენ ამ უფლებების გამოყენების საშუალებებს ან მფლობელს თავისი უფლებების გამოყენების საშუალებას არ აძლევენ (მაგ., როდესაც სხვა ერთეულს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება აქვს, რაც მას მთავრობისგან

დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალებას აძლევს ან როდესაც უცხოურ ერთეულს ეკრძალება თავისი უფლებების გამოყენება).

(ბ) როდესაც უფლებების გამოყენებისათვის ერთზე მეტი მხარის თანხმობაა საჭირო ან როდესაც უფლებებს ერთზე მეტი მხარე ფლობს, არსებობს თუ არა მექანიზმი, რომელიც აღნიშნულ მხარეებს თავიანთი უფლებების გამოყენების საშუალებას მისცემს, თუ ისინი ამას მოისურვებენ. მსგავსი მექანიზმის არარსებობა არის ნიშანი, რომ ეს უფლებები შეიძლება არსებითი არ არის. რაც უფრო მეტი მხარის თანხმობაა საჭირო უფლებების გამოყენებაზე, მით უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს უფლებები არსებითია. თუმცა, დირექტორთა საბჭომ (ან სხვა მმართველი ორგანო), რომლის წევრები გადაწყვეტილებების მიმღებისგან დამოუკიდებელი არიან, შეიძლება შეასრულოს მრავალი ერთეულის (ან სხვა მხარეების) მიერ უფლებების გამოყენებისას კოლექტიურად მოქმედების მექანიზმის როლი. შესაბამისად, დამოუკიდებელი დირექტორთა საბჭოს (ან სხვა მმართველი ორგანოს) განხორციელებადი გათავისუფლების უფლებები, უფრო სავარაუდოა, რომ არსებითი იქნება, ვიდრე იგივე უფლებები, რომლებიც ინდივიდუალურადაა განხორციელებადი ერთეულების (ან სხვა მხარეების) დიდი რაოდენობის მიერ.

(გ) როდესაც მხარე ან მხარეები, რომლებიც ამ უფლებებს ფლობენ, სარგებელს იღებენ ამ უფლებების გამოყენებიდან. მაგალითად, სხვა ერთეულში პოტენციური ხმის უფლებების მფლობელმა (იხ. პუნქტები მგ49–მგ52) უნდა გაითვალისწინოს ამ ინსტრუმენტის განხორციელების ან კონვერსიის ფასი. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ პოტენციური ხმის უფლებები არსებითი იქნება, როდესაც ამ ინსტრუმენტს გამოყენება სარფიანია ან როდესაც ერთეული სხვა მიზნების გამო (მაგ., ერთეულსა და სხვა ერთეულს შორის სინერჯის რეალიზება) მიიღებს სარგებელს ამ ინსტრუმენტის განხორციელების ან კონვერსიისგან.

მგ27. იმისათვის, რომ არსებითი იყოს, უფლებები განხორციელებადი უნდა იყოს მაშინ, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება რელევანტური საქმიანობების მიმართულების შესახებ. როგორც წესი, უფლებები არსებითი რომ იყოს, საჭიროა რომ ისინი მიმდინარე მომენტში იყოს განხორციელებადი. თუმცა, ზოგჯერ

უფლებები შეიძლება არსებითი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლებები მიმდინარე მომენტში განხორციელებადი არ არის.

მგ28. სხვა მხარეების მიერ განხორციელებად არსებით უფლებებს შეუძლია ხელი შეუშალოს ერთეულის მიერ იმ ერთეულის გაკონტროლებას, რომლის კონტროლის თვალსაზრისით შეფასებაც მიმდინარეობს და რომელთანაც არის დაკავშირებული აღნიშნული უფლებები. მსგავსი არსებითი უფლებები არ საჭიროებს მფლობელების მიერ გადაწყვეტილებების ინიცირების შესაძლებლობას. თუ ეს უფლებები უბრალოდ დამცავი არ არის (იხ. პუნქტები მგ29–მგ31), მაშინ სხვა მხარეების მიერ ფლობილ არსებით უფლებებს შეუძლია აღკვეთოს ერთეულის მიერ იმ ერთეულის გაკონტროლება, რომლის კონტროლის თვალსაზრისით შეფასებაც მიმდინარეობს, თუნდაც ეს უფლებები მის მფლობელს რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დამტკიცების ან დაბლოკვის შესაძლებლობას მხოლოდ მიმდინარე მომენტში აძლევდეს.

#### დამცავი უფლებები

მგ29. იმის შეფასებისას, უფლებები წარმოქმნიან თუ არა ერთეულის უფლებამოსილებას სხვა ერთეულზე, ერთეულმა უნდა შეაფასოს მისი უფლებები და სხვა მხარეების მიერ ფლობილი უფლებები დამცავი უფლებებია თუ არა. დამცავი უფლებები დაკავშირებულია სხვა ერთეულის საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან ან განსაკუთრებულ ვითარებაში გამოიყენება. თუმცა, ყველა უფლება, რომელიც განსაკუთრებულ ვითარებაში გამოიყენება ან მოვლენებზეა დამოკიდებული, არის დამცავი (იხ. პუნქტები მგ15 და მგ55).

მგ30. რადგან დამცავი უფლებების მიზანია მათი მფლობელის ინტერესების დაცვა ამ მხარისთვის იმ ერთეულზე უფლებამოსილების მიცემის გარეშე, რომელთანაც არის დაკავშირებული ეს უფლებები, ერთეულს, რომელიც მხოლოდ დამცავ უფლებებს ფლობს, არ შეუძლია სხვა ერთეულზე ჰქონდეს უფლებამოსილება ან აღკვეთოს სხვა მხარის მიერ იმ ერთეულზე უფლებამოსილების აღება, რომელთანაც არის დაკავშირებული ეს უფლებები (იხ. 29-ე პუნქტი 29).

მგ31. დამცავი უფლებების მაგალითები, სხვასთან ერთად, მოიცავს:

(ა) გამსესხებლის უფლებას, შეზღუდოს მსესხებლის მიერ იმ საქმიანობების განხორციელება, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის მსესხებლის საკრედიტო რისკს გამსესხებლის

საზიანოდ;

- (ბ) ერთეულში არამაკონტროლებელი წილის მფლობელი მხარის უფლებას, დაამტკიცოს ის კაპიტალური დანახარჯი, რომელიც აღემატება ჩვეულებრივი საქმიანობისას საჭირო ოდენობას ან დაამტკიცოს წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტების გამოშვება;
- (გ) გამსესხებლის უფლებას, დააყადლოს მსესხებლის აქტივები, თუ მსესხებელი ვერ დააკმაყოფილებს სესხის დაფარვის განსაზღვრულ პირობებს;
- (დ) მარეგულირებლის უფლებას, შეკვეცოს ან დახუროს ერთეულის ოპერაციები, რომლებიც რეგულირებასთან ან სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობაში არ არის. მაგალითად, დაბინძურების მაკონტროლებელ ორგანოს შეიძლება ჰქონდეს იმ ერთეულის ოპერაციების დახურვის უფლებამოსილება, რომელიც არღვევს გარემოსდაცვით რეგულირებას;
- (ე) გარკვეულ შეზღუდულ ვითარებაში სხვა ერთეულის მმართველი ორგანოს წევრების გათავისუფლების უფლებას. მაგალითად, რეგიონის მთავრობას შეიძლება ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ გაათავისუფლოს მუნიციპალიტეტის თავჯდომარე, ან მას დროებით შეუჩეროს უფლებამოსილება და ადმინისტრატორი დანიშნოს, თუ მუნიციპალიტეტს არ შეუძლია დროული გადაწყვეტილებების მიღება ძირითადი პოლიტიკის შესახებ;
- (ვ) მთავრობის უფლებას, გააუქმოს არამომგებიან ერთეულში შენატანების საგადასახადო მიზნებისთვის გამოქვითვადობა, თუ ერთეული მნიშვნელოვნად შეცვლის თავის მიზნებს ან საქმიანობას;
- (ზ) ერთეულის უფლებას, საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის უზრუნველყოს რესურსები, რათა მოითხოვოს, რომ ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი წმინდა აქტივები განაწილდეს ორგანიზაციაზე, რომელიც მსგავს საქმიანობას ეწევა. (თუმცა, თუ ერთეულს ექნებოდა უფლებამოსილება, რომ განესაზღვრა როგორ უნდა განაწილდეს საქველმოქმედო ორგანიზაციის წმინდა აქტივები ლიკვიდაციის შემთხვევაში, მაშინ ამ ერთეულს არსებითი უფლებები ექნებოდა ამ საქველმოქმედო ორგანიზაციასთან მიმართებით).

## *ხმის უფლებები*

მგ32. როდესაც ერთეულს ხმის ან მსგავსი უფლებები აქვს სხვა ერთეულთან მიმართებით, ერთეულმა უნდა განიხილოს, ეს უფლებები წარმოქმნის თუ არა მის შესაძლებლობას მიმდინარე მომენტში, რომ წარმართოს ამ ერთეულის რელევანტური საქმიანობები. აღნიშნულის შეფასებისას ერთეული ამ ნაწილში (პუნქტები მგ33–მგ52) მოცემულ მოთხოვნებს გამოიყენებს.

უფლებამოსილება ხმის უფლებების უმეტესობით

მგ33. ერთეულს, რომელიც სხვა ერთეულის ხმის უფლებების ნახევარზე მეტს ფლობს, უფლებამოსილება აქვს შემდეგ სიტუაციებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პუნქტი მგ34 ან პუნქტი მგ35 ვრცელდება:

- (ა) რელევანტური საქმიანობები წარიმართება ხმის უფლებების უმეტესობის მფლობელის ხმის უფლების საფუძველზე; ან
- (ბ) იმ მმართველი ორგანოს წევრების უმეტესობა, რომელიც რელევანტურ საქმიანობებს წარმართავს, ხმის უფლებების უმეტესობის მფლობელის ხმის უფლებით ინიშნება თანამდებობაზე.

ხმის უფლებების უმეტესობა, ძალაუფლების გარეშე

მგ34. ერთეულს, რომელიც სხვა ერთეულის ხმის უფლებების უმეტესობას ფლობს, ამ ერთეულზე უფლებამოსილება რომ ჰქონდეს, ერთეულის ხმის უფლებები არსებითი უნდა იყოს, პუნქტების მგ25–მგ28 შესაბამისად და მან ერთეული უნდა უზრუნველყოს რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობით მიმდინარე მომენტში, რაც ხშირად საოპერაციო და საფინანსო პოლიტიკის განსაზღვრის მეშვეობით ხორციელდება. თუ სხვა ერთეულს აქვს უფლებები, რომელიც ამ ერთეულს რელევანტური საქმიანობების წარმართვის უფლებას ანიჭებს და ეს ერთეული არ არის იმ ერთეულის რწმუნებული, რომელიც ამ კონტროლის შეფასებას ახორციელებს, მაშინ ერთეულს, რომელიც კონტროლის შეფასებას ახორციელებს, არა აქვს უფლებამოსილება ამ ერთეულზე.

მგ35. ერთეულს სხვა ერთეულზე უფლებამოსილება არა აქვს, თუნდაც ეს ერთეული ამ სხვა ერთეულის ხმის უფლებების უმეტესობას ფლობდეს, როდესაც აღნიშნული ხმის უფლებები არსებითი არ არის. მაგალითად, ერთეულს, რომელსაც სხვა ერთეულის ხმის უფლებების ნახევარზე მეტი აქვს, არ შეუძლია ჰქონდეს

უფლებამოსილება, თუ რელიგვანტური საქმიანობები მთავრობის, სასამართლოს, ადმინისტრატორის, მიმღების, ლიკვიდატორის ან მარეგულირებლის მიერ წარმართვას ექვემდებარება.

უფლებამოსილება ხმის უფლებების უმეტესობის გარეშე

მგ36. ერთეულს შეიძლება უფლებამოსილება ჰქონდეს, თუნდაც სხვა ერთეულის ხმის უფლებების ნახევარზე ნაკლებს ფლობდეს. ერთეულს შეუძლია უფლებამოსილება ჰქონდეს სხვა ერთეულის ხმის უფლებების ნახევარზე ნაკლების ფლობის შემთხვევაში, მაგალითად, შემდეგის მეშვეობით:

- (ა) დირექტორთა საბჭოს (ან სხვა მმართველი ორგანოს) წევრების უმეტესობის დანიშვნის ან გათავისუფლების უფლებამოსილება და სხვა ერთეულის კონტროლი ამ საბჭოს ან ამ ორგანოს მეშვეობით (იხ. პუნქტი მგ38);
- (ბ) სავალდებულო შეთანხმება ერთეულსა და ხმის უფლებების სხვა მფლობელებს შორის (იხ. პუნქტი მგ39);
- (გ) უფლებები, რომლებიც წარმოიშობა სხვა სავალდებულო შეთანხმებებით (იხ. პუნქტი მგ40);
- (დ) ერთეულის ხმის უფლებები (იხ. პუნქტები მგ37 და მგ43–მგ48);
- (ე) პოტენციური ხმის უფლებები (იხ. პუნქტები მგ49–მგ52); ან
- (ვ) (ა)–(ე)-ს კომბინაცია.

### **საკუთრების წილებზე მიკუთვნებული სპეციფიური ხმის უფლებები (ოქროს წილები)**

მგ37. ერთეულს შეიძლება გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდეს და ამგვარად შეუძლია ვეტოს უფლება გამოიყენოს სხვა ერთეულის სხვა ხმის უფლებების მიმართ. ამ სახის უფლებას ზოგჯერ „ოქროს წილს“ უწოდებენ. მსგავსმა სპეციფიურმა უფლებებმა შეიძლება წამოშვან უფლებამოსილება. როგორც წესი, ეს უფლებები დოკუმენტირებულია სხვა ერთეულის სადამფუძნებლო დოკუმენტებში (როგორცაა მაგალითად წესდება) და გამიზნულია ხმის უფლების დონის ან სხვა უფლებების, რომლებსაც შეიძლება გარკვეული მხარეები ფლობდნენ, შეზღუდვისთვის. მათ შეიძლება ასევე ვეტოს უფლება მისცეს ერთეულს სხვა ერთეულში ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებასთან მიმართებით, როგორცაა მაგალითად ძირითადი აქტივის გაყიდვა ან სხვა ერთეულის მთლიანად გაყიდვა.

## **საბჭოს ან სხვა მმართველი ორგანოს კონტროლი**

მგ38. ერთეულს შეიძლება სავალდებულო შეთანხმებების შედეგად (მათ შორის, არსებული კანონმდებლობა, აღმასრულებელი უფლებამოსილება, რეგულირება, სახელშეკრულებო ან სხვა შეთანხმებები) ჰქონდეს დირექტორთა საბჭოს (ან სხვა მმართველი ორგანოს) წევრების უმეტესობის დანიშვნის ან გათავისუფლების უფლება.

## **სავალდებულო შეთანხმება ხმის უფლებების სხვა მფლობელებთან**

მგ39. ერთეულსა და ხმის უფლებების სხვა მფლობელებს შორის სავალდებულო შეთანხმებამ შეიძლება ერთეულს მისცეს უფლება, გამოიყენოს საკმარისი ხმის უფლებები იმისათვის, რომ ერთეულმა უფლებამოსილება მიიღოს, თუნდაც ამ ერთეულს სავალდებულო შეთანხმების გარეშე არ ჰქონდეს საკმარისი ხმის უფლებები იმისათვის, რომ უფლებამოსილება გააჩნდეს. თუმცა, სავალდებულო შეთანხმებით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ერთეულის მიერ საკმარისი ხმის უფლებები, რათა მან შეძლოს გადაწყვეტილებების მიღება რელევანტური საქმიანობების შესახებ.

## **უფლებები სხვა სავალდებულო შეთანხმებებიდან**

მგ40. სხვა გადაწყვეტილებების მიღების უფლებებმა, ხმის უფლებებთან ერთად, შეიძლება წარმოქმნას რელევანტური საქმიანობების მიმდინარე მომენტში წარმართვის შესაძლებლობა. მაგალითად, სავალდებულო შეთანხმებით განსაზღვრულმა უფლებამ, ხმის უფლებასთან ერთად, შეიძლება ერთეულს მისცეს სხვა ერთეულის საოპერაციო ან საფინანსო პოლიტიკის ან სხვა ძირითადი საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობა მიმდინარე მომენტში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ ერთეულის მიერ მიღებულ სარგებელზე. თუმცა, ერთეულს სხვა ერთეულზე კონტროლი არ ექნებოდა, სხვა ერთეულს რომ შეძლებოდა თავისი პოლიტიკის ან პროგრამის მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა (მაგალითად, სავალდებულო შეთანხმების პირობების დაუცველობა და შედეგების მიღება, ან თავისი წესდების შეცვლა ან საკუთარი თავის გაუქმება).

## **ეკონომიკური დამოკიდებულება**

მგ41. მხოლოდ ეკონომიკური დამოკიდებულება არ წარმოქმნის ერთეულზე უფლებამოსილებას წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის. ეკონომიკურ დამოკიდებულებას ადგილი აქვს, როდესაც:



- (a) ერთეულს ერთადერთი ძირითადი კლიენტი ჰყავს და ამ კლიენტის დაკარგვას შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ ერთეულის ოპერაციების არსებობაზე; ან
- (b) ერთეულის საქმიანობები ძირითადად გრანტებითა და შემოწირულობებით ფინანსდება და ის თავისი დაფინანსების ძირითად ნაწილს ერთადერთი ერთეულისგან იღებს.

მგ42. ერთეულმა შეიძლება სხვა ერთეულის, რომელიც მის დაფინანსებაზე დამოკიდებული არ არის, საფინანსო და საოპერაციო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა შეძლოს. თუმცა, საჭიროა ფაქტორების კომბინაციის გათვალისწინება იმისათვის, რომ განისაზღვროს, ეკონომიკური დამოკიდებულება არის თუ არა ისეთი, რომ ეკონომიკურად დამოკიდებულ ერთეულს აღარ აქვს უფლებამოსილება თავისი საფინანსო ან საოპერაციო პოლიტიკის გასატარებლად. თუ ეკონომიკურად დამოკიდებული ერთეული ინარჩუნებს თავისუფლებას იმის თაობაზე, ამა თუ იმ ერთეულისგან მიიღოს თუ არა დაფინანსება, ან განახორციელოს საქმიანობა ერთეულთან, მაშინ ეკონომიკურად დამოკიდებელი ერთეული მაინც ინარჩუნებს საბოლოო უფლებამოსილებას თავისი საფინანსო ან საოპერაციო პოლიტიკის მართვაზე. მაგალითად, კერძო სკოლას, რომელიც დაფინანსებას იღებს მთავრობისგან, მაგრამ ინარჩუნებს თავისუფლებას დაფინანსების მიღებასთან ან მიღებული ფონდების გამოყენების გზებთან დაკავშირებით, მაინც აქვს საბოლოო უფლებამოსილება თავისი საფინანსო ან საოპერაციო პოლიტიკის მართვაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც მსგავსი ერთეულისთვის მიცემული სახელმწიფო გრანტებით მოითხოვება განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილება. მართალია, ერთეულმა შეიძლება სახელმწიფო გრანტები კაპიტალური აქტივების მშენებლობისა და საოპერაციო დანახარჯებისთვის მიიღოს, რომელიც ექვემდებარება სპეციფიური მომსახურების სტანდარტებით განსაზღვრას ან მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდაზე შეზღუდვებს, მაგრამ მის მმართველ ორგანოს შეიძლება მაინც ჰქონდეს თავისუფლება იმის განსაზღვრისთვის, როგორ გამოიყენოს აქტივები; შესაბამისად, ერთეული გააკონტროლებს თავის საფინანსო და საოპერაციო პოლიტიკას. მნიშვნელოვანია ასევე ერთეულის ოპერაციებისა და თვითონ ერთეულის ერთმანეთისგან განსხვავება. ძირითადი კლიენტის დაკარგვამ შეიძლება გავლენა იქონიოს ერთეულის ოპერაციების სიცოცხლისუნარიანობაზე, მაგრამ არა თვითონ ერთეულის არსებობაზე.

## ერთეულის ხმის უფლებები

- მგ43. ერთეულს, რომელსაც ხმის უფლებების უმეტესობაზე ნაკლები ხმის უფლებები აქვს, უფლებამოსილებისათვის საკმარისი უფლებები აქვს, როდესაც ერთეულს რელევანტური საქმიანობების ცალმხრივად წარმართვის პრაქტიკული შესაძლებლობა აქვს.
- მგ44. იმის შეფასებისას, ერთეულის ხმის უფლებები საკმარისია თუ არა უფლებამოსილებისთვის, ერთეული ყველა ფაქტორსა და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:
- (ა) ერთეულის მიერ ფლობილი ხმის უფლებების თანაფარდობა სხვა ხმის უფლებების ოდენობასა და სხვა ხმის უფლებების მფლობელების დისპერსიასთან მიმართებით, შემდეგის გათვალისწინებით:
    - (i) რაც უფრო მეტი ხმის უფლებას ფლობს ერთეული, მით უფრო მეტად არის სავარაუდო, რომ ერთეულს აქვს უფლებები, რომელიც რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობას წარმოქმნის მიმდინარე მომენტში;
    - (ii) რაც უფრო მეტი ხმის უფლებას ფლობს ერთეული სხვა ხმის უფლებების მფლობელებთან შედარებით, მით უფრო უფრო მეტად არის სავარაუდო, რომ ერთეულს აქვს უფლებები, რომელიც რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობას წარმოქმნის მიმდინარე მომენტში;
    - (iii) რაც უფრო მეტი მხარის ერთობლივი ქმედებაა საჭირო ამ ერთეულის ხმის უფლებების გადაწონვისთვის, მით უფრო უფრო მეტად არის სავარაუდო, რომ ერთეულს აქვს უფლებები, რომელიც რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობას წარმოქმნის მიმდინარე მომენტში;
  - (ბ) პოტენციური ხმის უფლებები, რომლებსაც ფლობს ერთეული, ხმის უფლებების სხვა მფლობელები და სხვა მხარეები (იხ. პუნქტები მგ49–მგ52);
  - (გ) სხვა სავალდებულო შეთანხმებებიდან წარმოშობილი უფლებები (იხ. პუნქტი მგ40); და
  - (დ) ნებისმიერი დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომელიც მიუთითებს, რომ ერთეულს აქვს, ან არა აქვს, რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობა იმ მომენტში,

როდესაც საჭიროა ამ გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის ხმის მიცემის ხასიათი აქციონერთა სხვადასხვა შეკრებებზე.

- მგ45. როდესაც რელევანტური საქმიანობების წარმართვა განისაზღვრება ხმის უფლებების უმეტესობით და ერთეული მნიშვნელოვნად მეტ ხმის უფლებას ფლობს, ვიდრე ხმის უფლებების სხვა მფლობელები ან ხმის უფლებების მფლობელთა ორგანიზებული ჯგუფები და სხვა აქციონერების დისპერსია ფართოა, შეიძლება მხოლოდ პუნქტში მგ44(ა)-(გ) ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით გახდეს ცხადი, რომ ამ ერთეულს უფლებამოსილება აქვს სხვა ერთეულზე.
- მგ46. სხვა სიტუაციებში შეიძლება მხოლოდ პუნქტში მგ44(ა)-(გ) ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ გახდეს ცხადი, რომ ამ ერთეულს უფლებამოსილება არა აქვს სხვა ერთეულზე.
- მგ47. თუმცა, მხოლოდ პუნქტში მგ44(ა)-(გ) ჩამოთვლილი ფაქტორები შეიძლება ამომწურავი არ იყოს. თუ ამ ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ ერთეულისთვის ცხადი არ არის, მას აქვს თუ არა უფლებამოსილება, მან დამატებითი ფაქტორები და გარემოებები უნდა გაითვალისწინოს, როგორცაა მაგალითად, სხვა აქციონერები პასიურნი არიან თუ არა, რაც ადრინდელ აქციონერთა შეკრებებზე ხმის მიცემის ხასიათიდან წარმოჩინდება. ეს მოიცავს პუნქტში მგ20 მოცემული ფაქტორებისა და პუნქტებში მგ21-მგ23 მოცემული ნიშნების შეფასებას. ერთეული რაც უფრო ნაკლებ ხმების უფლებას ფლობს და რაც უფრო ნაკლებია მხარეების რაოდენობა, რომლებმაც ერთობლივად უნდა იმოქმედონ ამ ერთეულის ხმის უფლებების გადასაწონად, მით უფრო მეტად იქნება საჭირო დამატებით ფაქტორებსა და გარემოებებზე დაყრდნობა იმისათვის, რომ შეფასდეს ამ ერთეულის უფლებები საკმარისია თუ არა მისი უფლებამოსილების წარმოსაქმნელად. როდესაც პუნქტებში მგ20-მგ23 მოცემული ფაქტორების ერთეულის უფლებებთან ერთად გათვალისწინება ხდება, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება პუნქტში მგ20 მოცემულ უფლებამოსილების მტკიცებულებას, ვიდრე პუნქტებში მგ21-მგ23 მოცემულ უფლებამოსილების ნიშნებს.
- მგ48. თუ პუნქტში მგ44(ა)-(დ) მოცემული ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ ნათელი არ არის, ერთეულს აქვს თუ არა უფლებამოსილება, მაშინ ეს ერთეული სხვა ერთეულს არ აკონტროლებს.

## პოტენციური ხმის უფლებები

- მგ49. კონტროლის შეფასებისას ერთეული ითვალისწინებს სხვა მხარეების მიერ ფლობილ ხმის უფლებებს, ისევე როგორც პოტენციური ხმის უფლებებს, რათა განსაზღვროს მას აქვს თუ არა უფლებამოსილება. პოტენციური ხმის უფლებები არის სხვა ერთეულის ხმის უფლებების მოპოვების უფლებები, როგორცაა მაგალითად უფლებები, რომლებიც წარმოიშობა კონვერტირებადი ინსტრუმენტების ან ოფციონებისგან, მათ შორის ფორვარდული ხელშეკრულებებიდან. აღნიშნული პოტენციური ხმის უფლებების გათვალისწინება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უფლებები არსებითია (იხ. პუნქტები მგ25–მგ28).
- მგ50. პოტენციური ხმის უფლებების გათვალისწინებისას ერთეულმა უნდა განიხილოს ამ ინსტრუმენტის დანიშნულება და სტრუქტურა, ისევე როგორც ერთეულის სხვა ერთეულში მონაწილეობის დანიშნულება და სტრუქტურა. აღნიშნული მოიცავს ამ ინსტრუმენტის სხვადასხვა პირობების შეფასებას, ისევე როგორც ერთეულის აშკარა მოლოდინების, მოტივებისა და ამ პირობებზე დათანხმების მოტივებისა და მიზეზების შეფასებას.
- მგ51. თუ ერთეულს აქვს ასევე სხვა ერთეულის საქმიანობებთან დაკავშირებული ხმის ან სხვა გადაწყვეტილებების მიღების უფლებები, ერთეული შეაფასებს, ეს უფლებები, პოტენციური ხმის უფლებებთან ერთად, წარმოქმნის თუ არა ერთეულის უფლებამოსილებას.
- მგ52. მხოლოდ არსებით პოტენციურ ხმის უფლებებებს, ცალკე აღებულს ან სხვა უფლებებთან ერთად, შეუძლია წარმოქმნას რელევანტური საქმიანობების წარმართვის ერთეულის შესაძლებლობა მიმდინარე მომენტში. მაგალითად, ეს სავარაუდოდ მოხდება, როდესაც ერთეული სხვა ერთეულის ხმის უფლებების 40 პროცენტს ფლობს და პუნქტის მგ26 შესაბამისად არსებით უფლებებს ფლობს ოფციონიდან, რომელიც გულისხმობს ხმის უფლებების დამატებით 20 პროცენტის შექმნას.

*უფლებამოსილება, როდესაც ხმის ან მსგავს უფლებებს მნიშვნელოვანი გავლენა არა აქვს სარგებელზე*

- მგ53. სხვა ერთეულის დანიშნულებისა და სტრუქტურის შეფასებისას (იხ. პუნქტები მგ5–მგ8) ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს სხვა ერთეულის შექმნისას მონაწილეობა და მიღებული გადაწყვეტილებები და შეაფასოს მონაწილეობის პირობები უზრუნველყოფს თუ არა ერთეულს საკმარისი უფლებებით

იმისათვის, რომ მან უფლებამოსილება მიიღოს. სხვა ერთეულის შექმნისას მონაწილეობა თავისთავად საკმარისი არ არის ერთეულის მიერ სხვა ერთეულის კონტროლის წარმოსაქმნელად. თუმცა, ერთეულის შექმნისას მონაწილეობა შეიძლება მიუთითებდეს, რომ ერთეულს ჰქონდა ისეთი უფლებების მოპოვების შესაძლებლობა, რომელიც საკმარისია სხვა ერთეულზე უფლებამოსილების წარმოსაქმნელად და შესაბამისად, ერთეულის დანიშნულებისა და სტრუქტურის განსაზღვრის შესაძლებლობამ შეიძლება წარმოქმნას უფლებამოსილება. ისეთი ერთეულის შემთხვევაში, რომლის შექმნისას წინასწარ განისაზღვრება მისი რელევანტური საქმიანობების უმეტესობა (ან ყველა მათგანი), ერთეულის დანიშნულებისა და სტრუქტურის განსაზღვრის შესაძლებლობის ქონა შეიძლება უფრო შესაბამისი იყოს კონტროლის შეფასებისთვის, ვიდრე მიმდინარე გადაწყვეტილებების მიღების უფლებები.

მგ54. ამასთან, ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს ისეთი სავალდებულო შეთანხმებებიდან წარმოქმნილი უფლებები, როგორცაა ყიდვის უფლებები, გაყიდვის უფლებები, ლიკვიდაციის უფლებები და უფლებები, რომლებიც წარმოიქმნება საკანონმდებლო ან აღმასრულებელი უფლებამოსილებიდან, რაც დადგენილია სხვა ერთეულის შექმნისას. როდესაც სავალდებულო შეთანხმებები მოიცავს საქმიანობებს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ერთეულთან, მაშინ ეს საქმიანობები პრაქტიკულად სხვა ერთეულის საერთო საქმიანობების შემადგენელი ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება სხვა ერთეულის ფარგლებს გარეთ განხორციელდეს. შესაბამისად, სავალდებულო შეთანხმებებში ასახული ცალსახა ან ნაგულისხმევი გადაწყვეტილების მიღების უფლებები, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ერთეულთან, მიჩნეულ უნდა იქნეს რელევანტურ საქმიანობებად, სხვა ერთეულზე უფლებამოსილების განსაზღვრისას.

მგ55. ზოგიერთი სხვა ერთეულისთვის რელევანტური საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გარკვეული გარემოებები შეიქმნება ან გარკვეული მოვლენები მოხდება. სხვა ერთეული შეიძლება ისე იქნეს ჩამოყალიბებული, რომ მისი საქმიანობების მიმართულება და ამ საქმიანობებიდან წარმოქმნილი სარგებელი წინასწარ იყოს განსაზღვრული, გარდა იმ შემთხვევისა და მანამდე, სანამ აღნიშნული გარკვეული გარემოებები წარმოიქმნება ან გარკვეული მოვლენები მოხდება. ასეთ შემთხვევაში ამ გარემოებების შექმნისას ან მოვლენების

მოხდენისას მხოლოდ ერთეულის საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებებს შეუძლია გავლენის მოხდენა სარგებელზე და ამგვარად, რელევანტურ საქმიანობებზე. საჭირო არ არის, რომ ეს გარემოებები ან მოვლენები უკვე მომხდარი იყოს იმისათვის, რომ ამ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის მქონე ერთეულს უფლებამოსილება ჰქონდეს. ფაქტი, რომ გადაწყვეტილებების მიღების უფლება დამოკიდებულია წარმოქმნილ გარემოებებზე ან მოვლენის მოხდენაზე, თავისთავად არ ნიშნავს, რომ ეს უფლებები დამცავი უფლებებია.

მგ56. ერთეულს შეიძლება ჰქონდეს ცალსახა ან ნაგულისხმევი დაპირება, რომ უზრუნველყოს სხვა ერთეულის მიერ საქმიანობის ისე გაგრძელება, როგორც სტრუქტურით იყო გამიზნული. მსგავსმა დაპირებამ შეიძლება გაზარდოს ერთეულის რისკი სარგებლის ცვალებადობასთან დაკავშირებით და ამგვარად, გაზარდოს ერთეულის მოტივაცია, რომ საკმარისი უფლებები მოიპოვოს უფლებამოსილების მისაღებად. შესაბამისად, დაპირება, რომ უზრუნველყოს სხვა ერთეულის მიერ საქმიანობის ისე გაგრძელება, როგორც სტრუქტურით იყო გამიზნული, შეიძლება მიუთითებდეს, რომ ერთეულს აქვს უფლება, მაგრამ ეს თავისთავად არ წარმოქმნის ერთეულის უფლებამოსილებას და არც სხვა ერთეულის მიერ უფლებამოსილების ქონას აღკვეთს.

### **სხვა ერთეულში მონაწილეობიდან წარმოქმნილ ცვალებად სარგებლთან დაკავშირებული რისკი ან უფლებები**

მგ57. იმის შეფასებისას, ერთეული აკონტროლებს თუ არა სხვა ერთეულს, ერთეული განსაზღვრავს მას აქვს თუ არა სხვა ერთეულში მისი მონაწილეობიდან წარმოქმნილ ცვალებად სარგებლთან დაკავშირებული რისკი ან უფლებები.

მგ58. ცვალებადი სარგებელი არის სარგებელი, რომელიც ფიქსირებული არ არის და სხვა ერთეულის საქმიანობის შედეგად ცვლილების პოტენციალი აქვს. ცვალებადი სარგებელი შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, მხოლოდ უარყოფითი ან როგორც დადებითი, ისე უარყოფითი (იხ. 30-ე პუნქტი). ერთეული შეთანხმების შინაარსის საფუძველზე შეაფასებს სხვა ერთეულისგან წარმოქმნილი სარგებელი ცვალებადია თუ არა და რამდენად ცვალებადია ეს სარგებელი, მიუხედავად ამ სარგებლის იურიდიული ფორმისა. მაგალითად:

(ა) არაფინანსური სარგებლის კონტექსტში ერთეულმა სარგებელი შეიძლება მიიღოს სხვა ერთეულის მიერ თავისი

მიზნების მიღწევისთვის განხორციელებული საქმიანობიდან. სარგებელი შეიძლება ცვალებადი იყოს წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის, რადგან მან ერთეული შეიძლება სხვა ერთეულის საქმიანობის შედეგების რისკის წინაშე დააყენოს. თუ სხვა ერთეული ვერ შეძლებდა ამ საქმიანობების განხორციელებას, მაშინ შეიძლება ერთეულს დამატებითი დანახარჯების გაწევა დასჭირვებოდა, ამ საქმიანობების თვითონ განხორციელების, დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფის ან სხვა ფორმით დახმარების გამო, რათა შესაძლებელი გამხდარიყო სხვა ერთეულის მიერ აღნიშნული საქმიანობების გაგრძელება;

- (ბ) ფინანსური სარგებლის კონტექსტში, შეიძლება ერთეული ფლობდეს ფიქსირებულგანაკვეთიანი გადახდების ობლიგაციას. ფიქსირებულგანაკვეთიანი გადახდები ცვალებადი სარგებელია წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის, რადგან ის ექვემდებარება დეფოლტის რისკს და ერთეულისთვის წარმოქმნის ობლიგაციის გამომწვევის საკრედიტო რისკს. ცვალებადობის დონე (ანუ რამდენად ცვალებადია ეს სარგებელი) დამოკიდებულია ობლიგაციის საკრედიტო რისკზე. ანალოგიურად, სხვა ერთეულის აქტივების მართვისთვის ფიქსირებული საქმიანობის შედეგის საზღაური ცვალებადი სარგებელია, რადგან ერთეულის წინაშე წარმოქმნის სხვა ერთეულის საქმიანობის შედეგების რისკს. ცვალებადობის დონე დამოკიდებულია სხვა ერთეულის უნარზე, საკმარისი შემოსავალი წარმოქმნას საზღაურის გადასახდელად.

მგ59. როგორც წესი, ლიკვიდატორს არა აქვს სალიკვიდაციო ერთეულში მონაწილეობიდან ცვალებადი სარგებლის მიღების უფლება.

### **კავშირი უფლებამოსილებასა და სარგებელს შორის**

#### *დელეგირებული უფლებამოსილება*

მგ60. საჯარო სექტორის ერთეულებში გავრცელებულია სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებლობის აღება. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უფლებამოსილი ორგანო მოქმედებდეს თავისი სახელით, ზოგიერთ შემთხვევაში კი შეიძლება ის რომელიმე სამინისტროს ან სხვა ერთეულის რწმუნებულის სახით მოქმედებდეს. მაგალითად:

- (ა) სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომელსაც მინისტრის მიერ უფლებამოსილება აქვს მინიჭებული, რომ მინისტრის

სახელით იმოქმედოს, შეიძლება სხვა ერთეულთან მიმართებაში იმოქმედოს მხოლოდ როგორც პასუხისმგებელი მინისტრის რწმუნებულმა. ასეთ შემთხვევაში ეს დეპარტამენტი არ აკონტროლებს სხვა ერთეულს და მის კონსოლიდირებას არ განახორციელებს.

(ბ) სახელმწიფო დეპარტამენტი შეიძლება მოქმედებდეს მინისტრის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებით. დეპარტამენტი თავისუფალია გადაწყვეტილებების მიღებისა და ღონისძიებების გატარებისას, ის არ ექვემდებარება მინისტრისგან მითითებების მიღებას. ასეთ შემთხვევებში დეპარტამენტი თავისი სახელით მოქმედებს და წინამდებარე სტანდარტში მოცემული სხვა მოთხოვნები უნდა გამოიყენოს, რათა განსაზღვროს, აკონტროლებს თუ არა სხვა ერთეულს. სხვა ერთეულთან მიმართებით დეპარტამენტის გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება იქნება მნიშვნელოვანი ფაქტორი იმის განსაზღვრისას, ის მოქმედებს როგორც რწმუნებული თუ როგორც მარწმუნებელი.

(გ) ერთეულმა შეიძლება ტრასტი შექმნას კონკრეტული საქმიანობების განსახორციელებლად და დანიშნოს ნდობით აღჭურვილი პირი. ნდობით აღჭურვილი პირი პასუხისმგებელია ამ ტრასტის საფინანსო და საოპერაციო საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებებზე, ტრასტის დაფუძნების აქტის შესაბამისად. თუ ერთეულს შეუძლია თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე ამ ნდობით აღჭურვილი პირის ჩანაცვლება, მაშინ ერთეულმა უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ტრასტს, იმის გათვალისწინებით, რომ მას ექნება წარმოქმნილ ცვალებად სარგებლთან დაკავშირებული რისკი ან უფლებები, იმ კონტექსტის თვალსაზრისით, რომელთან მიმართებით მისი მიზნები მიიღწევა ამ ტრასტის საქმიანობების მეშვეობით.

მგნ1. ერთეულმა შეიძლება თავისი გადაწყვეტილებების მიღების უფლების რწმუნებულზე დელეგირება განახორციელოს ზოგიერთ სპეციფიურ საკითხთან ან ყველა რელევანტურ საქმიანობასთან დაკავშირებით. იმის შეფასებისას, აკონტროლებს თუ არა სხვა ერთეულს, ერთეულმა რწმუნებისთვის დელეგირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებები უნდა განიხილოს, როგორც პირდაპირ ერთეულის მიერ ფლობილი. ისეთ სიტუაციებში, როდესაც ერთზე მეტი მარწმუნებელი არსებობს, თითოეულმა მარწმუნებელმა მგ5-მგ5ნ პუნქტებში მოცემული



მოთხოვნების გამოყენებით უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა უფლებამოსილება სხვა ერთეულზე. პუნქტებში მგ62–მგ74 მოცემულია მითითებები იმის განსაზღვრისთვის, გადაწყვეტილების მიმღები რწმუნებულია თუ მარწმუნებელი.

მგ62. გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა განიხილოს ზოგადი ურთიერთობა მასსა და იმ ერთეულს, რომელის მართვა (და კონტროლის თვალსაზრისით შეფასება) ხორციელდება და ასევე ამ ერთეულში მონაწილე სხვა მხარეებს შორის. კერძოდ, იმის განსაზღვრისას, ის რწმუნებულია თუ არა, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორი:

- (ა) სხვა ერთეულთან მიმართებით მისი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების მოქმედების სფერო (იხ. პუნქტები მგ64 და მგ65);
- (ბ) სხვა მხარეების მიერ ფლობილი უფლებები (იხ. პუნქტები მგ66–მგ69);
- (გ) ანაზღაურება, რომლის მიღების უფლება აქვს ანაზღაურების შეთანხმებ(ებ)ის შესაბამისად (იხ. პუნქტები მგ70–მგ72); და
- (დ) გადაწყვეტილების მიმღების მიერ სხვა ერთეულში მის მიერ ფლობილი სხვა წილებიდან ცვალებადი სარგებლის მიღების რისკი (იხ. პუნქტები მგ73 და მგ74).

განსხვავებული წონა უნდა მიენიჭოს თითოეულ ფაქტორს, კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე.

მგ63. იმისათვის, რომ განისაზღვროს, გადაწყვეტილების მიმღები რწმუნებულია, თუ არა, საჭიროა პუნქტში მგ62 ჩამოთვლილი ყველა ფაქტორის განხილვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთადერთი მხარე ფლობს გადაწყვეტილების მიმღების გათავისუფლების არსებით უფლებას (გათავისუფლების უფლებები) და ყოველგვარი მიზეზის გარეშე შეუძლია გადაწყვეტილების მიმღების გათავისუფლება (იხ. პუნქტი მგ67).

### **გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების მოქმედების სფერო**

მგ64. გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების მოქმედების სფერო შეფასდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- (ა) საქმიანობები, რომლებიც ნებადართულია გადაწყვეტილებების მიღების შესახებ შეთანხმებ(ებ)ით და

დადგენილია კანონით, და

(ბ) თავისუფლება, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებს აქვს აღნიშნული საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას.

მგ65. გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს სხვა ერთეულის დანიშნულება და სტრუქტურა, ასევე რისკები, რომელთა ამ ერთეულის მიერ აღება იყო გათვალისწინებული, ან რისკების, რომელთა სხვა მონაწილე მხარეებისთვის გადაცემა იყო გათვალისწინებული და გადაწყვეტილების მიმღების სხვა ერთეულის შექმნისას მონაწილეობის დონე. მაგალითად, თუ გადაწყვეტილების მიმღები მნიშვნელოვნად არის ჩათული სხვა ერთეულის შექმნაში (მათ შორის გადაწყვეტილების მიღების მოქმედების სფეროს განსაზღვრა), ეს მონაწილეობა შეიძლება მიუთითებდეს, რომ გადაწყვეტილების მიმღებს ჰქონდა შესაძლებლობა და მოტივაცია, რომ მოეპოვებინა უფლებები, რომლებიც განაპირობებდა გადაწყვეტილების მიმღების მიერ რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობას.

სხვა მხარეების მიერ ფლობილი უფლებები

მგ66. სხვა მხარეების მიერ ფლობილმა უფლებებმა შეიძლება გავლენა იქონიონ გადაწყვეტილების მიმღების მიერ სხვა ერთეულის რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობაზე. არსებითი გათავისუფლების ან სხვა უფლებები შეიძლება მიუთითებდეს, რომ გადაწყვეტილების მიმღები რწმუნებულია.

მგ67. თუ ერთადერთი მხარე ფლობს გათავისუფლების არსებით უფლებებს და შეუძლია გადაწყვეტილების მიმღები უმიზეზოდ გაათავისუფლოს, ეს, ცალკე აღებული, საკმარისია დასკვნის გაკეთებისთვის, რომ გადაწყვეტილების მიმღები რწმუნებულია. თუ ერთზე მეტი მხარე ფლობს მსგავს უფლებებს (და არცერთ ცალკეულ მხარეს არ შეუძლია გადაწყვეტილების მიმღების გათავისუფლება სხვა მხარეების თანხმობის გარეშე), მაშინ ეს უფლებები, ცალკე აღებული, გადამწყვეტი არ არის იმის განსაზღვრისას, რომ გადაწყვეტილების მიმღები ძირითადად სხვების სახელით და სხვების სასარგებლოდ მოქმედებს. ამასთან, რაც უფრო მეტია იმ მხარეების რაოდენობა, რომლებმაც ერთად უნდა იმოქმედონ გადაწყვეტილების მიმღების გათავისუფლების უფლების გამოსაყენებლად და რაც უფრო მეტია გადაწყვეტილების მიმღების სხვა ეკონომიკური ინტერესის (მაგ., ანაზღაურება და სხვა ინტერესი) მოცულობა და დაკავშირებული ცვალებადობა, მით

უფრო ნაკლები წონა უნდა მიენიჭოს ამ ფაქტორს.

- მგ68. იმისათვის, რომ შეფასდეს გადაწყვეტილების მიმღები რწმუნებულია თუ არა, სხვა მხარეების მიერ ფლობილი არსებითი უფლებები, რომლებიც ზღუდავენ გადაწყვეტილების მიმღების თავისუფლებას, განხილულ უნდა იქნეს გათავისუფლების უფლებების მსგავსად. მაგალითად, გადაწყვეტილების მიმღები, რომელსაც თავისი ქმედებებისთვის თანხმობის მიღება მცირე რაოდენობით სხვა მხარეებისგან მოეთხოვება, როგორც წესი, რწმუნებულია (უფლებებისა და იმის შესახებ, ეს უფლებები არსებითია თუ არა, დამატებითი მითითებები იხილეთ პუნქტებში მგ25–მგ28).
- მგ69. სხვა მხარეების მიერ ფლობილი უფლებების განხილვა უნდა მოიცავდეს სხვა ერთეულის დირექტორთა საბჭოს (ან სხვა მმართველი ორგანოს) მიერ ფლობილი განხორციელებადი უფლებებისა და მათი გავლენის შეფასებას გადაწყვეტილების მიღების უფლებაზე (იხ. პუნქტი მგ26(ბ)).

#### ანაზღაურება

- მგ70. რაც უფრო მაღალია გადაწყვეტილების მიმღების ანაზღაურება, სხვა ერთეულის საქმიანობებისგან მოსალოდნელ სარგებელთან შედარებით, და მეტია მასთან დაკავშირებული ცვალებადობა, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გადაწყვეტილების მიმღები მარწმუნებელია.
- მგ71. იმისათვის, რომ განისაზღვროს ის მარწმუნებელია თუ რწმუნებული, გადაწყვეტილების მიმღებმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, ანაზღაურების შესახებ შეთანხმება მოიცავს თუ არა მხოლოდ ისეთ ვადებს, პირობებსა და თანხას, რომელიც, როგორც წესი, გაითვალისწინება ანალოგიური მომსახურების შეთანხმებებში, ხოლო აუცილებელი კვალიფიკაციის დონე განისაზღვრება სტანდარტული კომერციული პრინციპით.
- მგ72. გადაწყვეტილების მიმღები პირი ვერ იქნება რწმუნებული, თუ მგ74 (ა) და (ბ) პუნქტებში აღწერილი პირობები არ არსებობს. თუმცა, ამ პირობების არსებობა, თავისთავად, საკმარისი არ არის დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი არის რწმუნებული.

რისკები, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ფორმის მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებადობასთან

მგ73. გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა, რომელსაც სხვა ინტერესები გააჩნია სხვა ერთეულთან მიმართებით (მაგალითად, ინვესტიციები სხვა ერთეულში, ან სხვა ერთეულის საქმიანობის შედეგების გარანტირებას უზრუნველყოფს), უნდა გააანალიზოს თავისი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ამგვარი მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებადობასთან, როდესაც აფასებს, არის თუ არა ის რწმუნებული. სხვა ერთეულში სხვა ფორმის მონაწილეობა იმის მიმანიშნებელია, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი შეიძლება იყოს მარწმუნებელი.

მგ74. გადაწყვეტილების მიმღებმა, როდესაც აფასებს სხვა ერთეულში სხვა სახის მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებადობის რისკებს, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

(ა) რაც უფრო მეტი სხვა ეკონომიკური ინტერესები გააჩნია გადაწყვეტილების მიმღებს და რაც უფრო მაღალია ამგვარ ინტერესებთან დაკავშირებული ცვალებადობის ხარისხი, მისი ანაზღაურებისა და სხვა ინტერესების ერთობლივად გათვალისწინებით, მით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ გადაწყვეტილების მიმღები არის მარწმუნებელი;

(ბ) განსხვავდება თუ არა მისი ცვალებადი სარგებლის მიღების რისკები სხვა ერთეულების ანალოგიური რისკებისგან და თუ ასეა, გავლენას იქონიებს თუ არა ეს მის მოქმედებებზე. მაგალითად, ასეთი სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებს გააჩნია სუბორდინირებული წილები სხვა ერთეულში, ან სხვა ერთეულის საკრედიტო რეიტინგის ამაღლებას უზრუნველყოფს სხვა ფორმით.

გადაწყვეტილების მიმღებმა თავისი რისკები უნდა შეაფასოს სხვა ერთეულის მთლიანი შემოსავლების ცვალებად ხასიათთან მიმართებით. ამგვარი შეფასება, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა იმ შემოსავალს, რომლის მიღებაც მოსალოდნელია სხვა ერთეულის საქმიანობიდან, მაგრამ ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღების მაქსიმალური დაქვემდებარება რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ერთეულში გადაწყვეტილების მიმღების სხვა ფორმის მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებადობასთან.

### **ურთიერთობა სხვა მხარეებთან**

მგ75. როდესაც აფასებს კონტროლის არსებობას, ერთეულმა უნდა გააანალიზოს თავისი ურთიერთობის ხასიათი სხვა მხარეებთან და

მოქმედებენ თუ არა ისინი ერთეულის სახელით (ე.ი. არიან თუ არა ისინი „დე ფაქტო რწმუნებულები“). იმის დადგენა, სხვა მხარეები მოქმედებენ თუ არა, როგორც დე ფაქტო რწმუნებულები, საჭიროებს განსჯას, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო ურთიერთობის ხასიათი, არამედ ისიც, როგორ ურთიერთქმედებენ ეს მხარეები ერთმანეთთან და ერთეულთან.

მგ76. აუცილებელი არ არის, რომ ამგვარი ურთიერთობა გულისხმობდეს სავალდებულო შეთანხმებას. მსგავსი ურთიერთობა შეიძლება ასევე წარმოიშვას საკანონმდებლო ან სააღსრულებლო უფლებამოსილებიდან, რომელიც არ აკმაყოფილებს სავალდებულო შეთანხმების განმარტებას. მხარე მიიჩნევა დე ფაქტო რწმუნებულად, როდესაც ერთეულს, ან მხარეებს, რომლებიც მართავენ ერთეულის საქმიანობებს, გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნულ მხარეს მიუთითოს, რომ ერთეულის სახელით იმოქმედოს. ასეთ სიტუაციაში, ერთეულმა, როდესაც აფასებს კონტროლის არსებობას სხვა ერთეულზე, მისი დე ფაქტო რწმუნებულის გადაწყვეტილების მიღების უფლებები და თავისი არაპირდაპირი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია დე ფაქტო რწმუნებულის მეშვეობით ცვალებადი სარგებლის მიღებასთან, ან ამგვარი შემოსავლის მიღების უფლებები უნდა განიხილოს საკუთარ რისკებთან და უფლებებთან ერთად.

მგ77. ქვემოთ განხილულია ამგვარი სხვა მხარეების მაგალითები, რომლებიც, მათი ურთიერთობის ხასიათის მიხედვით, შეიძლება წარმოადგენდნენ ერთეულის დე ფაქტო რწმუნებულებს:

- (ა) ერთეულის დაკავშირებული მხარეები;
- (ბ) მხარე, რომელმაც თავისი წილი სხვა ერთეულში მიიღო, როგორც იმ ერთეულის მიერ განხორციელებული შენატანი, ან ერთეულის მიერ მიცემული სესხი, რომელიც კონტროლის შეფასებას ახორციელებს;
- (გ) მხარე, რომელიც თანახმაა არ გაყიდოს, არ გადასცეს, ან არ გაცვალოს თავისი წილი სხვა ერთეულში, ერთეულის წინასწარი თანხმობის გარეშე (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ერთეულსა და სხვა მხარეს გააჩნიათ წინასწარი დამტკიცების უფლება და ეს უფლება ეფუძნება მსურველ დამოუკიდებელ მხარეებს შორის შეთანხმებულ პირობებს);
- (დ) მხარე, რომელსაც არ შეუძლია თავისი ოპერაციების დაფინანსება ერთეულის სუბორდინირებული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე;

- (ე) სხვა ერთეული, რომლის მმართველი ორგანოს წევრების უმეტესობა, ან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალი, წარმოდგენილია იმავე პიროვნებებით, რომლებიც არიან ერთეულის მმართველი ორგანოს წევრები, ან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალი;
- (ვ) მხარე, რომელსაც მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები გააჩნია ერთეულთან, მაგალითად ურთიერთობა პროფესიული მომსახურების გამწვევსა და ერთ-ერთ მის მნიშვნელოვან კლიენტს შორის.

### **სპეციფიკური აქტივების კონტროლი**

მგ78. ერთეულმა უნდა გააანალიზოს, განიხილავს თუ არა ის სხვა ერთეულის გარკვეულ ნაწილს, როგორც პირობითად დამოუკიდებელ ერთეულს და თუ ასეა, გააჩნია თუ არა კონტროლი პირობითად დამოუკიდებელ ერთეულზე;

მგ79. ერთეულმა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიჩნიოს სხვა ერთეულის გარკვეული ნაწილი პირობითად დამოუკიდებელ ერთეულად, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

სხვა ერთეულის სპეციფიკური აქტივები (და მასთან დაკავშირებული საკრედიტო რეიტინგის ამაღლების მომსახურება, თუ არსებობს) არის სხვა ერთეულის სპეციფიკური ვალდებულებების დაფარვის, ან სხვა სპეციფიკური მონაწილეობის ანაზღაურების ერთადერთი წყარო. ფაქტობრივად, სპეციფიკური აქტივებიდან რაიმე სარგებლის სხვა ერთეულის დარჩენილი ნაწილის მიერ გამოყენება არ შეიძლება და პირობითად დამოუკიდებელი ერთეულის რაიმე ვალდებულებები არ არის გადასახდელი სხვა ერთეულის დარჩენილი ნაწილის აქტივებიდან. ამგვარად, ფაქტობრივად, პირობითად დამოუკიდებელი ერთეულის ყველა აქტივი, ვალდებულება და წილობრივი ინსტრუმენტები დაცულია (გამოცალკევებულია) მთლიანი სხვა ერთეულისგან. ამგვარ პირობითად დამოუკიდებელ ერთეულს ხშირად უწოდებენ „საცავს“.

მგ80. როდესაც მგ79 პუნქტის პირობა დაკმაყოფილებულია, ერთეულმა იმის შესაფასებლად, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება სხვა ერთეულის ამ ნაწილზე, უნდა დაადგინოს ის საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირობითად დამოუკიდებელი ერთეულის შემოსავლებზე და როგორ ხდება ამ საქმიანობების მართვა. როდესაც ერთეული აფასებს, გააჩნია თუ არა მას კონტროლი პირობითად დამოუკიდებელ ერთეულზე, მან

ასევე უნდა გააანალიზოს, ექვემდებარება თუ არა რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია პირობითად დამოუკიდებელ ერთეულში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი სარგებლის მიღებასთან, ან გააჩნია თუ არა პირობითად დამოუკიდებელი ერთეულისგან ცვალებადი სარგებლის მიღების უფლება და იმის შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება სხვა ერთეულის ამ ნაწილთან მიმართებით, რათა გავლენა მოახდინოს თავისი შემოსავლების სიდიდეზე.

მგ81. თუ ერთეულს გააჩნია კონტროლი პირობითად დამოუკიდებელ ერთეულზე, მან უნდა მოახდინოს სხვა ერთეულზე მოცემული ნაწილის კონსოლიდაცია. ასეთ შემთხვევაში, სხვა მხარეებმა უნდა გამორიცხოთ სხვა ერთეულის მოცემული ნაწილი სხვა ერთეულზე კონტროლის არსებობის დასადგენად ჩატარებული ანალიზიდან და სხვა ერთეულის კონსოლიდაციისას.

### **შეფასების უწყვეტობა**

მგ82. თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ შეიცვალა მე-20 პუნქტში ჩამოთვლილი კონტროლის სამი ელემენტიდან ერთი ან მეტი ელემენტი, ერთეულმა ხელახლა უნდა შეაფასოს, გააჩნია თუ არა მას კონტროლი სხვა ერთეულზე.

მგ83. თუ შეიცვალა საშუალება, რომლის მეშვეობითაც ერთეულს შეუძლია სხვა ერთეულთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების რეალიზება, აღნიშნული ცვლილება გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა ერთეულთან მიმართებით ერთეულის უფლებამოსილების არსებობის შეფასებაში. მაგალითად, გადაწყვეტილებების მიღების უფლებების შეცვლა შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ რელევანტური საქმიანობების მართვა უკვე აღარ ხდება ხმის უფლებების მიხედვით, არამედ რეგულირდება სხვა შეთანხმებებით, მაგალითად ხელშეკრულებებით, რომლებიც სხვა მხარეს, ან მხარეებს ანიჭებს მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას.

მგ84. სხვა ერთეულთან მიმართებით უფლებამოსილების მოპოვება, ან დაკარგვა შეიძლება გამოიწვიოს ამა თუ იმ მოვლენამ, რომელშიც თვითონ ერთეული მონაწილეობას არ იღებს. მაგალითად, ერთეულმა სხვა ერთეულთან მიმართებით შეიძლება უფლებამოსილება მოიპოვოს იმის გამო, რომ ვადა გაუვიდა სხვა მხარის, ან მხარეების გადაწყვეტილებების მიღების უფლებებს, რომლებიც ადრე ხელს უშლიდა ერთეულს სხვა ერთეულზე კონტროლის განხორციელებაში.

მგ85. ერთეულმა ასევე უნდა გააანალიზოს ის ცვლილებებიც, რომლებიც გავლენას ახდენს რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ერთეულში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი სარგებლის მიღებასთან. მაგალითად, ერთეულმა, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება სხვა ერთეულთან მიმართებით, შეიძლება დაკარგოს სხვა ერთეულზე კონტროლი, თუ ის დაკარგავს სარგებლის მიღების უფლებას, ან უკვე აღარ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულებებზე, ვინაიდან აღარ აკმაყოფილებს 20(ბ) პუნქტის მოთხოვნას (მაგალითად, თუ შეწყდება სხვა ერთეულის საქმიანობის შედეგების მიხედვით ანაზღაურების მიღების ხელშეკრულება).

მგ86. ერთეულმა უნდა განიხილოს, ხომ არ შეიცვალა მისი შეფასება იმის შესახებ, რომ ის მოქმედებს როგორც რწმუნებული, ან მარწმუნებელი. ერთეულსა და სხვა მხარეებს შორის ურთიერთობის ხასიათში მომხდარი ცვლილება შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ერთეული უკვე აღარ მოქმედებს, როგორც რწმუნებული, მაშინაც კი, თუ ის წინათ მოქმედებდა, როგორც რწმუნებული და პირიქით. მაგალითად, თუ შეიცვალა ერთეულის ან სხვა მხარეთა უფლებები, ერთეულმა ხელახლა უნდა შეაფასოს თავისი სტატუსი - მარწმუნებლის, ან რწმუნებულის.

მგ87. საბაზრო პირობების შეცვლა (მაგალითად, სხვა ერთეულის სარგებლის შეცვლა, რაც განაპირობა ბაზრის პირობებმა), თავისთავად, არ იწვევს ერთეულის თავდაპირველი შეფასების შეცვლას, რომელიც ეხება კონტროლის არსებობას, ან მარწმუნებლის, თუ რწმუნებულის სტატუსს, თუ საბაზრო პირობების შეცვლა არ გამოიწვევს მე-20 პუნქტში ჩამოთვლილი კონტროლის სამი ელემენტიდან ერთის, ან მეტის შეცვლას, ან მთლიანობაში მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის ურთიერთობის შეცვლას.

### **იმის განსაზღვრა, ერთეული არის თუ არა საინვესტიციო ერთეული**

მგ88. ერთეულმა უნდა განიხილოს ყველა ფაქტი და გარემოება, როდესაც აფასებს, არის თუ არა ის საინვესტიციო ერთეული, მათ შორის, თავისი მიზანი და სტრუქტურა. პუნქტებში მგ89–მგ106 უფრო დეტალურად არის აღწერილი ზემოაღნიშნული განმარტების ელემენტები.

### **ინვესტორების რაოდენობა**

მგ89. საინვესტიციო ერთეულის განმარტებით მოითხოვება, რომ



ერთეულს ჰყავდეს ერთი ან მეტი ინვესტორი. საინვესტიციო ერთეულს შეიძლება რამდენიმე ინვესტორი ჰყავდეს, რომლებიც თავიანთ სახსრებს აერთიანებენ, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს ინვესტიციების მართვის მომსახურება და საინვესტიციო შესაძლებლობები, რაც მათთვის ინდივიდუალურად ხელმისაწვდომი შეიძლება არ ყოფილიყო. რამდენიმე ინვესტორის არსებობის შედეგად ნაკლებად სავარაუდო იქნება, რომ ერთეულმა ან ამ ერთეულის შემცველმა ეკონომიკური ერთეულის სხვა წევრებმა, კაპიტალის ზრდის ან საინვესტიციო შემოსავლის გარდა სხვა სარგებელი მიიღონ.

მგ90. თუმცა, საჯარო სექტორში გავრცელებულია ასევე საინვესტიციო ერთეულის იმ ერთადერთი მაკონტროლებელი ერთეულის მიერ, ან მისთვის ჩამოყალიბება, რომელიც ინვესტორთა ფართო ჯგუფის ინტერესებს წარადგენს ან ემსახურება (მაგ., საპენსიო ფონდი, სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი ან ტრასტი).

### *საკუთრების წილი*

მგ91. საინვესტიციო ერთეული, როგორც წესი, დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია, თუმცა სავალდებულო არ არის, რომ ასე იყოს. საინვესტიციო ერთეულში საკუთრების წილები, როგორც წესი, შეიძლება არსებობდეს საკუთარი კაპიტალის წილის, ან სხვა ანალოგიური წილების სახით (მაგალითად, ამხანაგობის წევრთა წილები), რომლებსაც მიეკუთვნება საინვესტიციო ერთეულის წმინდა აქტივების პროპორციული წილი. საინვესტიციო ერთეულის განმარტებაში მითითებული არ არის, რომ ყველა ინვესტორს ერთი და იგივე უფლებები უნდა ჰქონდეს. სხვადასხვა კატეგორიის ინვესტორების არსებობა, რომელთაგან ზოგს უფლებები გააჩნია მხოლოდ კონკრეტულ ინვესტიციაზე, ან ინვესტიციების ჯგუფზე, ან, რომლებსაც განსხვავებული პროპორციული წილები გააჩნიათ წმინდა აქტივებში, ხელს არ უშლის იმას, რომ ერთეული კლასიფიცირებული იყოს საინვესტიციო ერთეულად.

მგ92. საინვესტიციო ერთეულის განმარტებაში მითითებული არ არის, რომ ინვესტორს უნდა ჰქონდეს საკუთრების წილი, რომელიც აკმაყოფილებს წმინდა აქტივების/კაპიტალის განმარტებას სხვა შესაფერისი სსბასს-ების შესაბამისად. ერთეულმა, რომელსაც მნიშვნელოვანი საკუთრების წილი აქვს ვალის ფორმით და ვერ აკმაყოფილებს წმინდა აქტივების/კაპიტალის განმარტებას, შეიძლება მაინც დააკმაყოფილოს საინვესტიციო ერთეულის კრიტერიუმები, თუ ამ ვალის მფლობელს აქვს ერთეულის წმინდა

აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებებიდან ცვალებადი უკუგების რისკი.

### დანიშნულება

მგ93. საინვესტიციო ერთეულის განმარტება მოითხოვს, რომ ერთეულის მიზანი იყოს სახსრების ინვესტირება მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლების მიღების მიზნით, კაპიტალის ღირებულების ზრდის შედეგად, საინვესტიციო შემოსავლის სახით (როგორცაა, დივიდენდები, პროცენტები, ან საიჯარო შემოსავალი), ან ორივე გზით. დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებს, რაში მდგომარეობს ერთეულის საინვესტიციო მიზნები, როგორცაა, მაგალითად ერთეულის მანდატი, წესდება, შეთავაზების მემორანდუმში, ერთეულის მიერ გავრცელებული პუბლიკაციები და ასევე სხვა კორპორაციული ან ამხანაგობის დოკუმენტები, როგორც წესი, მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საინვესტიციო ერთეულის დანიშნულების შესახებ. დამატებით მტკიცებულებებს შეიძლება მიეკუთვნოს ის, რა სახით წარუდგენს ერთეული თავის თავს სხვა მხარეებს; მაგალითად, ერთეულმა შეიძლება თავისი მიზანი წარადგინოს, როგორც საშუალოვადიანი ინვესტიციების განხორციელება კაპიტალის ღირებულების ზრდის მიზნით.

მგ94. ერთეულს, რომელსაც აქვს დამატებითი მიზნები, რომლებიც ამ საინვესტიციო ერთეულის დანიშნულების არათანმიმდევრულია, ვერ დააკმაყოფილებს საინვესტიციო ერთეულის განმარტებას. მაგალითები, როდის შეიძლება აღნიშნული მოხდეს, შემდეგია:

(ა) ინვესტორი, რომლის მიზანია თავის ინვესტირებულ ერთეულთან ერთად აწარმოოს ან გაყიდოს პროდუქტები. ეს ერთეული უკუგებას მიიღებს შექმნის, წარმოების ან მარკეტინგული საქმიანობიდან, ისევე როგორც თავისი ინვესტიციებიდან;

(ბ) ინვესტორი, რომლის მიზნები მოითხოვს სხვა ერთეულის ეკონომიკურ, სოციალურ ან გარემოსდაცვის პოლიტიკასთან შეთანაწყობას. მაგალითად, როდესაც ერთეულს მოეთხოვება თავისი საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისობა სხვა მიზნებთან, როგორცაა მაგალითად გარკვეული სამეურნეო საქმიანობის ფლობა ან დასაქმების შედეგების გაუმჯობესება იურისდიქციაში; და

(გ) ინვესტორი, რომლის ინდივიდუალური საინვესტიციო გადაწყვეტილებების მაკონტროლებელი ერთეულის მიერ რატიფიცირება ან დამტკიცებაა საჭირო ან რომელსაც

მოეთხოვება მაკონტროლებელი ერთეულის მითითებების შესრულება. მსგავსი რატიფიცირება, დამტკიცება ან გადაწყვეტილებები, სავარაუდოდ, საინვესტიციო ერთეულის დანიშნულების არათანმიმდევრული იქნება.

მგ95. დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს ერთეულის დანიშნულება. იმის შეფასებისას, კვლავ აკმაყოფილებს თუ არა საინვესტიციო ერთეულის განმარტებას, ერთეულს დასჭირდება იმ გარემოს ცვლილებების გათვალისწინება, სადაც ის ფუნქციონირებს, ისევე როგორც ამ ცვლილებების მის საინვესტიციო სტრატეგიაზე გავლენის გათვალისწინება.

*დანიშნულების დემონსტრირება ერთზე მეტი ინვესტიციის ფლობით*

მგ96. საინვესტიციო ერთეულისთვის შეიძლება მრავალი გზით იყოს შესაძლებელი თავისი დანიშნულების დემონსტრირება - ფონდების ინვესტირება კაპიტალის ზრდისთვის, საინვესტიციო შემოსავლის მიღებისთვის ან ორივე მათგანის გამო. ერთ-ერთი გზაა რამდენიმე ინვესტიციის ფლობა თავისი რისკების დივერსიფიკაციისა და უკუგების მაქსიმიზაციისთვის. ერთეული შეიძლება ინვესტიციების პორტფელს პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს, მაგალითად, ერთადერთი ინვესტიციის ფლობით საინვესტიციო ერთეულში, რომელიც რამდენიმე ინვესტიციას ფლობს.

მგ97. ზოგიერთ შემთხვევაში ერთეული შეიძლება ერთადერთ ინვესტიციას ფლობდეს. თუმცა, ერთადერთი ინვესტიციის ფლობა აუცილებლად არ ნიშნავს ერთეულის მიერ საინვესტიციო ერთეულის განმარტების ვერ დაკმაყოფილებას. მაგალითად, საინვესტიციო ერთეული შეიძლება მხოლოდ ერთადერთ ინვესტიციას ფლობდეს, როდესაც ერთეული:

- (ა) საქმიანობის საწყის ეტაპზე იმყოფება და ჯერ არა აქვს განსაზღვრული შესაფერისი ინვესტიციები და, მაშასადამე, ჯერ არ შეუსრულებია რამდენიმე ინვესტიციის შემქნის თავისი საინვესტიციო გეგმა;
- (ბ) ჯერ არ განუხორციელებია სხვა ინვესტიციები, გასული ინვესტიციების შესაცვლელად;
- (გ) დაფუძნებულია ინვესტორების სახსრების გაერთიანების მიზნით, მათ დასაბანდებლად ერთ ინვესტიციაში, როდესაც ამ ინვესტიციის განხორციელება შეუძლებელია ცალკეული ინვესტორის მიერ (მაგალითად, როდესაც აუცილებელი მინიმალური ინვესტიციის ოდენობა ძალიან დიდია

ინდივიდუალური ინვესტორისთვის); ან

(დ) ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება.

*ინვესტიციასთან დაკავშირებული მომსახურება და საქმიანობები*

მგ98. შესაძლებელია, რომ საინვესტიციო ერთეული, პირდაპირ ან კონტროლირებული ერთეულის მეშვეობით, მესამე მხარეებს, ისევე როგორც თავის მაკონტროლებელ ერთეულს ან სხვა ინვესტორებს, უწევდეს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ მომსახურებას (მაგალითად, საკონსულტაციო მომსახურებას, მომსახურებას ინვესტიციების მართვის საკითხებში, ინვესტიციების მხარდაჭერისა და ადმინისტრირების მომსახურებას), თუნდაც ეს საქმიანობები არსებითი იყოს ერთეულისთვის, იმ პირობით, თუ იგი ისევე აკმაყოფილებს საინვესტიციო ერთეულის განმარტებას.

მგ99. საინვესტიციო ერთეული, პირდაპირ ან კონტროლირებული ერთეულის მეშვეობით, ასევე შეიძლება მონაწილეობდეს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის საქმიანობაში, თუ ამ საქმიანობების მიზანია ინვესტირებული ერთეულებიდან ინვესტიციის უკუგების (კაპიტალის ღირებულების ზრდა, ან საინვესტიციო შემოსავალი) მაქსიმალურად გაზრდა და ამ ტიპის საქმიანობები არ წარმოადგენს საინვესტიციო ერთეულის საქმიანობისთვის არსებით განცალკევებულ მიმართულებას, ან შემოსავლების მიღების არსებით განცალკევებულ წყაროს:

(ა) ინვესტირებული ერთეულისთვის ბიზნესის მართვის საკითხებში მომსახურების გაწევა, ან საკონსულტაციო მომსახურება სტრატეგიის საკითხებში; და

(ბ) ინვესტირებული ერთეულისთვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, როგორცაა, მაგალითად სესხის მიცემა, კაპიტალის მიწოდების ვალდებულება ან გარანტიები.

მგ100. თუ საინვესტიციო ერთეულს გააჩნია კონტროლირებული ერთეული, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო ერთეული და მისი ძირითადი დანიშნულება და საქმიანობაა მოცემული საინვესტიციო ერთეულისთვის, ან სხვა მხარეებისთვის ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული ისეთი მომსახურების გაწევა, ან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომლებიც აღწერილია მგ98–მგ99 პუნქტებში, მან ამ კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდაცია უნდა მოახდინოს

57-ე პუნქტის შესაბამისად. თუ კონტროლირებული ერთეული, რომელიც ასრულებს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ მომსახურებას ან საქმიანობას, თვითონ საინვესტიციო ერთეულია, მაკონტროლებელმა ერთეულმა მოცემული კონტროლირებული ერთეული უნდა შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, 56-ე პუნქტის შესაბამისად.

### *გამოსვლის სტრატეგიები*

მგ101. ერთეულის დანიშნულების შესახებ მტკიცებულებებს უზრუნველყოფს მისი საინვესტიციო გეგმებიც. ერთ-ერთი ნიშანი, რომლითაც საინვესტიციო ერთეული განსხვავდება სხვა ერთეულებისგან, იმაში მდგომარეობს, რომ საინვესტიციო ერთეული არ გეგმავს ინვესტიციების შენარჩუნებას განუსაზღვრელი ვადით; ის მათ ინარჩუნებს მხოლოდ გარკვეული პერიოდით. ვინაიდან წილობრივ ინსტრუმენტებსა და არაფინანსურ აქტივში განხორციელებულ ინვესტიციებს ერთეული პოტენციურად შეიძლება განუსაზღვრელი ვადით ინარჩუნებდეს, საინვესტიციო ერთეულს უნდა ჰქონდეს დოკუმენტირებული გამოსვლის სტრატეგია, რომელშიც აღწერილი იქნება, როგორ გეგმავს ერთეული კაპიტალის ღირებულების ზრდის რეალიზებას პრაქტიკულად ყველა თავისი ინვესტიციისთვის, რომელიც განხორციელებული აქვს წილობრივ ინსტრუმენტებსა და არაფულად აქტივებში. საინვესტიციო ერთეულს გამოსვლის სტრატეგია ასევე უნდა ჰქონდეს ყველა თავისი სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებიც პოტენციურად შეიძლება შეინარჩუნოს განუსაზღვრელი ვადით, მაგალითად უვადო სავალო ინსტრუმენტებისთვის. ერთეული ვალდებული არ არის, რომ კონკრეტული გამოსვლის სტრატეგია ჰქონდეს თითოეული ინდივიდუალური ინვესტიციისთვის, მაგრამ უნდა განსაზღვროს განსხვავებული პოტენციური სტრატეგია სხვადასხვა ტიპის საინვესტიციო პორტფელისთვის, მათ შორის, დასაბუთებული ვადები საინვესტიციო პროექტიდან გამოსვლისთვის. გამოსვლის მექანიზმები, რომლებიც ამოქმედდება მხოლოდ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, ან შეუსრულებლობა, არ მიიჩნევა მოცემული შეფასების მიზნებისთვის გამოსვლის სტრატეგიად.

მგ102. გამოსვლის სტრატეგია შეიძლება განსხვავებული იყოს ინვესტიციების ტიპების მიხედვით. არაკოტირებული საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული

ინვესტიციებისთვის გამოსვლის სტრატეგიის მაგალითები მოიცავს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების პირველად საჯარო განთავსებას, ფასიანი ქაღალდების დახურულ განთავსებას, ბიზნესის (საწარმოს) გაყიდვას, ინვესტირებულ ერთეულში ფლობილი წილების განაწილებას (ინვესტორებზე) და აქტივების გაყიდვას (მათ შორის, ინვესტირებული ერთეულის აქტივების გაყიდვა ინვესტირებული ერთეულის ლიკვიდაციამდე). ისეთ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის, რომლებიც იყიდება საჯარო ბაზარზე, გამოსვლის სტრატეგიის მაგალითებია ინვესტიციის გაყიდვა დახურული შეთავაზების ფარგლებში, ან საჯარო ბაზარზე. უძრავ ქონებაში განხორციელებული ინვესტიციებისთვის გამოსვლის სტრატეგიის მაგალითია უძრავი ქონების გაყიდვა უძრავი ქონების ბაზარზე, სპეციალიზებული დილერების მეშვეობით, ან ღია ბაზარზე.

მგ103. საინვესტიციო ერთეულს შეიძლება გააჩნდეს ინვესტიცია სხვა საინვესტიციო ერთეულში, რომელიც შექმნილია ერთეულთან კავშირში იურიდიული, მარეგულირებელი, საგადასახადო ან სხვა ანალოგიური ეკონომიკური მიზეზებით. ასეთ შემთხვევაში, ინვესტორი საინვესტიციო ერთეული ვალდებული არ არის, გააჩნდეს ამ ინვესტიციისთვის გამოსვლის სტრატეგია, იმ პირობით, თუ ინვესტირებულ საინვესტიციო ერთეულს თავისი ინვესტიციებისთვის გააჩნია სათანადო გამოსვლის სტრატეგიები.

### **სამართლიანი ღირებულების შეფასება**

მგ104. საინვესტიციო ერთეულის განმარტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ის, რომ ერთეული პრაქტიკულად ყველა თავისი ინვესტიციის შედეგებს აფასებს და ანალიზებს სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, ვინაიდან სამართლიანი ღირებულების გამოყენებით უფრო შესაბამისი ინფორმაცია მიიღება, ვიდრე, მაგალითად კონტროლირებული ერთეულების კონსოლიდაციის შედეგად, ან მეკავშირე ერთეულებსა თუ ერთობლივ საქმიანობაში ფლობილი წილების წილობრივი მეთოდით აღრიცხვისას. იმისათვის, რომ საინვესტიციო ერთეულმა აჩვენოს, რომ ის აკმაყოფილებს განმარტების ზემოაღნიშნულ ელემენტს, ის:

(ა) ინვესტორებს აწვდის სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციას და ფინანსურ ანგარიშგებაში პრაქტიკულად ყველა თავის ინვესტიციას აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყველა შემთხვევაში, როდესაც სსბასს-ების

მიხედვით მოითხოვება ან ნებადართულია სამართლიანი ღირებულებით შეფასება; და

- (ბ) შიდა ანგარიშგების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციას აწვდის ერთეულის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პერსონალს (როგორც ეს ცნება განმარტებულია სსბასს 20-ში, დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები), რომელიც შეფასების ძირითადი ინსტრუმენტის სახით, სამართლიან ღირებულებას იყენებს პრაქტიკულად ყველა თავისი ინვესტიციის შედეგების შესაფასებლად და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად.

მგ105. პუნქტში მგ104(ა) მოცემული მოთხოვნის შესასრულებლად, საინვესტიციო ერთეულმა:

- (ა) ყველა თავისი საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის უნდა აირჩიოს სამართლიანი ღირებულების მოდელი, სსბასს 16-ის, *საინვესტიციო ქონება*, შესაბამისად;
- (ბ) მკვავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობაში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისთვის უნდა აირჩიოს წილობრივი მეთოდის გამოყენებისგან გათავისუფლების უფლება, რომელსაც ითვალისწინებს სსბასს 36; და
- (ც) სამართლიანი ღირებულებით უნდა შეაფასოს ფინანსური აქტივები, სსბასს 29-ის მოთხოვნების გამოყენებით.

მგ106. საინვესტიციო ერთეულს შეიძლება გააჩნდეს ზოგიერთი ისეთი აქტივი, რომელიც დაკავშირებული არ არის საინვესტიციო საქმიანობასთან, მაგალითად სათავო ოფისის შენობა და შესაბამისი აღჭურვილობა; გარდა ამისა, შეიძლება გააჩნდეს ფინანსური ვალდებულებებიც. საინვესტიციო ერთეულის განმარტების სამართლიანი ღირებულების ელემენტი ეხება მხოლოდ საინვესტიციო ერთეულის ინვესტიციებს. შესაბამისად, საინვესტიციო ერთეული ვალდებული არ არის, არასაინვესტიციო დანიშნულების აქტივები, ან ვალდებულებები შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით.

დანართი „ბ“

ცვლილებები სხვა სსბასს-ებში

[ამოღებულია]



## დასკვნის საფუძველი

*წინამდებარე დასკვნის საფუძველი თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 35-ის შემადგენელი ნაწილი.*

### მიზანი

დს1. წინამდებარე დასკვნის საფუძველში შეჯამებულია სსბასს 35-ის თაობაზე დასკვნების მისაღწევად სსბასსს-ის მიერ ჩატარებული განხილვები. რადგან წინამდებარე სტანდარტი ბასსს-ის მიერ გამოცემულ ფასს 10-ს, *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება* (გამოცემული 2011 წელს, 2014 წლის 31 დეკემბრამდე ცვლილებების ჩათვლით), ეფუძნება, დასკვნის საფუძველში წარმოდგენილია მხოლოდ ის სფეროები, სადაც სსბასს 35 განსხვავდება ფასს 10-ის ძირითადი მოთხოვნებისგან, ან სადაც სსბასსს-მ განიხილა მსგავსი განსხვავებები.

### მიმოხილვა

დს2. 2012 წელს სსბასსს-მ მუშაობა დაიწყო პროექტზე, რომლის მიზანი იყო იმ სსბასს-ების განახლება, რომლებიც ეხება კონტროლირებულ ერთეულებში, მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში წილების აღრიცხვას. 2013 წლის ოქტომბერში სსბასსს-მ გამოსცა განსახილველი პროექტები, 48-დან 52-მდე, რომლებსაც ერთობლივად ეწოდება *სხვა ერთეულებში მონაწილეობა*. 49-ე განსახილველი პროექტი, *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*, ეფუძნებოდა ფასს 10-ს, *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*, სსბასს 6-ში, *კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*, მოცემული საჯარო სექტორის მოდიფიცირებების გათვალისწინებით. 2015 წლის იანვარში სსბასსს-მ გამოსცა ხუთი ახალი სსბასს, მათ შორის სსბასს 35. ამ ახალმა სსბასს-ებმა ჩაანაცვლა სსბასს 6, სსბასს 7, ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებში და სსბასს 8, *ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა*.

### პროცესი

დს3. წინამდებარე სტანდარტის შემუშავებისას სსბასსს-მ გაითვალისწინა სსბასს 6-ის ის ასპექტები, რომლებიც სპეციალურად საჯარო სექტორთან დაკავშირებული საკითხების ან იმ გარემოებებისთვის იყო შემუშავებული, რომლებიც საჯარო სექტორში უფრო გავრცელებულია, ვიდრე სხვა სექტორებში. სსბასსს-მ წინამდებარე სტანდარტში აქცენტი გააკეთა ამ საკითხებზე. სსბასსს-მ ასევე გაითვალისწინა მითითებები იმის

შეფასებისთვის, ერთეული არის თუ არა კონტროლირებული ერთეული *2014 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს* მიზნებისათვის, რათა თავიდან აეცილებინა არასასურველი განსხვავებები. დამატებითი მაგალითების შემუშავებისას, სადაც წარმოჩენილია საჯარო სექტორის გარემო, სსბასსს-მ გაითვალისწინა ასევე ეროვნული სტანდარტების დამდგენთა იმ ორგანოების მიერ შემუშავებული მითითებები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სამთავრობო სექტორების ზედამხედველობაზე.

*შესაბამისობა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკასთან*

დს4. როგორც 49-ე განსახილველი პროექტის შემუშავებისას, ისე წინამდებარე სტანდარტზე მუშაობის დასრულების პროცესში სსბასსს-მ გაითვალისწინა *2014 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოში* მოცემულ კონტროლის განმარტებასა (დაკავშირებულ მაჩვენებლებსა და მითითებებთან ერთად) (და 2008 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემასთან ერთად, რომელთანაც ჰარმონიზებულია *2014 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო*) და შეთავაზებულ სტანდარტს შორის მსგავსებები და განსხვავებები. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ *სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოსა* და ფინანსურ ანგარიშს შორის ზოგიერთი განსხვავება წარმოქმნილია მათი ხასიათისა და განსხვავებული მიზნების გამო. მაგალითად, ინსტიტუციონალური ერთეულების სექტორების მიხედვით კლასიფიკაცია მათი ეკონომიკური ხასიათის, როგორც სამთავრობო ერთეულების, საფუძველზე კვლავ რჩება მნიშვნელოვან განმასხვავებელ ფაქტორად მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ ანგარიშსა და ბუღალტრული აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშს შორის. უფრო მეტიც, მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში განსხვავება საბაზრო მწარმოებლებსა და არასაბაზრო მწარმოებლებს შორის კვლავ გამოიწვევს განსხვავებას საერთო სამთავრობო სექტორის ან საჯარო კორპორაციების სექტორში კლასიფიკაციის თვალსაზრისით და შესაბამისად, საჯარო სექტორის საერთო კლასიფიკაციის თვალსაზრისით, თუნდაც კონტროლის თაობაზე ზუსტად იგივე პრინციპი და კონცეპტუალური მითითებები არსებობდეს.

დს5. წინამდებარე სტანდარტის შემუშავებისას სსბასსს-მ ძალისხმევა გასწია *2014 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს* მითითებებთან უფრო მჭიდრო შესაბამისობისთვის და განსხვავებების ხასიათის უფრო ნათლად

ახსნისთვის. საკითხები, რომლებთან მიმართებით სსბასს-მ სპეციალურად გაითვალისწინა *სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს* მოთხოვნები, მოიცავს შემდეგს:

- (ა) მოთხოვნილ იქნეს თუ არა ყველა კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდირება, მთავრობის სექტორების მიხედვით ანგარიშის წარდგენის საპირისპიროდ;
- (ბ) წინამდებარე სტანდარტში კონტროლის კონცეფციასა და 2014 წლის *სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოში* გამოყენებულ მიდგომას შორის მსგავსება, 2008 წლის სახელმწიფოს ეროვნულ ანგარიშებში არამომგებიანი ინსტიტუტებისა და კორპორაციების კონტროლის მაჩვენებლების გათვალისწინების ჩათვლით;
- (ც) მარეგულირებელ კონტროლსა და ფინანსური ანგარიშის მიზნებისთვის კონტროლს შორის განსხვავებები; და
- (დ) ოქროს წილებთან დაკავშირებული უფლებები.

აღნიშნული საკითხებიდან ზოგიერთი უფრო დეტალურადაა განხილული წინამდებარე დასკვნის საფუძვლის მომდევნო ნაწილებში.

### **მოქმედების სფერო (პუნქტები 3–11)**

*სრულ მფლობელობაში და ნაწილობრივ მფლობელობაში მყოფი მაკონტროლებელი ერთეულები*

დსნ. სსბასსს დათანხმდა, რომ სსბასს 6-ის და ფასს 10-ის მოთხოვნების შესაბამისად სრულ მფლობელობაში ან ნაწილობრივ მფლობელობაში მყოფ მაკონტროლებელ ერთეულებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს და დაქირავების შემდგომ ან სხვა გრძელვადიან დაქირავებულ პირთა სარგებლის პროგრამებს არ უნდა მოეთხოვებოდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენა. სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ მაკონტროლებელ ერთეულს, რომელიც თვითონ კონტროლირებული ერთეულია, არ უნდა მოეთხოვებოდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენა მხოლოდ მაშინ, როდესაც „ნაკლებად სავარაუდოა, რომ მსგავსი ფინანსური ანგარიშების მომხმარებლები არსებობენ ან მათი საინფორმაციო მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია მაკონტროლებელი ერთეულის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშებით“. ამ შეზღუდვის მიზანია მომხმარებლების დაცვა, როდესაც მსგავსი მაკონტროლებელი ერთეულები წარმოადგენენ მთავრობის

ძირითად სექტორებს ან საქმიანობებს და არსებობენ მომხმარებლები, რომლებსაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სჭირდებათ ანგარიშვალდებულების ან გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის.

*კონსოლიდირების მოთხოვნების ყველა კონტროლირებული ერთეულისთვის გამოყენება*

დს7. სსბასსს-მ აღნიშნა როგორც ფასს 10-ში, ისე სსბასს 6-ში მოცემული ზოგადი პრინციპი, რომ მაკონტროლებელმა ერთეულმა ყველა თავისი კონტროლირებული ერთეულის მუხლობრივი კონსოლიდირება უნდა განახორციელოს. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ გასულს წლებში სჯარო სექტორის ერთეულების სხვა ერთეულებში მონაწილეობის პოტენციური მასშტაბი და სირთულე (განსაკუთრებით მთავრობასა და სხვა ერთეულებს შორის ურთიერთობა) გაიზარდა. მთავრობის ინტერვენციები მთავრობის (და სხვა სჯარო სექტორის ერთეულების) სხვა ერთეულებში მონაწილეობის, რომელთაგან ზოგიერთმა შეიძლება წარმოქმნას კონტროლი, როგორც ეს წინამდებარე სტანდარტშია განმარტებული, ფართო სპექტრის ხელშემწყობი ფაქტორია. კონსოლიდაციის გავლენამ, როდესაც მთავრობას დიდ რაოდენობით კონტროლირებული ერთეულები ჰყავს და კონტროლირებული ერთეულები ახორციელებენ საქმიანობას, რომელიც ადრე მიჩნეული იყო მხოლოდ კერძო სექტორის საქმიანობად და როდესაც გამიზნულია, რომ კონტროლი დროებითი უნდა იყოს, განაპირობა კითხვების წამოშობა იმასთან დაკავშირებით, გამართლებულია თუ არა ყველა კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდირება, დაკავშირებული დანახარჯებისა და სარგებლის გათვალისწინებით.

დს8. სსბასსს-მ ინტენსიურად განიხილა საკითხი, საჭიროა თუ არა ყველა კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდირება, მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით. სსბასსს-მ აქცენტი გააკეთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებით უზრუნველყოფილ ინფორმაციაზე და აღნიშნა, რომ მომხმარებელთა საინფორმაციო მოთხოვნები შეიძლება ასევე დაკმაყოფილდეს სხვა ანგარიშგებებითა და ანგარიშებით, როგორცაა მაგალითად, (i) ორივე, მაკონტროლებელი და კონტროლირებული ერთეულის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება; (ii) ანგარიშები საქმიანობის შედეგების შესახებ; და (iii) სტატისტიკური ანგარიშები. მართალია, სსბასსს-ის განხილვის

გარკვეული ნაწილი შესაბამისი იყო ნებისმიერი ტიპის საჯარო სექტორის ერთეულისთვის, რომელიც მაკონტროლებელი ერთეულია, მაგრამ მრავალი განხილული საკითხი ეხებოდა მთლიანად მთავრობის დონეს. სსბასსს-მ განიხილა მოსაზრებები კონსოლიდირების სარგებლიანობის შესახებ შემდეგი ტიპის კონტროლირებულ ერთეულებთან მიმართებით (ამასთან, აღნიშნა, რომ ეს ფართო კატეგორიები უნივერსალურად ვერ იქნება გამოყენებული):

- (ა) დეპარტამენტები და სამინისტროები;
- (ბ) სახელმწიფო სააგენტოები;
- (გ) [მთავრობის საწარმოები (GBE)] (ფრჩხილებში ჩასმული ტერმინი აღარ გამოიყენება 2016 წლის აპრილში *სსბასსს-ების გამოყენებადობის გამოცემის შემდეგ*);
- (დ) ფინანსური ინსტიტუტები (გარდა მთავრობის მიერ დაფინანსებული საწარმოებისა); და
- (ე) სხვა ინვესტიციები (მათ შორის საერთაშორისო ინვესტიციები, დაკავშირებული ინვესტიციები და საინვესტიციო ერთეულები). ტერმინი „დაკავშირებული ინვესტიციები“ გამოყენებულ იქნა სხვა მიზნის მიღწევისას შექმნილი წილების აღნიშვნისთვის, როგორცაა მაგალითად, კერძო სექტორის ერთეულის კრახის თავიდან აცილება.

დს9. სსბასსსს-მ აღნიშნა, რომ მიუხედავად საერთო შეთანხმებისა, რომ დეპარტამენტების, სამინისტროებისა და სახელმწიფო სააგენტოების კონსოლიდირება შესაფერისია, ზოგიერთი წევრი ნაკლებად დარწმუნებული იყო, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დანახარჯები გამართლებულია სხვა კატეგორიის კონტროლირებული ერთეულების შემთხვევაში.

დს10. სსბასსსს-მ აღნიშნა არგუმენტები მთავრობის ყველა კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდირების მოთხოვნის მხარდასაჭერად, მათ შორის:

- (ა) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს მთავრობის საქმიანობებისა და მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის პანორამულ სურათს. ეს პანორამული სურათი უზრუნველყოფს, რომ მომხმარებლებს არ გამოეპაროთ გარკვეულ სექტორებთან დაკავშირებული რისკები. ის გვიჩვენებს მთლიანობაში მთავრობის

საქმიანობის შედეგს;

(ბ) იმ ერთეულების კატეგორიების იდენტიფიცირება, რომელთა კონსოლიდირება უნდა განხორციელდეს, შეიძლება სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. მსგავსმა მცდელობებმა შეიძლება გამოიწვიოს წესებზე დაფუძნებული სტანდარტების წარმოქმნა. მაგალითად, შეიძლება რთული იყოს ფინანსური კრიზისიდან გამომხსნილი ერთეულების ცალკე, თანმიმდევრულ საფუძველზე იდენტიფიცირება სხვადასხვა იურისდიქციაში და დროთა განმავლობაში. მსგავსი პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას მთავრობის საწარმოების ნებისმიერ ცალკე წინადადებასთან მიმართებით. მართალია, მთავრობის საწარმო სსბასს-ებში განმარტებული ტერმინი იყო, როდესაც წინამდებარე სტანდარტი გამოიცა, მაგრამ სსბასსს-მ აღნიშნა, რომ განსხვავებები არსებობს პრაქტიკაში ამ ტერმინის სხვადასხვა იურისდიქციებში გამოყენების თვალსაზრისით. ამასთან, პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება იმ ერთეულების ჯგუფის ნათლად იდენტიფიცირებას, რომლისთვისაც შესაფერისი იქნებოდა განსხვავებული სააღრიცხვო მოთხოვნების გამოყენება, სსბასსს-მ აღნიშნა, რომ მსგავსი საქმიანობები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის ერთეულების მიერ, როგორც იურისდიქციის ფარგლებში, ისე სხვადასხვა იურისდიქციებში. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების გამოყენების წინადადებამ შეიძლება განაპირობოს ამა თუ იმ იურისდიქციაში ერთეულების ჯგუფის თანმიმდევრული აღრიცხვა, მან შეიძლება ვერ უზრუნველყოს მსგავსი საქმიანობების შესადარისი აღრიცხვა;

(გ) ერთეულების კონსოლიდირება არის მსგავსი მუხლების ერთნაირად აღრიცხვის მაგალითი. კონსოლიდირების გამონაკლისები ამცირებენ ფინანსური ანგარიშგების მთლიანობას. რადგან შეიძლება მრავალი ერთეული არსებობდეს, რომელიც პოტენციურად მიიჩნევა, რომ ცალკე მიდგომას ან განმარტებით შენიშვნას საჭიროებს, აღნიშნულმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიანობაზე;

(დ) მთელი მთავრობის ფინანსურ ანგარიშგებას

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან განსხვავებული თვალსაზრისი აქვს. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ინფორმაციას მთავრობის ბირთვის საქმიანობების შესახებ.

დს11. სსბასსს-მ ასევე აღნიშნა არგუმენტები, რომლებიც გამოთქმულ იქნა მთავრობის გარკვეული კონტროლირებული ერთეულების კონსოლიდირების საწინააღმდეგოდ, მათ შორის:

- (ა) იმ ერთეულების კონსოლიდირებამ, რომლებიც მთავრობის ბირთვისგან განსხვავებულ საქმიანობებს ახორციელებენ, შეიძლება ბუნდოვანი გახადოს შედეგების წარდგენა და თვითონ მთავრობის მდგომარეობა. ეს არგუმენტი წამოიჭრა სხვადასხვა კონტროლირებულ ერთეულებთან დაკავშირებით, მათ შორის სამრეწველო საქმიანობებთან, დიდი ფინანსურ ინსტიტუტებთან, დროებით კონტროლირებულ ერთეულებთან და ასევე იმ ერთეულებთან დაკავშირებით, რომლებსაც ფინანსური მიზნები აქვთ, სოციალური მიზნების საპირისპიროდ;
- (ბ) ზოგიერთის აზრით გარკვეული კატეგორიის კონტროლირებული ერთეულების წილობრივი აღრიცხვა სათანადო ინფორმაციას უზრუნველყოფს შექმენის შემდეგ საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, დიდი დანახარჯების გაწევის ან მთავრობის ბირთვის შესახებ ინფორმაციის ბუნდოვნად წარდგენის გარეშე;
- (გ) ზოგიერთის აზრით შეუფერებელია იმ ერთეულების კონსოლიდირება, რომლებიც ფინანსური კრიზისისგან იქნა გადარჩენილი, რადგან ისინი არ წარმოადგენენ მთავრობის ძირითად საქმიანობებს და გამიზნული არ არის, როგორც გრძელვადიანი ინვესტიცია;
- (დ) როდესაც მთავრობებს დიდი რაოდენობით კონტროლირებული ერთეულები აქვთ, კონსოლიდირების პროცესის დანახარჯები დიდია და შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ აჭარბებს ამ ერთეულების მუხლობრივად კონსოლიდირების სარგებელს.

დს12. ყველა კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდირების მოთხოვნის მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტების განხილვისას სსბასსს-მ გაითვალისწინა:

- (ა) ფინანსური ანგარიშის მიზანი, რომელიც მოცემულია ზოგადი

დანიშნულების საჯარო სექტორის ერთეულების კონცეპტუალურ საფუძვლებში (კონცეპტუალური საფუძვლები);

- (ბ) მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ მტკიცებულების შეზღუდული ხელმისაწვდომობა (განსაკუთრებით სპეციფიური ტიპის კონტროლირებულ ერთეულებთან დაკავშირებით კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობის შესახებ);
- (გ) კონტექსტი, რომლის ფარგლებში მზადდება მთლიანი მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
- (დ) შემოთავაზებულ სტანდარტში კონტროლის განმარტებასა და კონსოლიდირების მოთხოვნებს შორის ურთიერთკავშირი; და
- (ე) სსბასსს-ის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამდგენის, როლი.

დს13. ფინანსური ანგარიშის მიზნებთან მიმართებით სსბასსსს-მ აღნიშნა, რომ კონცეპტუალური საფუძვლების მე-2 თავში ფინანსური ანგარიშის მიზნები განსაზღვრულია, როგორც ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის სასარგებლო ინფორმაციის უზრუნველყოფა. საჯარო სექტორში ბიუჯეტის მნიშვნელობის გამო (და ბიუჯეტთან შესაბამისობის დემონსტრირების მნიშვნელობის გამო) სსბასსსს-მ განიხილა არგუმენტი, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საჭიროა მხოლოდ იმ ერთეულების კონსოლიდირება, რომლებიც მთავრობის საბიუჯეტო ერთეულს წარმოადგენს. თუმცა, სსბასსსს დათანხმდა, რომ საბიუჯეტო ერთეულის მიდგომა შეუფერებელი იქნება ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშისთვის, რადგან:

- (ა) განიხილვა იმის თაობაზე, რომელი ერთეულები შედის მთავრობის ბიუჯეტში, შეიძლება ეფუძნებოდეს ფაქტორებს, რომლებიც განსხვავდება ერთეულის ავტონომიის ხარისხისა და საბაზრო საქონლის უზრუნველყოფის დონის ან კომერციული უკუგების წარმოქმნისგან;
- (ბ) ხშირ შემთხვევაში, განიხილვა იმის თაობაზე, რომელი ერთეულები შედის მთავრობის ბიუჯეტში, დაკავშირებულია საკითხთან, გამიზნულია თუ არა, რომ ერთეული იყოს თვითდაფინანსებული. მთავრობის ბიუჯეტიდან



თვითდაფინანსებული ერთეულების გამორიცხვა ფაქტობრივად ამ საქმიანობების შემოსავლისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვის საშუალებას იძლევა და ნიშნავს, რომ საბიუჯეტო სექტორის ინფორმაცია არ ასახავს მთავრობის მიერ კონტროლირებულ ყველა ოპერაციის არსს;

- (გ) იურისდიქციისთვის საბიუჯეტო ზღვარი განისაზღვრება იურისდიქციის ფარგლებში. ფინანსური ანგარიში საბიუჯეტო სექტორზე რომ იყოს დაფუძნებული, არ იარსებებდა მთავრობების სტანდარტიზებული და შესადარისი ფინანსური ანგარიშები საერთაშორისო კონტექსტში.

დს14. სსბასს 14-ით მოითხოვებოდა ყველა კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ (ა) კონტროლი დროებითი იყო, რადგან კონტროლირებული ერთეული ფლობილი იყო მხოლოდ და მხოლოდ შექმნიდან თორმეტ თვეში მისი გაყიდვის მიზნით და (ბ) ხელმძღვანელობა აქტიურად ეძებს მყიდველს. მსგავსი დროებით კონტროლირებული ერთეულების ფინანსური ინსტრუმენტების სახით აღრიცხვა მოითხოვებოდა. სსბასს-მ განიხილა, დროებით კონტროლირებული ერთეულების აღნიშნული აღრიცხვა ხომ არ უნდა იქნეს მოთხოვნილი შეთავაზებული სტანდარტითაც. სსბასს-მ აღნიშნა სსბასს 6-ში მოცემულ მოთხოვნებთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნული მოიცავდა შემდეგ პრობლემებს:

- (ა) დროებით კონტროლირებული ერთეულების იდენტიფიცირების სირთულე;
- (ბ) იმ ერთეულებისთვის განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომის გამოყენების დასაბუთება, რომლებიც ფლობილია ორიოდე წლით (რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ ერთეულებთან მიმართებით, რომლებიც თავდაპირველად გამიზნული იყო დროებით კონტროლირებულად);
- (გ) ინვესტიციის არსებული ფორმით გაყიდვასთან დაკავშირებული სირთულე. საჯარო სექტორის ერთეულს შეიძლება დასჭირდეს პასუხისმგებლობის შენარჩუნება გარკვეულ რისკებთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ გაყიდოს ინვესტიცია დროებით კონტროლირებულ ერთეულში. მსგავსი ერთეულების ფინანსური ინსტრუმენტების სახით აღრიცხვა უზრუნველყოფს ამ

ინვესტიციასთან დაკავშირებული რისკების მხოლოდ ნაწილობრივ წარდგენას;

- (დ) თუ საჯარო სექტორის ერთეულს რისკი აქვს „დროებით“ კონტროლირებული ინვესტიციიდან, მაშინ ეს რისკები სხვა კონტროლირებული ერთეულების რისკების თანმიმდევრულად უნდა აისახოს; და
- (ე) ანგარიშვალდებული ერთეულის მიერ დამატებითი ახსნის წარდგენას შეუძლია დროებით კონტროლირებული დიდი ერთეულების კონსოლიდირებისას წარმოქმნილი ზოგიერთი პრობლემის მოგვარება.

დს15. ამგვარად, სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომის გამოყენება არ მოეთხოვება დროებით კონტროლირებული ერთეულებისთვის. 49-ე განსახილველი პროექტის რესპონდენტები საზოგადოდ, დათანხმდნენ ამ წინადადებაზე, სსბასსს-ის მოსაზრებების მსგავსი მიზეზების გამო. რესპონდენტთა კომენტარების განხილვისას სსბასსს-მ გააცნობიერა გამოთქმული არგუმენტები, რომ დროებით კონტროლირებული ერთეულები უნდა გათავისუფლდნენ კონსოლიდირებისგან, განსაკუთრებით მთავრობის მიერ მოქალაქეთა ინტერესების დაცვის მიზნით შექმნილი კონტროლირებული ერთეულები. თუმცა, სსბასსს-მ განიხილა მსგავს სიტუაციებში აღრიცხვის სხვადასხვა იურისდიქციის გამოცდილება და აღნიშნა, რომ მსგავსი ერთეულების კონსოლიდირება ხორციელდებოდა ზოგიერთ იურისდიქციაში. სსბასსს-მ განიხილა ასევე აღნიშნული კონსოლიდირების გაუქმების მხარდაჭერის დონე. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი ინვესტიციები საბოლოო ჯამში, შეიძლება უფრო დიდი ხნით იქნეს შენარჩუნებული, ვიდრე თავდაპირველად იყო განზრახული. ზოგიერთმა რესპონდენტმა სსბასსსს წაახალისა, რომ გაეთვალისწინებინა დამატებითი განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნა გაყიდვის მიზნით შექმნილ ერთეულებთან დაკავშირებით. სსბასსსს დათანხმდა, რომ სსბასსს 38-ში, *სხვა ერთეულებში მონაწილეობის განმარტებითი შენიშვნები*, მოეთხოვება განმარტებითი შენიშვნებში გასაყიდად ფლობილ სხვა ერთეულებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

დს16. მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობის შესახებ არსებული კვლევის განხილვისას სსბასსსს-მ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთავრობების მზარდი რაოდენობა იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის

დარიცხვის საფუძველს, ეს შედარებით ახალი ტენდენციაა და კონსოლიდირება ხშირ შემთხვევაში ეტაპობრივად ხორციელდება, პირველ რიგში კონსოლიდირდება მთავრობის საქმიანობების ბირთვი, შემდეგ კი სხვა კატეგორიების ერთეულები, დროისა და რესურსების ხელმისაწვდომობის შესაბამისად. შედეგად, მცირეა იმ იურიდიული ერთეულების რაოდენობა, სადაც ხდება მთლიანი მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და შეზღუდულია მთლიანი მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობის ემპირიული კვლევა. დღემდე ჩატარებულ კვლევებში აქცენტი კეთდებოდა იმაზე, ვინ იყენებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთო სარგებელზე, გარკვეული ტიპის კონტროლირებული ერთეულების აღრიცხვის ან მათი ალტერნატიული გზით აღრიცხვის ნაცვლად. განხილვისას სსბასსს-მ გაითვალისწინა კონტროლირებული ერთეულების ქვეჯგუფების, როგორცაა მაგალითად დროებით კონტროლირებული ერთეულები, ბუღალტრული აღრიცხვისა და ინფორმაციის წარდგენის ალტერნატიული გზები. სსბასსს-მ აღნიშნა სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია იმ კონტროლირებული ერთეულების კატეგორიების თანმიმდევრულად იდენტიფიცირებასთან, რომლებიც შეიძლება განსხვავებულად აღრიცხოს ან დამატებითი განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს დაექვემდებაროს.

- დს17. სსბასსსს-მ აღნიშნა, რომ საინვესტიციო ერთეულებისთვის მოთხოვნების შემუშავებისას ბასსსს აქცენტს აკეთებდა მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე. სსბასსსს-ის მიერ საინვესტიციო ერთეულებთან დაკავშირებით გათვალისწინებული საკითხები განხილულია წინამდებარე დასკვნის საფუძველის მომდევნო ნაწილში.
- დს18. სსბასსსსს-მ აღნიშნა, რომ მრავალი მთავრობა ამზადებს სტატისტიკურ ანგარიშებს, სადაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახულია სექტორული მიდგომით, რაც გულისხმობს მთავრობის სერთო და საჯარო კორპორაციების სექტორებად დაყოფას (არაფინანსური და ფინანსური). ეს ინფორმაცია 2008 წლის სტატისტიკის ეროვნული ანგარიშების სტატისტიკური მითითებების შესაბამისად მუშავდება, რაც თავის მხრივ, *2014 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს* მითითებებისა და ანგარიშების ევროპული სისტემის (ESA 2010)

თანმიმდევრულია. სსბასსს-მ განიხილა, შესაძლებელია თუ არა მსგავსი სტატისტიკური მიდგომის გამოყენება, მთლიანი მთავრობის ანგარიშების სსბასს-ის მიდგომის საფუძველზე დამუშავების ალტერნატივის სახით. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ სსბასს 22-ში, სახელმწიფო მმართველობის სექტორის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში, მოცემულია მითითებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მსგავსი სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენის შესახებ. თუმცა, სსბასს 22-ით მსგავსი ინფორმაციის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა არც მოითხოვება და არც ნებადართულია მსგავსი ინფორმაციის წარდგენის ყველა კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდირების ალტერნატივის სახით გამოყენება. მართალია, სსბასსს-მ აღნიშნა, რომ სტატისტიკური ანგარიში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც ქვეყნებს შორის შესადარისია, სსბასსს დათანხმდა, რომ მსგავს ინფორმაციას განსხვავებული მიზანი აქვს და ვერ შეასრულებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების როლს მთლიანი მთავრობის საქმიანობის მიმოხილვის თვალსაზრისით. სსბასსს-მ ასევე აღნიშნა, რომ ეროვნული მთავრობის გარდა სხვა მთავრობებისთვის სტატისტიკური სექტორული ინფორმაციის უზრუნველყოფის დაავალდებულება შეიძლება რთული აღმოჩნდეს. შესაბამისად, სსბასსს დათანხმდა, რომ სსბასს 22-ის ნებისმიერი ცვლილება არ უნდა იყოს იმ პროექტის ნაწილი, რომლის მიზანია სსბასს-ების, 6 და 8, განახლება. მართალია, სსბასსს-მ გადაწყვეტა, რომ წინამდებარე სტანდარტში არ წარმოედგინა მითითებები სტატისტიკური სექტორების შესახებ ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, მაგრამ მან აღნიშნა, რომ მთავრობებს შეუძლიათ სტატისტიკური სექტორების მიხედვით დანაწევრებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

დს19. ამგვარად, 49-ე განსახილველ პროექტში შეთავაზებული იყო ყველა კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდირება, გარდა საინვესტიციო ერთეულების (ცალკეა განხილული ამ დასკვნის საფუძველში) კონსოლიდირებისგან გათავისუფლებებისა. სსბასსს-მ მოითხოვა მოსაზრებები იმის თაობაზე, არსებობს თუ არა ერთეულების კატეგორიები, რომელთა კონსოლიდირება არ უნდა განხორციელდეს, არკონსოლიდირების დასაბუთებასთან ერთად, მომხმარებელთა მოთხოვნის მიხედვით. საზოგადოდ, რესპონდენტებმა მხარი დაუჭირეს ამ შეთავაზებას, თუმცა რამდენიმე რესპონდენტმა ხაზი გაუსვა

განხორციელებასთან დაკავშირებულ სირთულეებს (მაგალითად, დიდი რაოდენობით კონტროლირებული ერთეულების კონსოლიდირების დანახარჯები). ზოგიერთმა რესპონდენტმა კომენტარი გააკეთა ასევე იურიდიული ან ადმინისტრაციული გზით შექმნილი ანგარიშვალდებული ერთეულების არსებობაზე და აღნიშნა, რომ ისინი შეიძლება განსხვავდებოდნენ შემოთავაზებული სტანდარტის შესაბამისად გამოვლენილი ანგარიშვალდებული ერთეულებისგან. სსბასსს დათანხმდა, რომ წინამდებარე სტანდარტში აელიარებინა იურიდიული ან ადმინისტრაციული გზით დაფუძნებული ანგარიშვალდებული ერთეულების არსებობა.

### *საინვესტიციო ერთეულები*

დს20. 2012 წლის ოქტომბერში ბასსს-მა გამოსცა დოკუმენტი *საინვესტიციო ერთეულები* (ცვლილებები ფასს 10-ში, ფასს 12-ში და ბასს 27-ში). აღნიშნული ცვლილებების შედეგად ფასს 10-ით მოითხოვება, რომ კონტროლირებულმა ერთეულმა, რომელიც საინვესტიციო ერთეულია, თავისი ინვესტიციების უმეტესობა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხოს, მოგების ან ზარალის მეშვეობით, მათი კონსოლიდირების ნაცვლად. სსბასსს-მ განიხილა საჯარო სექტორში მსგავსი ერთეულებისთვის ფასს 10-ში მოცემული მოთხოვნების შესაფერისობა. სსბასსს-მ პირველ რიგში განიხილა, რომელ ერთეულებზე შეიძლება მოახდინოს გავლენა მსგავსმა მოთხოვნებმა. ერთეულები, რომლებმაც შეიძლება დააკმაყოფილონ საინვესტიციო ერთეულის განმარტება, მოიცავს გარკვეულ სუვერენული ქონების ფონდებს, საპენსიო ფონდებსა და სახელმწიფო სექტორსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობაში ან კერძო ფინანსურ ინიციატივაში მაკონტროლებელი წილების მფლობელ ფონდებს. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც მხოლოდ საინვესტიციო ერთეულებზე ვრცელდება, შეიძლება გავრცელდეს საჯარო სექტორის ერთეულების შედარებით მცირე რაოდენობაზე (იმ ერთეულების ტიპების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება საინვესტიციო ერთეულები იყვნენ, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ ერთეულებს შეიძლება მოეთხოვებათ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების, მათ შორის ადგილობრივი სტანდარტების, ფართო სპექტრის შესაბამისად ანგარიშგება).

დს21. სსბასსს-მ აღნიშნა ბასსს-ის რესპონდენტების მიერ ბასსს-ის საინვესტიციო ერთეულის შეთავაზებაზე გაკეთებული კომენტარები და გაითვალისწინა, რომ მსგავსი არგუმენტები

გავრცელება საჯარო სექტორზე. მართლაც, სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ბასსს-ის მიერ კონკრეტულად გამოვლენილი ზოგიერთი ტიპის პოტენციური საინვესტიციო ერთეულები (მაგალითად, სუვერენული ქონების ფონდები) შეიძლება იყვნენ საჯარო სექტორის ერთეულები, რომლებიც სსბასსს-ებს იყენებენ. სსბასსს-მ აღნიშნა ბასსს-ის მიერ მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე აქცენტის გაკეთება საინვესტიციო ერთეულების განხილვისას. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ იურისდიქციის ანგარიშგების საფუძვლების მიხედვით, საჯარო სექტორის საინვესტიციო ერთეულს შეიძლება მოეთხოვებოდეს სსბასსს-ების, ფასს-ების ან ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგება. სსბასსს დათანხმდა, რომ ფასს 10-ში მოცემული მოთხოვნა, რომ საინვესტიციო ერთეულმა თავისი ინვესტიციები სამართლიანი ღირებულებით აღრიცხოს, შესაფერისი ჩანს საჯარო სექტორისთვის. სსბასსს-მ ასევე აღნიშნა, რომ სსბასსსს-ებსა და ფასსს-ებში თანმიმდევრული მოთხოვნების ასახვა შეამცირებს აღრიცხვის არბიტრაჟის შესაძლებლობას იმის განსაზღვრისას, საინვესტიციო ერთეულს რომელი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენება მოეთხოვება.

დს22. სსბასსსს-მ განიხილა, ფასს 10-ში მოცემული საინვესტიციო ერთეულის განმარტება შესაფერისი იყო თუ არა საჯარო სექტორისთვის. სსბასსს დათანხმდა, რომ ეს განმარტება უმეტესწილად შესაფერისია, თუმცა აღნიშნა, რომ საინვესტიციო ერთეულს ხშირ შემთხვევაში გარე მანდატი დასჭირდება, რომლითაც დადგინდება მისი დანიშნულება (ერთეულის მიერ თავისი დანიშნულების ინვესტორებისთვის მტკიცების ნაცვლად) და შესაბამისი ცვლილება შეიტანა აღნიშნულ განმარტებაში. სსბასსსს-მ გაითვალისწინა, რომ სასარგებლო იქნება საჯარო სექტორის სცენარების დამატებითი მაგალითების წარდგენა, სადაც ერთეული საინვესტიციო ერთეული არ იქნება უბრალოდ დამატებითი მიზნების დასახვის გამო.

დს23. სსბასსსს-მ განიხილა საინვესტიციო ერთეულის ტიპური მახასიათებლები საჯარო სექტორში გამოსაყენებლად შესაფერისი იყო თუ არა. სსბასსსს-მ აღნიშნა, რომ ფასს 10-ში გაკეთებულია დაშვება, რომ ერთეული შეიძლება საინვესტიციო ერთეული იყოს, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს ტიპური მახასიათებლები. ასეთ შემთხვევებში ერთეულს მოეთხოვება ახსნას, რატომ არის ის საინვესტიციო ერთეული, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს საინვესტიციო ერთეულის ყველა მახასიათებელი. სსბასსსს-მ გაითვალისწინა, რომ ფასს 10-ში გამოვლენილი ტიპური მახასიათებლები ნაკლებად სავარაუდოა, რომ ტიპური

მახასიათებლები იყოს საჯარო სექტორის კონტექსტში. მაგალითად, სუვერენული ქონების ფონდს შეიძლება:

- (ა) ერთადერთი ინვესტორი ჰყავდეს (მინისტრი ან საჯარო სექტორის ერთეული). ფონდმა შეიძლება არგუმენტი წარმოადგინოს, რომ ის საინვესტიციო ფონდია მოქალაქეების სახელით ან მათ სასარგებლოდ. ფასს 10-ის პუნქტში დს259 ცალსახად არის მინიშნებული მთავრობის მიერ ფლობილ საინვესტიციო ფონდებზე და საპენსიო პროგრამებისა და შემოწირულობების მიერ სრულად ფლობილ ფონდებზე, იმისათვის რომ აეხსნა ბასსს-მა რატომ გადაწყვიტა ეს ტიპურ მახასიათებლად მიეჩნია, საინვესტიციო ერთეულის განმარტების აუცილებელ ნაწილად მიჩნევის ნაცვლად;
- (ბ) ჰყავდეს ინვესტორები, რომლებიც დაკავშირებული მხარეებია. ფონდი, რომლის ინვესტორი დაკავშირებული მხარეა, შეიძლება მაინც მრავალი დაუკავშირებელი ბენეფიციარი ინვესტორის სახელით მოქმედებდეს;
- (გ) საკუთრების წილი ჰქონდეს კაპიტალის ან მსგავსი წილის გარდა სხვა ფორმით. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ სუვერენული ქონების ფონდებში საკუთრების წილების ფორმა შეიძლება განსხვავებული იყოს და ფასს 10-ის პუნქტში დს264 კონკრეტულად არის მითითებული საპენსიო ფონდებსა და სუვერენული ქონების ფონდებზე იმის ახსნისას, რატომ გადაწყვიტა ბასსს-მა აღნიშნულის მიჩნევა ტიპურ მახასიათებლად, განმარტების აუცილებელ ნაწილად მიჩნევის ნაცვლად. ფასს 10-ის პუნქტის დს264 მიხედვით „მაგალითად, საპენსიო ფონდს ან სუვერენულ ქონების ფონდს, რომელსაც ერთადერთი პირდაპირი ინვესტორი ჰყავს, შეიძლება ჰყავდეს ბენეფიციარები, რომლებსაც ამ საინვესტიციო ფონდის წმინდა აქტივები ეკუთვნით, მაგრამ საკუთრების ერთეულები არ გააჩნიათ.“

დს24. კერძო და საჯარო სექტორს შორის განსხვავებების გამო სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ ტიპური მახასიათებლები საინვესტიციო ერთეულის განმარტებისგან ცალკე არ განესაზღვრა. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ფასს 10-ში საინვესტიციო ერთეულების განხილვაში აღწერილია, როგორ შეუძლია ერთეულს წარმოაჩინოს, რომ ის აკმაყოფილებს საინვესტიციო ერთეულის განმარტებას. ამგვარად, სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ შეენარჩუნებინა მსგავსი სახელმძღვანელო მითითებები, მაგრამ ის განეთავსებინა საინვესტიციო ერთეულის განმარტების შესახებ მითითებებთან

ერთად. სსბასსს დათანხმდა, რომ ფასს 10-ში მოცემული მახასიათებელი, რომ „პირები ან ერთეულები, რომლებმაც ერთეულს ფონდები მისცეს, ამ ერთეულის დაკავშირებული მხარეები არ არიან“, არ ასახავს საჯარო სექტორის კონტექსტს და დათანხმდა ამ მახასიათებლის შესახებ მითითებების გამოტოვებაზე.

დს25. მართალია, სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ საინვესტიციო ერთეულის განმარტებისგან ცალკე არ განესაზღვრა ტიპური მახასიათებლები, მაგრამ სსბასსს-მ გაითვალისწინა, რომ საჯარო სექტორის ერთეულების უმეტესობას, რომლებიც საკუთარ თავს საინვესტიციო ერთეულებად მიიჩნევენ, უნდა მოეთხოვოს გამოყენებული განსჯისა და დაშვებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება. სსბასსს-ის აზრით ამ განსჯისა და დაშვებების გამჟღავნება მნიშვნელოვანი იქნება გამჭვირვალობის თვალსაზრისით და წაახალისებს საინვესტიციო ერთეულის სააღრიცხვო მოთხოვნების სათანადოდ გამოყენებას.

დს26. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ კერძო სექტორის ერთეულებთან შედარებით, რომელთაც ნათლად გამოკვეთილი ფინანსური მიზნები აქვთ, საჯარო სექტორის ერთეულებს მიზნების უფრო ფართო სპექტრი აქვთ და ეს მიზნები შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. საჯარო სექტორის ერთეულის მიზნები შეიძლება ასევე შეიცვალოს მთავრობის პოლიტიკის ცვლილების შედეგად და ცვლილებებმა შეიძლება განაპირობონ, რომ ერთეულმა, რომელიც ადრე აკმაყოფილებდა საინვესტიციო ერთეულის განმარტებას, ახლა ვეღარ დააკმაყოფილოს ეს განმარტება. შესაბამისად, ცვალეზადი მიზნების შესაძლებლობის განხილვის შემდეგ სსბასსს დათანხმდა, რომ ხაზი გაესვა ერთეულის მიერ თავისი სტატუსის რეგულარულად ხელახლა შეფასების საჭიროებისთვის.

დს27. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ფასს 10-ში მოცემული საინვესტიციო ერთეულის მოთხოვნები ვრცელდება თვითონ საინვესტიციო ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაზე - მათი გამოყენება არ შეიძლება საინვესტიციო ერთეულის მაკონტროლებელი ერთეულის მიერ. ფასს 10-ით მოითხოვება, რომ მაკონტროლებელმა ერთეულმა, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო ერთეული, წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, სადაც ყველა კონტროლირებული ერთეული მუხლობრივად არის კონსოლიდირებული. სსბასსს-მ განიხილა, საჯარო სექტორის კონტექსტი გამოიწვევს თუ არა მის მიერ უფრო მეტი ან ნაკლები



წონის მინიჭებას ბასსს-ის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით განხილულ არგუმენტებზე და არსებობს თუ არა საჯარო სექტორის მახასიათებლები, რომლებიც წაადგენიან საინვესტიციო ერთეულის მაკონტროლებელი ერთეულის მიერ განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომის გამოყენებას.

დს28. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ბასსს წუხდა, რომ თუ არასაინვესტიციო მაკონტროლებელი ერთეულს მოეთხოვებოდა მის მიერ კონტროლირებული ერთეულის მიერ გამოყენებული სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვის შენარჩუნება, ის შეძლებდა განსხვავებული აღრიცხვის შედეგების მიღწევას კონტროლირებული ერთეულების პირდაპირ ან უშუალოდ, კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის მეშვეობით შენარჩუნებით. კერძოდ, სსბასსს-მ აღნიშნა, რომ საკუთრების წილები აქციების ან სხვა წილობრივი ინსტრუმენტების მეშვეობით ნაკლებად გავრცელებულია საჯარო სექტორში. შედეგად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეკონომიკური ერთეულის შემადგენლობაში შემავალი ერთეულები ფლობდნენ საკუთრების ინვესტიციას საბოლოო მაკონტროლებელ ერთეულში და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ საკუთრების წილი ჰაქონოდათ ამ ეკონომიკურ ერთეულში შემავალ სხვა ერთეულებში.

დს29. სსბასსს-მ განიხილა, კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის შესახებ რა სახის ინფორმაცია იქნებოდა ყველაზე სასარგებლო მომხმარებლისთვის. სსბასსს-მ გაითვალისწინა, რომ მომხმარებლისთვის ყველაზე სასარგებლო იქნებოდა, თუ კონტროლირებული ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული ინვესტიციების აღრიცხვა გავრცელდებოდა მაკონტროლებელი ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაზე. შესაბამისად, სსბასსს-მ შესთავაზა, რომ კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის მქონე მაკონტროლებელ ერთეულს უნდა მოეთხოვებოდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, სადაც ის (i) კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის ინვესტიციებს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტის ან დეფიციტის მეშვეობით შეაფასებს სსბასსს 29-ის შესაბამისად და (ii) კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის სხვა აქტივებისა და ვალდებულებების და შემოსავლისა და ხარჯების კონსოლიდირებას განახორციელებს ამ სტანდარტით მოთხოვნილი ჩვეულებრივი კონსოლიდირების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად. სსბასსს-მ გაითვალისწინა, რომ მისი შეთავაზებები ასახავს ფაქტს, რომ მაკონტროლებელი ერთეული თვითონ არ მართავს საინვესტიციო ერთეულს სამართლიანი

ღირებულების საფუველზე. სანაცვლოდ, ის ამ საინვესტიციო ერთეულის ინვესტიციებს მართავს სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ეს მიდგომა თანმიმდევრულია ასევე საინვესტიციო ერთეულის მიერ სხვა ერთეულებში თავისი ინვესტიციების აღრიცხვასთან.

დს30. სსბასს 35-ის შემუშავებისას ბასსს-მა წარადგინა საინვესტიციო ერთეულის მოთხოვნების გამოყენების ასპექტების განამრტების შეთავაზება. ბასსს-მა 2014 წლის დეკემბერში გამოსცა *საინვესტიციო ერთეულები: კონსოლიდირების გამონაკლისის გამოყენება (ცვლილებები ფასს 10-ში, ფასს 12-სა და ბასს 28-ში)*. სსბასსს-ის აზრით ეს განმარტებები ძალიან სასარგებლო იყო ბასსს-ის საინვესტიციო ერთეულის მოთხოვნების ვადამდე გამოყენებლების მიერ გამოვლენილ, განხორციელებისას წარმოქმნილ პრობლემებზე რეაგირებისთვის და ამ ცვლილებების ის ასპექტები გამოიყენა, რომლებიც შესაფერისია წინამდებარე სტანდარტისთვის.

### **კონტროლი (პუნქტები18–37)**

დს31. სსბასსს დათანხმდა, რომ ფასს 10-ში მოცემული კონტროლის სამი მოთხოვნა, საზოგადოდ, შესაფერისია საჯარო სექტორისთვის. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ფასს 10-ის მოთხოვნები, რომ არსებობდეს უფლებამოსილება, უკუგება და კავშირი უფლებამოსილებასა და უკუგებას შორის, მსგავსია ადრე სსბასსს-ის მიერ სსბასს 6-ში გამოყენებული მიდგომისა, თუმცა სსბასს 6-ით მოითხოვებოდა ორივე, უფლებამოსილებისა და სარგებლის არსებობა. სსბასს 6-ში გამოყენებული ტერმინოლოგიის თანმიმდევრულად სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ საჯარო სექტორის კონტექსტისთვის ტერმინი „სარგებელი“, საზოგადოდ, უფრო შესაფერისია, ვიდრე „უკუგება“ (როგორც ქვემოთ, ქვესათაურში, „ტერმინოლოგია“, არის განხილული). თუმცა, გაგრძელდა ტერმინის „უკუგება“ გამოყენება საინვესტიციო ერთეულების კონტექსტში.

დს32. სსბასსს-მ განიხილა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკაში ერთეულზე კონტროლთან მიმართებით გამოყენებული მიდგომა. 2008 წლის სტატისტიკის ეროვნული ანგარიშების პუნქტში 4.80 მოცემულია კორპორაციების კონტროლის რვა მაჩვენებელი და არამომგებიანი ინსტიტუტების კონტროლის ხუთი მაჩვენებელი და ახსნილია, რომ „მართალია, ერთადერთი მაჩვენებელი საკმარისი იქნებოდა კონტროლის განსაზღვრისთვის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება რამდენიმე ინდიკატორმა ერთობლივად მიუთითოს კონტროლზე“. სეართო ჯამში სტატისტიკური

მაჩვენებლების მიმართულება წინამდებარე სტანდარტის მიდგომის შესაბამისია და შესაბამისად, ანალიზის პრაქტიკული შედეგები სავარაუდოდ უმეტესწილად დაემთხვევა. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ზოგიერთი მაჩვენებელი ნახსენებია ქვემოთ მოცემულ პუნქტებში.

### **უფლებამოსილება (პუნქტები 23–29)**

დს33. სსბასსს-მ გადაწყვიტა ფასს 10-ის მოდიფიცირება, რათა:

- (ა) ხაზი გაესვა რელევანტური საქმიანობების იმ სპექტრზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საჯარო სექტორში და აქცენტი გაეკეთებინა იმაზე, რომ საფინანსო და საოპერაციო პოლიტიკის კონტროლს შეუძლია რელევანტურ საქმიანობებზე უფლებამოსილების დემონსტრირება;
- (ბ) განემარტა, რომ მარეგულირებელი კონტროლი და ეკონომიკური დამოკიდებულება არ წარმოქმნიან უფლებამოსილებას წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის; და
- (გ) განეხილა სპეციფიური უფლებამოსილება, რომელსაც შეუძლია კონტროლი წარმოქმნას საჯარო სექტორში, მათ შორის ოქროს წილები, სხვა ერთეულის საბჭოს წევრების უმრავლესობის დანიშვნის უფლება და კანონმდებლობით ან სადამფუძნებლო დოკუმენტებით განსაზღვრული უფლებამოსილება.

### *მარეგულირებელი კონტროლი*

დს34. სსბასსს დათანხმდა, რომ საჭიროა მარეგულირებელი კონტროლის შესახებ სსბასსს 6-ში მოცემული ადრინდელი მითითებების წინამდებარე სტანდარტში ჩართვა. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ფასს 10 შემუშავდა მოგებაზე ორიენტირებული ერთეულებისათვის, რომელთაგან ძალიან ცოტას აქვს კანონმდებლობის ან რეგულირების შექმნის ან აღსრულების უფლებამოსილება. საპირისპიროდ, მთავრობის ხასიათი ნიშნავს, რომ საჯარო სექტორში მარეგულირებელი უფლებამოსილება ხშირი შემთხვევაა.

დს35. იმის განხილვისას, წინამდებარე სტანდარტში როგორ ასახულიყო მითითებები მარეგულირებელი კონტროლის შესახებ, სსბასსს-მ აღნიშნა, რომ (i) ფასს 10-ში მოცემულ უფლებამოსილების განხილვაში აქცენტი გაკეთებულია ინვესტირებული საწარმოს „რელევანტურ საქმიანობებზე“ გავლენის შესაძლებლობაზე, და (ii) უფლებამოსილება კონტროლის არსებობის სამი ელემენტიდან

მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია. სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ მარეგულირებელი კონტროლის შესახებ მითითებები განეთავსებინა უფლებამოსილებისა და რელევანტური საქმიანობების განხილვასთან.

დს36. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ 2008 წლის სტატისტიკის ეროვნულ ანგარიშებში რეგულირებისა და კონტროლის განხილვა მსგავსია ადრე სსბასს 6-ში მოცემული განხილვისა. 2008 წლის სტატისტიკის ეროვნულ ანგარიშებში წერია:

**რეგულირება და კონტროლი.** რთული განსასჯელია გამოყოფი ხაზის განსაზღვრა იმ რეგულირებასა, რომელიც ჯგუფის ან დარგის ჯგუფის ყველა საწარმოზე ვრცელდება, და ცალკეული კორპორაციების კონტროლს შორის. მრავალი მთავრობის მიერ რეგულირების მეშვეობით მონაწილეობის შემთხვევები, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა მონაპოლოები და პრივატიზებული კომუნალური მომსახურება. შესაძლებელია მარეგულირებელი ჩართულობა მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა მაგალითად ფასწარმოქმნა, საწარმოს მიერ თავის კორპორაციულ პოლიტიკაზე კონტროლის დათმობის გარეშე. მჭიდროდ რეგულირებულ გარემოში შესვლის ან ოპერირების გაგრძელების არჩევანი მიუთითებს, რომ ერთეული კონტროლს არ ექვემდებარება. როდესაც რეგულირება იმდენად მჭიდროა, რომ ფაქტობრივად განსაზღვრავს, როგორ უნდა განახორციელოს საწარმომ თავისი სამეურნეო საქმიანობა, მაშინ ეს შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონტროლის ერთ-ერთ ფორმად. თუ ერთეული ინარჩუნებს ცალმხრივი გადაწყვეტილებების მიღების უნარს იმასთან დაკავშირებით, დათანხმდეს თუ არა საჯარო სექტორის ერთეულისგან დაფინანსების მიღებაზე, მასთან კომერციულ ან სხვაგვარ ურთიერთობაზე, მაშინ ამ ერთეულს სრული შესაძლებლობა აქვს, რომ განსაზღვროს თავისი კორპორაციული პოლიტიკა და ის საჯარო სექტორის ერთეულის მიერ კონტროლს არ ექვემდებარება.

დს37. სსბასსს-მ აღნიშნა 2008 წლის სტატისტიკის ეროვნულ ანგარიშებში დომინანტი კლიენტის მიერ კონტროლის განხილვა. მასში წერია:

„საზოგადოდ, თუ აშკარა მტკიცებულება არსებობს, რომ კორპორაციას არ შეუძლია აირჩიოს არა-საჯარო სექტორის კლიენტებთან ურთიერთობა საჯარო სექტორის გავლენის გამო, მაშინ იგულისხმება, რომ საჯარო კონტროლი არსებობს.“

### *ეკონომიკური დამოკიდებულება*

დს38. ფასს 10-ის პუნქტის 340 მიხედვით „... როდესაც არ არსებობს სხვა უფლებები, ინვესტირებული საწარმოს ეკონომიკური დამოკიდებულება ინვესტორზე (როგორცაა, მაგალითად მომწოდებლის ურთიერთობა მთავარ მომხმარებელთან), ინვესტორს არ ანიჭებს უფლებამოსილებას ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.“ მართალია, სსბასსს დაეთანხმა, რომ ეკონომიკური დამოკიდებულება თავისთავად არ წარმოქმნის

კონტროლს, მაგრამ სსბასსს-მ აღნიშნა, რომ საჯარო სექტორში ეკონომიკური დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს სხვა უფლებებთან ერთად. საჭიროა აღნიშნული სხვა უფლებების შეფასება, რათა განისაზღვროს ისინი წარმოქმნიან თუ არა კონტროლს.

დს39. საჯარო სექტორში ეკონომიკური დამოკიდებულების გავრცელების გამო სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ შესაფერისი იყო ეკონომიკური დამოკიდებულების წარმოქმნის გზების განხილვა და ეკონომიკური დამოკიდებულების შესახებ მაგალითების მოყვანა.

*საკუთრების წილებზე მინიჭებული სპეციფიური ხმის უფლებები (ოქროს წილები)*

დს40. სსბასსს დათანხმდა, რომ წინამდებარე სტანდარტში აღიარებულიყო, რომ საკუთრების ინტერესებზე მინიჭებული სპეციფიური ხმის უფლებები (რასაც ხშირად „ოქროს წილებს“ უწოდებენ) გავლენას მოახდენენ კონტროლის შეფასებაზე. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ მსგავსი უფლებები აღიარებულია 2014 წლის *სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოშიც*.

*არსებითი უფლებები*

დს41. კანონით დადგენილი დამოუკიდებლობა გავრცელებულია საჯარო სექტორში. სსბასსს დათანხმდა წარმოეჩინა გზები, რომლის მეშვეობით კანონით დადგენილმა დამოუკიდებლობამ შეიძლება გავლენა იქონიოს ინვესტორის მიერ უფლებების შეფასებაზე. ამ სტანდარტში აღნიშნულია, რომ ინვესტირებული ერთეულის დამოუკიდებლობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ინვესტორის მიერ თავისი უფლებების გამოყენების ბარიერი (პუნქტი მგ26). მასში ასევე აღნიშნულია, რომ დამოუკიდებლად ოპერირებისთვის კანონით დადგენილი დამოუკიდებლობა თავისთავად ხელს არ უშლის ერთეულის გაკონტროლებას სხვა ერთეულის მიერ (იხ. 25-ე პუნქტი).

**ტერმინოლოგია**

დს42. სსბასსს-ების სტანდარტული ტერმინოლოგიის ასახვის მიზნით ცვლილებების შეტანასთან ერთად სსბასსს დათანხმდა, რომ ფასს 10-ში მოცემული ტერმინოლოგიის სხვა მრავალი ცვლილება იყო შესაფერისი. სხვაგვარად თუ არ არის მითითებული რომელიმე სსბასსს-ში, ტერმინოლოგიის წინამდებარე მიმოხილვა შესაბამისია 34-დან 38-მდე სსბასსს-ებისთვის.

*ინვესტორი /ინვესტირებული*

- დს43. ფასს 10-ში ტერმინები „ინვესტორი“ და „ინვესტირებული“ გამოყენებულია, შემდეგის მისათითებლად: (i) პოტენციური მაკონტროლებელი ერთეული, რომელიც ამ სტანდარტს იყენებს, რათა შეაფასოს კონტროლი არსებობს თუ არა და (ii) პოტენციური კონტროლირებული ერთეული. სსბასსს-ის აზრით ეს ტერმინები შესაფერისი არ არის წინამდებარე სტანდარტის უმეტესი ნაწილებისთვის, რადგან ისინი შეიძლება წაკითხულ იქნეს, თითქოს იგულისხმება, რომ არსებობს ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საკუთრების წილს წარმოადგენს. საჯარო სექტორში კონტროლის შეფასება უმეტესწილად არ მოიცავს მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტებს.
- დს44. სსბასსს-მ განიხილა სხვა ტერმინები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინვესტორისა და ინვესტირებულის აღსანიშნავად ამ სტანდარტის კონტექსტში. ერთი ალტერნატივა იყო ინვესტორისთვის „პოტენციური მაკონტროლებელი ერთეულის“ წოდება, ხოლო ინვესტირებულისთვის კი „პოტენციური კონტროლირებული ერთეულის“. სსბასსს-ის აზრით, მართალია არსი ნათლად ჩანს, მაგრამ ამ ფრაზების წინამდებარე სტანდარტში გამოყენება მოუხერხებელი იქნება. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ სსბასსს-ები, საზოგადოდ, ეხება ერთეულებს, რომლებიც ამ სტანდარტს იყენებენ, როგორც „ერთეულები“. წინამდებარე სტანდარტის შემთხვევაში ერთეული, რომელიც ამ სტანდარტს იყენებს, არის ერთეული, რომელიც აფასებს, აკონტროლებს თუ არა სხვა ერთეულს (რომელსაც ფასს 10-ის შესაბამისად ინვესტორი ეწოდება). ამ სტანდარტის გამომყენებელი ერთეული ამას აკეთებს იმისათვის, რომ განსაზღვროს, აკონტროლებს თუ არა სხვა ერთეულს. შესაბამისად, სსბასსსს-მ გადაწყვიტა, რომ კონტექსტიდან გამომდინარე ინვესტორი საწარმოსთვის „ერთეული“ ეწოდებინა, ხოლო ინვესტირებულისთვის კი „სხვა ერთეული“, ან „ერთეული, რომლის კონტროლის შეფასება ხორციელდება“.
- დს45. სსბასსსს დათანხმდა ტერმინის „ინვესტორი“ შენარჩუნებაზე, როდესაც წინამდებარე სტანდარტში მინიშნებულია კონკრეტული ინვესტიცია და ტერმინი გამოიყენება მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად. ეს განსაკუთრებით შესაფერისია ამ სტანდარტის იმ ნაწილებისთვის, რომელიც საინვესტიციო ერთეულებს ეხება.
- დს46. სსბასსსს ასევე დათანხმდა, რომ ტერმინები „ინვესტორი“ და „ინვესტირებული“ შესაფერისია, როდესაც საუბარია ერთობლივ

საქმიანობასა და მეკავშირე ერთეულებში მონაწილეობაზე.

### *სავალდებულო შეთანხმებები*

დს47. სსბასსს დათანხმდა, რომ ფასს 10-ში მოცემული მინიშნება „სახელშეკრულებო შეთანხმებებზე“ უმეტეს შემთხვევაში შეეცვალა ტერმინით, „სავალდებულო შეთანხმებები“. ამ ცვლილებით აღიარებულია, რომ ზოგიერთ იურისდიქციაში ერთეულებს, რომლებიც სსბასსს-ებს იყენებენ, შეიძლება არ ჰქონდეთ ხელშეკრულებების გაფორმების უფლებამოსილება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჰქონდეთ სავალდებულო შეთანხმებების გაფორმების უფლებამოსილება. ამასთან, სსბასსსს დათანხმდა, რომ წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის სავალდებულო შეთანხმება უნდა მოიცავდეს უფლებებს, რომლებიც საკანონმდებლო ან აღმასრულებელი უფლებამოსილების შედეგად წარმოიქმნება. წინამდებარე სტანდარტში გამოყენებული სავალდებულო შეთანხმების განმარტებას მიზანმიმართულად უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სტანდარტებში გამოყენებულს, სადაც ის გამოიყენება იმ უფლებებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელშეკრულებების მსგავსია და ასევე გამოიყენება დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებით.

### *სარგებელი*

დს48. სსბასსსს დათანხმდა, რომ საჯარო სექტორისთვის ტერმინი „სარგებელი“ უფრო შესაფერისია, ვიდრე ტერმინი „უკუგება“, განსაკუთრებით კონტროლირებულ ერთეულში ფინანსური ინვესტიციის არარსებობის პირობებში კონტროლის ურთიერთობების არსებობის გათვალისწინებით. სსბასსსს-ის აზრით ტერმინი „უკუგება“ შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც შეუსაბამო აქცენტის გაკეთება ფინანსურ უკუგებაზე, მაშინ როდესაც საჯარო სექტორში უფრო სავარაუდოა, რომ სარგებელი არაფინანსური იქნება, ვიდრე ფინანსური. ტერმინი „უკუგება“ შენარჩუნებულ იქნა საინვესტიციო ერთეულების კონტექსტში.

დს49. სსბასსსს-მ გადაწყვიტა ფასს 10-ის მოდიფიცირება, რათა:

- (ა) ხაზი გაესვა, რომ საჯარო სექტორში კონტროლის მრავალი შეფასება გულისხმობს არაფინანსური სარგებლის შეფასებას;
- (ბ) აღენიშნა, რომ სარგებელს შეიძლება ჰქონდეს დადებითი ან უარყოფითი ასპექტები; და
- (გ) წარმოედგინა სარგებლის მაგალითები საჯარო სექტორის

## კონტექსტში.

- დს50. სსბასსს დათანხმდა სარგებლის მაგალითების წინამდებარე სტანდარტის ტექსტში ასახვაზე, რადგან მისი აზრით ეს მაგალითები განსაკუთრებით სასარგებლოა ერთეულისთვის, რომელიც ახორციელებს საწყის შეფასებას - აკონტროლებს თუ არა სხვა ერთეულებს.
- დს51. სსბასს 35-ში მოცემული კონტროლის განმარტება მოიცავს „ცვალებად სარგებელს“ და ამ კონცეფციაზე მინიშნებებია გაკეთებული მთელ სტანდარტში. სსბასსს-მ განიხილა, როგორ გავრცელდებოდა სტანდარტი სარგებელზე, რომელიც, ისე ჩანს, თითქოს ფიქსირებული ან მუდმივია. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ბასსს-მა ცალსახად განიხილა ეს საკითხი და წარმოადგინა მაგალითები, რათა ეჩვენებინა, რომ სარგებელი, რომელიც ისე ჩანს, თითქოს მუდმივია, შეიძლება სინამდვილეში ცვალებადი იყოს, რადგან მას აქვს ერთეულის საქმიანობის შედეგების მიღწევის რისკი. სსბასსს-მ აღნიშნა ფინანსურ სარგებელთან დაკავშირებით ბასსსს-ის მაგალითები და დათანხმდა ამ მაგალითების მგ58 პუნქტში განხილულ არაფინანსურ სარგებელში ასახვაზე.

## ერთგვაროვანი ანგარიშების თარიღები

- დს52. სსბასსს-მ განიხილა, დაეწესებინა თუ არა დროის ზღვრები მაკონტროლებელი ერთეულისა და მისი კონტროლირებული ერთეულების საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს შორის განსხვავებაზე. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ფასს 10-ით მოითხოვება, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებებს ერთი და იგივე საანგარიშგებო თარიღი ჰქონდეთ, ან, როდესაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, მოითხოვება კონტროლირებული ერთეულების უახლეს ფინანსურ ანგარიშგებებში შესწორებების შეტანა. ამასთან, ფასს 10-ით თარიღებს შორის განსხვავება შეზღუდულია სამი თვით. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ შეიძლება საჯარო სექტორში არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ერთეულებს განსხვავებული საანგარიშგებო თარიღები აქვთ და თარიღების შეცვლა შეუძლებელი იყოს. სსბასსსს დათანხმდა, რომ არ დაეწესებინა თარიღებს შორის განსხვავებების სამთვიანი ზღვარი.

## დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემები

- დს53. რამდენიმე რესპონდენტმა კომენტარი გააკეთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების



სირთულეზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონტროლირებული ერთეულების რაოდენობა დიდია, როგორც ეს მთლიანი მთავრობის ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაშია. სსბასსს-მ გააცნობიერა ეს პრაქტიკული სირთულეები, თუმცა აღნიშნა, რომ იმ იურისდიქციების უმეტესობას, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენენ, მსგავსი პრობლემები ჰქონდათ. აღნიშნულ იურისდიქციებში კონსოლიდირების განმახორციელებელი ერთეულები გამარტივებულ სტრატეგიებს იყენებდნენ სირთულეებისა და კონსოლიდირებასთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად. მსგავსი სტრატეგიები მოიცავს:

- (ა) სხვადასხვა კატეგორიის ერთეულების კონტროლის ეტაპობრივად შეფასებას, თავდაპირველად იმ ერთეულებზე აქცენტის გაკეთებით, რომლებიც სავარაუდოდ არსებითია;
- (ბ) იმ კონტროლირებული ერთეულების არკონსოლიდირებას (ან კონსოლიდირების გადავადებას), რომლებიც სავარაუდოდ არაარსებითია;
- (გ) ერთეულებს შორის ნაშთებისა და ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვების დანახარჯების თვალსაზრისით ეფექტური გზების მოძიებას;
- (დ) ერთეულებს შორის არაარსებითი ნაშთებისა და ოპერაციების არანულირებას;
- (ე) განხილვას, წარდგენილ იქნეს თუ არა ყველა განმარტებითი შენიშვნა ყველა ერთეულთან მიმართებით.

დს54. სსბასსს-მ განიხილა, წარმოედგინა თუ არა სპეციფიური მითითებები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არსებითობის გამოყენების შესახებ, მაგრამ დაასკვნა, რომ ეს შესაფერისი არ იქნება ფინანსური ანგარიშის სტანდარტში.

### **ინვესტორსა და მის მეკავშირე ერთეულს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა**

დს55. სსბასსს 35-ის შემუშავების დროს ბასსს მოსაზრებებს ითხოვდა ფასს 10-ში და ბასსს 28-ში ცვლილებების წინადადებებზე, რათა ინვესტორსა და მის მეკავშირე ერთეულს ან ერთობლივ საქმიანობას შორის ოპერაციებისთვის ნაწილობრივი შემოსულობის ან ზარალის აღიარების მოთხოვნები გავრცელებულიყო მხოლოდ შემოსულობაზე ან ზარალზე, რომელიც წარმოიქმნება იმ აქტივების გაყიდვიდან ან შეტანიდან, რომლებიც *სამეურნეო საქმიანობას არ*

წარმოადგენენ, როგორც ეს განმარტებულია ფასს 3-ში, საწარმოთა გაერთიანება. ბასსს-მა 2014 წლის სექტემბერში გამოსცა ინვესტორსა და მის მეკავშირე ერთეულს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა (ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში). სსბასსს დათანხმდა, რომ ამ ცვლილებებით შემოდებული მოთხოვნები არ აესახა სსბასსს 35-სა და სსბასსს 36-ში, ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობაში, იმის გამო, რომ უფრო შესაფერისი იქნებოდა სრული ან ნაწილობრივი შემოსულობებისა და ზარალის აღიარების განხილვა საჯარო სექტორის გაერთიანებებისთვის სტანდარტის დონის მოთხოვნების პროექტის მომზადების კონტექსტში.

დს56. როდესაც სსბასსსს-მ შეიმუშავა განსახილველი პროექტი 60, საჯარო სექტორის გაერთიანებები, მან ხელახლა განიხილა, აესახა თუ არა მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა აღირიცხოს ინვესტორის მეკავშირე ერთეულში ან ერთობლივ საქმიანობაში ყოფილ კონტროლირებულ ერთეულზე კონტროლის დაკარგვა. სსბასსსს-მ მიმოიხილა ბასსსს-ის მიერ გამოცემული მითითებები - ინვესტორსა და მის მეკავშირე ერთეულს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა (ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში). თუ სსბასსს 35-ში აისახება ბასსსს-ის ცვლილებები, შედეგად მიიღება, რომ ინვესტორსა და მის მეკავშირე ერთეულს ან ერთობლივ საქმიანობას შორის ოპერაციების ნაწილობრივი შემოსულობა ან ზარალი გავრცელდება მხოლოდ შემოსულობაზე ან ზარალზე, რომელიც წარმოიქმნება იმ ყოფილ კონტროლირებულ ერთეულზე კონტროლის დაკარგვიდან. რომელიც ოპერაციას არ შეიცავს. სსბასსსს-ს არ გამოუვლენია საჯარო სექტორთან მიმართებით რომელიმე მიზეზი ბასსს-ის ამ მიდგომიდან გადახვევისთვის. შედეგად, სსბასსსს დათანხმდა წინამდებარე მითითებების სსბასსს 35-ში ასახვაზე (შესწორებული, 60-ე განსახილველ პროექტში მოცემულ ტერმინებსა და განმარტებებთან შესაბამისობისთვის).

დს57. 2015 წლის დეკემბერში ბასსსს-მა გადაავადა მითითებების დანერგვა - ინვესტორსა და მის მეკავშირე ერთეულს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა (ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში). აღნიშნულის მიზეზი იყო ის, რომ ბასსსს თავისი პროექტის ფარგლებში დამატებით კვლევას აწარმოებდა ამ სფეროში წილობრივი აღრიცხვის შესახებ და მას არ სურდა საწარმოებისთვის აღრიცხვის ორჯერ შეცვლა მოეთხოვა მოკლევადიან პერიოდში. ძალაში შესვლის თარიღის გადავადების შემდეგ ბასსსს-მა არ გააუქმა ამ მითითებების ვადაზე ადრე

გამოყენების ნებართვა, რადგან მას არ სურდა აეკრძალა უკეთესი ფინანსური ანგარიშის გამოყენება. სსბასსს-მ მიმოიხილა ბასსს-ის ეს გადაწყვეტილება და ვერ გამოავლინა საჯარო სექტორთან მიმართებით რაიმე მიზეზი ბასსს-ის მიდგომიდან გადახვევისთვის. შედეგად, სსბასსს დათანხმდა წინამდებარე მითითებების სსბასს 35-ში ასახვაზე (შესწორებული, 60-ე განსახილველ პროექტში მოცემულ ტერმინებსა და განმარტებებთან შესაბამისობისთვის), რომელიც ძალაშია თარიღით, რომელსაც სსბასსს დაადგენს.

**სსბასს 35-ის გადახედვა 2016 წლის აპრილში სსბასსს-ს მიერ გამოცემული სსბასს-ების გამოყენების შედეგად**

დს58. **სსბასსს-მ 2016 წლის აპრილში გამოსცა სსბასსს-ების გამოყენება. ამ დოკუმენტით, ყველა სსბასსს-ში იქნა ცვლილებები შეტანილი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:**

- (ა) თითოეული სტანდარტის მოქმედების სფეროდან ამოღებულია სტანდარტული პუნქტები სსბასსს-ების „საჯარო სექტორის ერთეულებისთვის, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა (სკს)“ გამოყენების შესახებ;
- (ბ) ტერმინი „სკს“ შეცვლილია ტერმინით „საჯარო სექტორის კომერციული ერთეული“, საჭიროების შემთხვევაში; და
- (გ) ცვლილებები იქნა შეტანილი *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობის* მე-10 პუნქტში, იმ საჯარო სექტორის ერთეულების პოზიტიური აღწერით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი სსბასსს-ები.

ამ ცვლილებების მიზეზები განხილულია სსბასსს 1-ის დასკვნის საფუძველში.

# მითითებები დანერგვაზე

წინამდებარე მითითებები თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 35-ის შემადგენელი ნაწილი.

## სხვა ერთეულთან ურთიერთობის ხასიათი

მდ1. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში შეჯამებულია სხვა ერთეულში სხვადასხვა სახის მონაწილეობა.

**დიაგრამა 1: სხვა ერთეულებში მონაწილეობის ფორმები**



	ერთეული აკონტროლებს თუ არა სხვა ერთეულს სსბასს 35-ის შესაბამისად?			
დაიბ		არა		
კონტროლირებულ ერთეულში მონაწილეობის აღრიცხვა სსბასს 35-ის შესაბამისად. სსბასს 35-ით მოითხოვება სრული კომსოლიდირება, თუ კონტროლირებული ან მკონტროლირებული ერთეული საინვესტიციო ერთეული არ არის		ერთეულს აქვს ერთობლივი კონტროლი სსბასს 37-ის შესაბამისად?		
გამყვანეთ სსბასს 38-ის და სხვა სსბასს-ების შესაბამისად	დაიბ		არა	
	ერთობლივი შეთანხმების კლასიფიცირებასსსს 37-ის შესაბამისად		ერთეულს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა სსბასს 36-ის შესაბამისად?	
ერთობლივი ოპერაცია		ერთობლივი საკმარისობა დაიბ		არა
აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აღრიცხეთ სსბასს 37-ის შესაბამისად		მონაწილეობა ადგილებზე ვაბიტალ-შეთოდით, სსბასს 36-ის შესაბამისად		მონაწილეობა ადგილებზე სსბასს 29-ის ან სხვა სსბასს-ის შესაბამისად, საჭიროებისამებრ
გამყვანეთ სსბასს 38-ის და სხვა სსბასს-ების შესაბამისად		გამყვანეთ სსბასს 38-ის და სხვა სსბასს-ების შესაბამისად		გამყვანეთ სსბასს 38-ის და სხვა სსბასს-ების შესაბამისად

## საილუსტრაციო მაგალითები

*წინამდებარე მაგალითები თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 35-ის შემადგენელი ნაწილი.*

სმ1. სცენარებში ჰიპოთეტური სიტუაციებია წარმოდგენილი. მართალია, ამ სცენარების ზოგიერთი ასპექტი შეიძლება ფაქტობრივად არსებობდეს, მაგრამ ყველა კონკრეტული ფაქტი და გარემოება უნდა შეფასდეს სსბასს 35-ის გამოყენებისას.

### უფლებამოსილება (პუნქტები მგ9–მგ56)

სმ2. ქვემოთ მოცემულ მაგალითში ნაჩვენებია იმის შეფასება, არსებობს თუ არა უფლებამოსილება წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის.

#### მაგალითი 1

რეგიონის მთავრობა ნაწილობრივ აფინანსებს ადგილობრივი მთავრობის საქმიანობებს. მოითხოვება, რომ ამ დაფინანსების ნაწილი დაიხარჯოს კონკრეტულ საქმიანობებზე. ადგილობრივ მთავრობას ჰყავს საბჭო, რომელსაც ადგილობრივი თემი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევს. აღნიშნული საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს, როგორ იქნეს გამოყენებული ადგილობრივი მთავრობის რესურსები ადგილობრივი თემის სასარგებლოდ. ადგილობრივი მთავრობის საქმიანობები მრავალფეროვანია და მოიცავს ბიბლიოთეკის მომსახურებას, დასვენების ადგილების მოწყობას, ნარჩენებისა და წყალარინების მართვასა და მშენებლობის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რეგულირების აღსრულებას. ეს საქმიანობები აღნიშნული ადგილობრივი მთავრობის რელევანტური საქმიანობებია. ამ საქმიანობებიდან მრავალი რეგიონის მთავრობის იტნერესს ემთხვევა.

მიუხედავად ადგილობრივი მთავრობის ნაწილობრივ დაფინანსებისა, რეგიონის მთავრობას არა აქვს უფლებამოსილება ადგილობრივი მთავრობის რელევანტური საქმიანობის წარმართაზე. რელევანტურ საქმიანობებზე ადგილობრივი მთავრობის უფლებები ხელს უშლის რეგიონის მთავრობის მიერ კონტროლის განხორციელებას.

*მარეგულირებელი კონტროლი (პუნქტი მგ12)*

სმ3. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია მარეგულირებელი კონტროლის სხვადასხვა ფორმები. მარეგულირებელი კონტროლის ამ ფორმებიდან არცერთი არ წარმოქმნის უფლებამოსილებას რელევანტურ საქმიანობებზე წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის. თუმცა, ეს მაგალითები არ გამორიცხავს, რომ შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის უფლებამოსილება რელევანტურ საქმიანობებზე შეიძლება მარეგულირებელი კონტროლიდან მომდინარეობდეს.

**მაგალითი 2**

დაბინძურების მაკონტროლებელ ორგანოს უფლებამოსილება აქვს, რომ დახუროს იმ ერთეულების ოპერაციები, რომლებიც არ იცავენ გარემოსდაცვით რეგულირებას.

უფლებამოსილების არსებობა არ წარმოქმნის უფლებამოსილებას რელევანტურ საქმიანობებზე.

**მაგალითი 3**

ქალაქს უფლებამოსილება აქვს, რომ მიიღოს ზონირების კანონმდებლობა, რათა შეზღუდოს სწრაფი კვების ობიექტების განთავსების ადგილები ან საერთოდ აკრძალოს ისინი.

ამ უფლებამოსილების არსებობა არ წარმოქმნის უფლებამოსილებას სწრაფი კვების ობიექტების რელევანტურ საქმიანობებზე.

**მაგალითი 4**

ცენტრალურ მთავრობას უფლებამოსილება აქვს, რომ მარეგულირებელი კონტროლი დაამყაროს მონოპოლიებზე. სრულად ფლობილი სახელმწიფო სააგენტოს უფლებამოსილება აქვს, რომ განახორციელოს იმ მონოპოლიების რეგულირება, რომლებიც ექვემდებარებიან მსგავს კონტროლს და ფასის ჭერი დააწესა ელექტროენერჯის დისტრიბუტორი ერთეულებისთვის. ცენტრალურ მთავრობას ელექტროენერჯის დისტრიბუტორ ერთეულებში საკუთრების წილი არა აქვს და

ფინანსურ სარგებელს არ იღებს ელექტროენერჯის დისტრიბუციიდან. ამ უფლებამოსილების შედეგად არც ცენტრალურ მთავრობას და არც სახელმწიფო სააგენტოს არა აქვს მარეგულირებელი კონტროლის დაწესების უფლებამოსილება. ნებისმიერი სხვა უფლებამოსილება ცალკე უნდა შეფასდეს.

## **მაგალითი 5**

აზარტული თამაშების მაკონტროლებელი საბჭო სახელმწიფო სააგენტოა, რომელიც კაზინოებსა და სხვა ტიპის აზარტულ თამაშებს არეგულირებს რეგიონში და რეგიონის აზარტული თამაშების კანონმდებლობას ადასრულებს. აზარტული თამაშების მაკონტროლებელი საბჭო პასუხისმგებელია იმ წესებისა და რეგულირების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც გამოიყენება რეგიონში აზარტული თამაშების მართვისთვის. ეს წესები და რეგულირება კანონმდებლობით არის განპირობებული. საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონმდებლობა და რეგიონის ზოგად პოლიტიკას შეიმუშავებს აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით; აღნიშნულ წესებში და რეგულირებაში დეტალური მოთხოვნებია მოცემული, რომლებიც უნდა შესრულდეს აზარტული თამაშების ორგანიზაციის, მისი მფლობელების, თანამშრომლებისა და მომწოდებლების მიერ. ეს წესები და რეგულირება საქმიანობების ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორის, ლიცენზირებას, სააღრიცხვო სისტემებს, კაზინოს აზარტული თამაშების წესებსა და აუდიტს.

აზარტული თამაშების მაკონტროლებელ საბჭოს უფლება აქვს ასევე, რომ არ გასცეს ლიცენზიები აზარტული თამაშების ორგანიზაციაზე, მათ მფლობელებზე, თანამშრომლებზე და მომწოდებლებზე. ლიცენზიის მისაღებად განმცხადებელმა უნდა აჩვენოს, რომ მას კარგი რეპუტაცია აქვს, წესიერი და პატიოსანია. ლიცენზიის განცხადების ფორმებით, როგორც წესი, მოითხოვება დეტალური პირადი ინფორმაცია. იმის მიხედვით, რომელი ტიპის ლიცენზიის მიღება სურს, განმცხადებელს შეიძლება მოეთხოვოს დეტალური ინფორმაციის გამჟღავნება ადრინდელი ბიზნეს-კავშირების, დასაქმების ისტორიის, ნასამართლეობისა და ფინანსური სტაბილურობის შესახებ.

მართალია, ეს წესები და რეგულირება გავლენას ახდენს იმაზე,

როგორც ოპერირებენ აზარტული თამაშების ორგანიზაციები, მაგრამ აზარტული თამაშების მაკონტროლებელ საბჭოს უფლებამოსილება არა აქვს აზარტული თამაშების ორგანიზაციების რელევანტურ საქმიანობებზე (როგორც ეს წინამდებარე სტანდარტით არის განსაზღვრული). რეგულირება ვრცელდება აზარტული თამაშების ყველა ორგანიზაციაზე და თითოეულ ორგანიზაციას აქვს არჩევანი - სურს თუ არა აზარტული თამაშების სფეროში მოღვაწეობა. აზარტული თამაშების კანონმდებლობისა და რეგულირების მიზანია საზოგადოების დაცვა და არა მაკონტროლებელი მონაწილეობა აზარტული თამაშების ორგანიზაციებში.

*რელევანტური საქმიანობები და რელევანტური საქმიანობების წარმართვა (პუნქტები მგ13–მგ15)*

სმ4. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია იმის შეფასება, ერთეულს აქვს თუ არა სხვა ერთეულის რელევანტური საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის.

#### **მაგალითი 6**

ერთეულები A და B ქმნიან სხვა ერთეულს, C ერთეულს, სამედიცინო პროდუქციის შექმნისა და მარკეტინგისთვის. ერთეული A პასუხისმგებელია სამედიცინო პროდუქციის შექმნასა და მარეგულირებლის მიერ დამტკიცების მოპოვებაზე - ეს პასუხისმგებლობა მოიცავს უპირობო შესაძლებლობას, რომ სამედიცინო პროდუქტის შექმნასთან და მარეგულირებლის მიერ დამტკიცების მოპოვებასთან დაკავშირებით მიიღოს ყველა გადაწყვეტილება. მარეგულირებლის მიერ პროდუქტის დამტკიცების შემდეგ B ერთეული აწარმოებს ამ პროდუქტს და მის მარკეტინგს ახორციელებს - B ერთეულს უპირობო შესაძლებლობა აქვს, რომ ამ პროდუქტის წარმოებასა და მარკეტინგთან დაკავშირებით მიიღოს ყველა გადაწყვეტილება. თუ ყველა ზემოაღნიშნული საქმიანობა - სამედიცინო პროდუქტის შექმნა და მარეგულირებლის მიერ დამტკიცების მოპოვება, ისევე როგორც წარმოება და მარკეტინგი - რელევანტური საქმიანობებია, თითოეულმა, A ერთეულმა და B ერთეულმა უნდა განსაზღვროს, აქვს თუ არა იმ საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობა, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას



ახდენენ C ერთეულისგან სარგებლის მიღებაზე. შესაბამისად, თითოეულმა, A ერთეულმა და B ერთეულმა უნდა განიხილოს, სამედიცინო პროდუქტის შექმნა და მარეგულირებლის მიერ დამტკიცების მოპოვება ან წარმოება და მარკეტინგი ახდენენ თუ არა ყველაზე დიდ გავლენას C ერთეულისგან სარგებლის მიღებაზე და მათ შეუძლიათ თუ არა ამ საქმიანობის წარმართვა. იმისათვის, რომ განსაზღვრონ, რომელ ერთეულს აქვს უფლებამოსილება, ერთეულები A და B გაითვალისწინებენ:

ა) C ერთეულის დანიშნულებასა და სტრუქტურას;

ბ) ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ერთეულის C ნამეტს, შემოსავალსა და ღირებულებას, ისევე როგორც აღნიშნული სამედიცინო პროდუქტის ღირებულებას;

გ) მათი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების გავლენას ერთეულის C საქმიანობის შედეგებზე, (ბ) პუნქტში მოცემულ ფაქტორებთან მიმართებით; და

დ) მათ რისკს ერთეულისგან C სარგებლის ცვალებადობასთან დაკავშირებით.

ამ კონკრეტულ მაგალითში ეს ერთეულები ასევე გაითვალისწინებენ:

ა) მარეგულირებლის მიერ დამტკიცების მიღებასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობასა და დამტკიცებისთვის საჭირო ძალისხმევას (სამედიცინო პროდუქციის წარმატებით შექმნისა და მარეგულირებლისგან დამტკიცების მიღების თავიანთი ისტორიის გათვალისწინებით); და

ბ) რომელი ერთეული აკონტროლებს სამედიცინო პროდუქტს, პროდუქტის შექმნის ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ.

## მაგალითი 7

საინვესტიციო სტრუქტურა იქმნება და ფინანსდება სავალო ინსტრუმენტით, რომლის მფლობელია ერთ-ერთი ინვესტორი

(სავალო ინსტრუმენტების ინვესტორი) და წილობრივი ინსტრუმენტებით, რომლის მფლობელები რამდენიმე სხვა ინვესტორია. წილობრივი ინსტრუმენტების მოცემული ნაწილის გამოშვება მიზნად ისახავს ინვესტირებული ერთეულის საწყისი ზარალის შთანთქმას და ნარჩენი შემოსავლის მიღებას ინვესტირებული ერთეულიდან. წილობრივი ინსტრუმენტების ერთ-ერთი ინვესტორი, რომელსაც აქციების 30% ეკუთვნის, იმავდროულად არის აქტივების მმართველი. ინვესტირებული ერთეული თავის შემოსავლებს იყენებს ფინანსური აქტივების პორტფელის შესაძენად, უქვემდებარებს რა სხვა ერთეულის საკრედიტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია აქტივების ძირითადი თანხისა და პროცენტების შესაძლო გადაუხდელობასთან. სავალო ინსტრუმენტების ინვესტორს ამ ოპერაციის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება, როგორც მინიმალური საკრედიტო რისკის მქონე ინვესტიცია, რომელიც დაკავშირებულია პორტფელის შემადგენლობაში მყოფ აქტივებთან დაკავშირებული თანხების შესაძლო გადაუხდელობასთან, რასაც განაპირობებს ამ აქტივების ხასიათი და ის ფაქტი, რომ წილობრივი ინსტრუმენტების მოცემული სერიის გამოშვება გამიზნულია ინვესტირებული ერთეულის თავდაპირველი ზარალის შთანთქმისთვის.

ინვესტირებული ერთეულის შემოსავლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული ერთეულის აქტივების პორტფელის მართვა, რომელიც მოიცავს პორტფელის მართვის ინსტრუქციების ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღებას აქტივების შერჩევას, შეძენისა და გასხვისების შესახებ, ასევე მართვის ღონისძიებებს, პორტფელის აქტივებთან დაკავშირებული თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში. ყველა ზემოაღნიშნული საქმიანობის მართვას ახორციელებს აქტივების მმართველი იქამდე, სანამ გადაუხდელი თანხის ოდენობა არ მიაღწევს პორტფელის ღირებულების გარკვეულ (წინასწარ დადგენილ) ხვედრით წილს (ე.ი. როდესაც პორტფელის ღირებულება იმდენია, რომ შთაინთქმება სხვა ერთეულის წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვება). ამ მომენტიდან, აქტივების მართვას ახორციელებს ნდობით აღჭურვილი მესამე მხარე, სავალო ინსტრუმენტების ინვესტორის მიერ მიცემული ინსტრუქციებით.

ინვესტირებული ერთეულის აქტივების პორტფელის მართვა ინვესტირებული ერთეულის რელევანტურ საქმიანობას

წარმოადგენს. აქტივების მმართველს რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა გააჩნია მანამ, სანამ აქტივებთან დაკავშირებული გადაუხდელი თანხების ოდენობა არ მიაღწევს პორტფელის ღირებულების წინასწარდადგენილ ხვედრით წილს; სავალო ინსტრუმენტების ინვესტორს რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა გააჩნია მაშინ, როდესაც აქტივებთან დაკავშირებული გადაუხდელი აქტივების ღირებულება გადააჭარბებს პორტფელის ღირებულების მიმართ წინასწარდადგენილ თანაფარდობას. აქტივების მმართველმა და სავალო ინსტრუმენტების ინვესტორმა, თითოეულმა უნდა დაადგინოს, შეუძლიათ თუ არა მათ ისეთი საქმიანობების მართვა, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული ერთეულის შემოსავლებზე, მათ შორის, უნდა გაითვალისწინონ ინვესტირებული ერთეულის დანიშნულება და სტრუქტურა, ასევე თითოეული მხარის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებული ერთეულისგან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან.

*უფლებები, რომლებიც ერთეულს უფლებამოსილებას ანიჭებს სხვა ერთეულთან მიმართებით (პუნქტები მგ16–მგ28)*

სმ5. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია იმის შეფასება, ერთეულს აქვს თუ არა სხვა ერთეულის რელევანტური საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის.

### **მაგალითი 8**

მთავრობის საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო თემის საცხოვრებელი კომპლექსის პროგრამას აფუძნებს, რომელიც დაბალფასიან საცხოვრებელ ფართობებს უზრუნველყოფს. პროგრამა ხორციელდება რეგისტრირებულ ასოციაციასთან შეთანხმების ფარგლებში. ამ ასოციაციის ერთადერთი საქმიანობაა თემის საცხოვრებელი კომპლექსის მართვა. ასოციაციას საკუთრების ინსტრუმენტები არა აქვს.

- ასოციაციის რელევანტური საქმიანობები მოიცავს:
- საცხოვრებელი ფართობის მისაღებად განცხადებების

მიმოხილვასა და შერჩევას;

- საცხოვრებელი კომპლექსის პროგრამის ყოველდღიურ ოპერირებას;
- სახლებისა და საერთო ნაგებობების მოვლა-შენახვას; და
- საცხოვრებელი კომპლექსის გაუმჯობესებასა და გაფართოებას.

ასოციაციის მმართველთა საბჭოში 16 წევრია, რომელთაგან რვას თანამდებობაზე მთავრობის საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო ნიშნავს (და ათავისუფლებს თანამდებობიდან). თავჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება მთავრობის საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტოს მიერ დანიშნული საბჭოს წევრებისგან და მას გადაწყვეტი ხმის უფლება აქვს, რაც იშვიათად გამოიყენება. საბჭო რეგულარულად იკრიბება და ასოციაციის ხელმძღვანელობისგან მიღებულ ანგარიშებს მიმოხილავს. ამ ანგარიშების საფუძველზე საბჭომ შეიძლება დაამტკიცოს გადაწყვეტილებები ძირითად საკითხებზე, როგორცაა მაგალითად, მნიშვნელოვანი მოვლა-შენახვა და დამატებითი კაპიტალის ინვესტირება დამატებითი საცხოვრებელი ფართობების მშენებლობისთვის, თავისუფალი საცხოვრებელი ფართებისა და საცხოვრებელ ფართობებზე მოთხოვნის განხილვის შემდეგ.

მთავრობის საცხოვრებელი მშენებლობის სააგენტო ფლობს მიწის ნაკვეთს, რომელზეც საცხოვრებელი კომპლექსია გაშენებული და კაპიტალისა და საოპერაციო ფონდების შეტანას ახორციელებს აღნიშნულ ასოციაციაში მისი დაფუძნებიდან. ასოციაცია არის ამ საცხოვრებელი კომპლექსის მფლობელი.

ასოციაცია იტოვებს კომპლექსის ოპერირებიდან წარმოქმნილ ნებისმიერ ნამეტს და თავისი წესდების შესაბამისად არ შეუძლია პირდაპირი ფინანსური უკუგების მიცემა მთავრობის საცხოვრებელი შენობების მშენებლობების სააგენტოსთვის. ზემოთ მოცემული ინფორმაცია ეხება ქვემოთ აღწერილ მაგალითებს 8ა და 8ბ. თითოეული მაგალითი ცალკე განიხილება.

## **მაგალითი 8ა**

ზემოთ მოცემული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე მთავრობის საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო აკონტროლებს ასოციაციას.

საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტოს აქვს უფლება, რომელიც მას აძლევს ასოციაციის რელევანტური საქმიანობების მიმდინარე მომენტში წარმართვის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, ის ამ უფლებების გამოყენებას გადაწყვეტს თუ არა.

საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო თანამდებობაზე ნიშნავს მმართველთა საბჭოს რვა წევრს, რომელთაგან ერთ-ერთი თავჯდომარეა გადამწყვეტი ხმის უფლებით. შედეგად, საცხოვრებელი მშენებლობის სააგენტოს უფლებამოსილება აქვს ასოციაციაზე არსებითი უფლებების მეშვეობით, რაც მას ასოციაციის რელევანტური საქმიანობების მიმდინარე მომენტში წარმართვის შესაძლებლობას აძლევს, მიუხედავად იმისა, საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო ამ არსებითი უფლებების გამოყენებას გადაწყვეტს თუ არა.

საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტოს ასევე აქვს რისკი ან უფლებები ასოციაციაში მისი მონაწილეობიდან ცვალებად სარგებელთან მიმართებით. საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო არაფინანსურ სარგებელს მოიპოვებს ასოციაციის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს მისი სოციალური მიზნის - დაბალფასიან კომუნალურ საცხოვრებელ ფართობებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება - მიღწევას.

საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო ასევე აკმაყოფილებს კონტროლის კრიტერიუმს. საბჭოს წევრების დანიშვნის მეშვეობით საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტოს შესაძლებლობა აქვს, რომ თავისი უფლებამოსილება გამოიყენოს ამ ასოციაციიდან სარგებლის ხასიათსა და ოდენობაზე გავლენის მოსახდენად.

საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო აკმაყოფილებს კონტროლის სამივე კრიტერიუმს და შესაბამისად, საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო აკონტროლებს ამ ასოციაციას.

## მაგალითი 8ბ

ამ მაგალითზე ვრცელდება ზა მაგალითში მოცემული ფაქტები, გარდა ქვემოთ მოცემულისა:

- ა) ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრები საჯარო ნომინაციისა და ხმის მიცემის პროცესის მეშვეობით აირჩევა, რაც არ წარმოქმნის საცხოვრებელი მშენებლობის სააგენტოს უფლებას, რომ დანიშნოს საბჭოს წევრები; და
- ბ) ასოციაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მიმოიხილავს საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო, რომელმაც შეიძლება რჩევა მისცეს ასოციაციას.

ზემოთ მოცემული შეცვლილი ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტოს არა აქვს არსებითი უფლებები ამ ასოციაციასთან დაკავშირებით და შესაბამისად, არა აქვს უფლებამოსილება ასოციაციაზე.

საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტოს დაბალფასიან კომუნალურ საცხოვრებელ ფართობებთან დაკავშირებული სოციალური მიზნები კვლავ მიიღწევა და შესაბამისად, ის კვლავ მოიპოვებს პირდაპირ არაფინანსურ სარგებელს. თუმცა, მხოლოდ მიზნების თანხვედრა საკმარისი არ არის დასკვნის გასაკეთებლად, რომ ერთეული სხვა ერთეულს აკონტროლებს (იხ. 36-ე პუნქტი).

საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტოს არა აქვს უფლებამოსილება და შესაბამისად, არა აქვს ამ უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობა იმისათვის, რომ გავლენა მოახდინოს სააგენტოს სარგებლის ხასიათსა და ოდენობაზე. საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტოს კონტროლის სამი კრიტერიუმიდან ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილება არ შეუძლია და შესაბამისად, საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტო არ აკონტროლებს ამ ასოციაციას.

## მაგალითი 9

მთავრობას ერთ-ერთი კანონით შექმნილი ორგანოს წევრების უმეტესობის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების უფლება აქვს. ეს უფლებამოსილება გამოიყენებოდა ადრინდელი მთავრობების მიერ. ამჟამინდელ მთავრობას ეს არ გაუკეთებია,

რადგან მას პოლიტიკური მიზეზების გამო არ სურს ისე წარმოჩინდეს, თითქოს ამ კანონით შექმნილი ორგანოს საქმიანობაში ერევა. ასეთ შემთხვევაში მთავრობას მაინც აქვს არსებითი უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ მან არჩია ამ უფლებების არგამოყენება.

## **მაგალითი 10**

ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკის შესაბამისად, როდესაც ის თავის მოთხოვნილებაზე მეტ მიწის ნაკვეთს ფლობს, მან უნდა განიხილოს მიწის ხელმისაწვდომობა ხელმისაწვდომი საცხოვრებელი შენობების მშენებლობისთვის. ადგილობრივი მთავრობა ვადებსა და პირობებს განსაზღვრავს, რათა შექმნილი საცხოვრებელი ფართობების ფასი ხელმისაწვდომი იყოს და დაკმაყოფილდეს ადგილობრივი მოთხოვნილება საცხოვრებელ ფართებზე.

ამ პოლიტიკის შესაბამისად ადგილობრივმა მთავრობამ მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ასოციაციას ფ.ე.1-ად მიჰყიდა 20 ხელმისაწვდომი ფასის სახლის მშენებლობისთვის. მიწის ნაკვეთის დარჩენილი ნაწილი ღია საბაზრო ღირებულებით გაიყიდა კერძო დეველოპერზე.

ადგილობრივ მთავრობასა და საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ასოციაციას შორის ხელშეკრულებაში მითითებულია, რისთვის შეიძლება მიწის ნაკვეთის გამოყენება, როგორი ხარისხის სახლები უნდა აშენდეს, მიმდინარე ანგარიშგებისა და საქმიანობის შედეგების მართვის მოთხოვნები, გამოუყენებელი მიწის ნაკვეთის დაბრუნებისა და დავების გადაჭრის პროცესი. მიწის ნაკვეთი გამოყენებული უნდა იქნეს ხელმისაწვდომ საცხოვრებელ ფართობებთან დაკავშირებით ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკის შესაბამისად.

აღნიშნულ შეთანხმებაში ასევე მოცემულია მოთხოვნები საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფისა და ფინანსური მართვის პროცესებთან დაკავშირებით. საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ასოციაციამ უნდა წარმოაჩინოს, რომ მას აქვს შესაძლებლობა და უფლებამოსილება ამ მშენებლობის განსახორციელებლად. მან ასევე უნდა წარმოაჩინოს, რომ შესაძლებელია დამატებითი

ღირებულების წარმოქმნა ადგილობრივი მთავრობის რესურსების საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ასოციაციის რესურსებთან გაერთიანებით, რათა კონკრეტული კლიენტების ჯგუფის მოთხოვნილება მდგრადი გზით დაკმაყოფილდეს.

საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ასოციაციის საბჭოს საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ასოციაციის წევრები ნიშნავენ თანამდებობაზე. ადგილობრივ მთავრობას ამ საბჭოში თავისი წარმომადგენელი არა ჰყავს.

ზემოთ მოცემული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე მთავრობის საცხოვრებელი შენობების მშენებლობის სააგენტოს არა აქვს საკმარისი უფლებამოსილება ასოციაციაზე იმისათვის, რომ მისი რელევანტური საქმიანობები წარმართოს, შესაბამისად, ის ამ ასოციაციას არ აკონტროლებს. ადგილობრივმა მთავრობამ შეიძლება არაპირდაპირი, არაფინანსური სარგებელი მიიღოს ასოციაციისგან იმ თვალსაზრისით, რომ საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ასოციაციის საქმიანობები ხელს უწყობს ადგილობრივი მთავრობის სოციალური მიზნების მიღწევას დაბალფასიან კომუნალურ საცხოვრებელ ფართობებთან დაკავშირებით. თუმცა, მხოლოდ მიზნების თანხვედრა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დავასკვნათ, რომ ერთი ერთეული აკონტროლებს მეორე ერთეულს (იხ. 36-ე პუნქტი). იმისათვის, რომ ადგილობრივ მთავრობას უფლებამოსილება ჰქონდეს საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ასოციაციაზე, მას უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ასოციაციისთვის მითითების მიცემის შესაძლებლობა, რომ მან ადგილობრივ მთავრობასთან იმუშავოს ადგილობრივი მთავრობის მიზნების მიღწევაში ხელშეწყობისთვის.



### **მაგალითი 11**

ერთეული, რომლის შეფასება მიმდინარეობს კონტროლის თვალსაზრისით, აქციონერთა წლიურ შეკრებებს ატარებს, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესახებ. აქციონერთა მომდევნო გეგმიური კრება რვა თვეში გაიმართება. თუმცა, აქციონერებს, რომლებიც ინდივიდუალურად ან ერთობლივად ხმის უფლებების 5 პროცენტს მაინც ფლობენ, შეუძლიათ რიგგარეშე კრების მოწვევა რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებით არსებული პოლიტიკის შესაცვლელად, მაგრამ სხვა აქციონერებისთვის შეტყობინების გაგზავნის მოთხოვნა ნიშნავს, რომ შეუძლებელი იქნება მსგავსი კრების ჩატარება სულ მცირე 30 დღეში. რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებული პოლიტიკის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ აქციონერთა რიგგარეშე ან გეგმიურ კრებებზე. ეს მოიცავს აქტივების არსებითი გაყიდვის დამტკიცებას, ისევე როგორც მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელების ან გაყიდვის.

ზემოთ აღწერილი ფაქტები ვრცელდება ქვემოთ მოცემულ მაგალითებზე 11ა–11დ. თითოეული მაგალითი ცალკე განიხილება.

### **მაგალითი 11ა**

ერთეული ფლობს სხვა ერთეულში ხმის უფლებების უმრავლესობას. ამ ერთეულის ხმის უფლებები არსებითია, რადგან ერთეულს შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესახებ, როდესაც საჭიროა ამ გადაწყვეტილებების მიღება. ფაქტი, რომ 30 დღეა საჭირო ერთეულის მიერ თავისი ხმის უფლებების გამოყენებისთვის, ხელს არ უშლის ერთეულს, რომ ჰქონდეს რელევანტური საქმიანობების წარმართვის მიმდინარე შესაძლებლობა იმ მომენტიდან, როდესაც ერთეული შეიძენს აქციებს.

### **მაგალითი 11ბ**

ერთეული ფორვარდული ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეა, რომელიც ეხება ინვესტირებული ერთეულის აქციების

საკონტროლო პაკეტის შექმნას. ფორვარდული ხელშეკრულების შესრულების ვადა დადგება 25 დღეში. არსებულ აქციონერებს არ შეუძლიათ რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებული არსებული პოლიტიკის შეცვლა, რადგან რიგგარეშე კრების მოწვევა არ შეიძლება სულ მცირე 30 დღემდე, ამ დროისთვის კი ფორვარდული ხელშეკრულება უკვე შესრულებული უნდა იყოს. ამგვარად, ერთეულს გააჩნია უფლებები, რომლებიც, პრაქტიკულად, იმ აქციონერის უფლებების ეკვივალენტურია, რომელიც აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი ერთეულია 11ა მაგალითში (ე.ი ფორვარდული ხელშეკრულების მფლობელ ერთეულს რელევანტური საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია ყოველთვის, როდესაც ამის გაკეთება არის საჭირო). ერთეულის ფორვარდული ხელშეკრულება არის რეალური უფლება, რომელიც ერთეულს მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს მანამდეც კი, სანამ ფორვარდული ხელშეკრულება შესრულდება.

### **მაგალითი 11გ**

ერთეული არსებითი ოფციონის მფლობელია, რომელიც ეხება სხვა ერთეულის აქციების საკონტროლო პაკეტის შექმნას, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება 25 დღეში და მისი აღსრულების ფასი საბაზროზე ხელსაყრელია. დასკვნა ისეთივეა, როგორც 11ბ მაგალითში.

### **მაგალითი 11დ**

ერთეული ფორვარდული ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეა, რომელიც ეხება სხვა ერთეულის აქციების საკონტროლო პაკეტის შექმნას და მას რაიმე სხვა დაკავშირებული უფლებები არ გააჩნია სხვა ერთეულთან მიმართებით. ფორვარდული ხელშეკრულების შესრულების თარიღი დგება ექვს თვეში. წინა მაგალითისგან განსხვავებით, ერთეულს არ გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ მიმდინარე მომენტში მართოს რელევანტური საქმიანობები. მიმდინარე მომენტში

რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა აქვთ არსებულ აქციონერებს, რადგან მათ შეუძლიათ რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებული პოლიტიკის შეცვლა მანამ, სანამ ფორვარდული ხელშეკრულება შესრულდება.

*უფლებამოსილება ხმის უფლების გარეშე და საკუთრების წილებზე მიკუთვნებული სპეციფიური ხმის უფლებები (კუნქტები მგ36–მგ37)*

სმნ. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია შეფასებები, სხვა ერთეულში საკუთრების წილებზე მიკუთვნებულ სპეციფიური ხმის უფლებებს შეუძლია თუ არა უფლებამოსილების წარმოქმნა წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის.

### **მაგალითი 12**

ცენტრალურმა მთავრობამ განახორციელა ერთ-ერთი კომპანიის პრივატიზება და თავისი ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით „ოქროს წილის“ მექანიზმი გამოიყენა. „ოქროს წილს“ არავითარი ღირებულება არა აქვს და არ წარმოქმნის წილობრივ უფლებებს კომპანიის კაპიტალთან მიმართებით. ოქროს წილი გულისხმობს, რომ კომპანიის კონტროლი ან კომპანიის 24 პროცენტის წილის გაყიდვა არ შეიძლება ცენტრალური მთავრობის თანხმობის გარეშე.

ცენტრალურ მთავრობას დამცავი უფლებები აქვს და არა არსებითი უფლებები.

### **მაგალითი 13**

ცენტრალურმა მთავრობამ მის მიერ ფლობილი ერთ-ერთი კომპანიის ყველა აქცია გაყიდა, მაგრამ დაიტოვა ოქროს წილი (ნომინალური ღირებულებით ერთი ფულადი ერთეული). ოქროს წილი სახელმწიფო მდივანს (როგორც ამ აქციის მფლობელს) კომპანიის აქციების 15 პროცენტს აძლევს და შესაბამისად მას უზრუნველყოფს ამ საწარმოს ნებისმიერი პოტენციური შექმნის დაბლოკვის შესაძლებლობით. ამ წილით ასევე მოითხოვება, რომ საბჭოს თავჯდომარე და

აღმასრულებელი დირექტორი იყვნენ ამ ქვეყნის მოქალაქეები. ამ ოქროს წილის არსი გახლდათ კომპანიის დაცვა საზღვარგარეთიდან შეძენისგან, ძირითადად ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე.

ცენტრალური მთავრობას აქვს დამცავი უფლებები და არა არასებითი უფლებები.

#### **მაგალითი14**

ცენტრალური მთავრობა თავდაცვის კომპანიებში არავითარ წილს არ ფლობს. თუმცა, მან მიიღო კანონმდებლობა, სადაც მითითებულია, რომ იმ კომპანიებთან მიმართებით, რომლებიც სტრატეგიულ საქმიანობას ახორციელებენ თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სისტემისთვის, ეროვნული თავდაცვის ან უსაფრთხოების ფუნდამენტურ ინტერესზე არსებითი გავლენის შესაძლებლობის შემთხვევაში, მთავრობამ შეიძლება:

ა) სპეციფიური პირობები დააწესოს მსგავს კომპანიებში წილების შეძენაზე - ნებისმიერი პირის მიერ - რაც დაკავშირებულია შესყიდვისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან, ტექნოლოგიების გადაცემასა და ექსპორტის კონტროლთან;

ბ) ვეტო დაადოს ნებისმიერი პირის მიერ - სახელმწიფო გარდა (პირდაპირ ან უშუალოდ, ინდივიდუალურად თუ ერთობლივად) - მსგავს კომპანიაში ხმის უფლების კაპიტალში წილის შესყიდვას, რომელმაც, თავისი მოცულობის გამო, შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს თავდაცვა ან ეროვნული უსაფრთხოება; და

გ) ვეტო დაადოს მსგავსი კომპანიების აქციონერების ან დირექტორთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებულ ოპერაციებთან (როგორცაა, მაგალითად შერწყმა, უკუშერწყმა, აქტივების გაყიდვა, კომპანიის დაშლა და კანონქვემდებარე აქტების ცვლილებები გარკვეულ, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ კომპანიებში კორპორაციული მიზნის ან წილობრივი საკუთრების ჭერების შესახებ).

ცენტრალური მთავრობას აქვს დამცავი უფლებები და არა

არასებითი უფლებები.

*საბჭოს ან სხვა მმართველი ორგანოს კონტროლი (პუნქტი მგ38)*

სმ7. ქვემოთ მოცემულ მაგალითში ნაჩვენებია იმის შეფასება, ერთეულს აქვს თუ არა კონტროლი სხვა ერთეულის საბჭოზე ან მმართველ ორგანოზე წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის. მსგავსი კონტროლის არსებობამ შეიძლება უზრუნველყოს მტკიცებულება, რომ ერთეულს საკმარისი უფლებები აქვს სხვა ერთეულზე უფლებამოსილებისთვის.

#### **მაგალითი 15**

ეროვნულ მუზეუმს ნდობით აღჭურვილი პირების საბჭო მართავს, რომლის წევრებს ირჩევს სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია მუზეუმის დაფინანსებაზე. ნდობით აღჭურვილ პირებს თავისუფლება აქვთ მუზეუმის ოპერირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

დეპარტამენტს აქვს მუზეუმის ნდობით აღჭურვილი პირების უმრავლესობის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილება. დეპარტამენტს აქვს მუზეუმზე უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობა.

*ეკონომიკური დამოკიდებულება (პუნქტები მგ41–მგ42)*

სმ8. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია, სხვა ერთეულისგან დაფინანსებაზე დამოკიდებულება წარმოქმნის თუ არა უფლებამოსილებას წინამდებარე სტანდარტის კონტექსტში.

#### **მაგალითი 16**

კვლევიითი ინსტიტუტი მრავალია იმ ინსტიტუტებიდან, რომლებიც თავიანთი დაფინანსების ძირითად ნაწილს ცენტრალური მთავრობისგან იღებენ. ეს ინსტიტუტები წინადადებებს წარადგენენ და დაფინანსება განაწილებს ტენდერის პროცესის მეშვეობით. აღნიშნული კვლევიითი ინსტიტუტი ინარჩუნებს ამ დაფინანსების მიღების ან მასზე უარის თქმის უფლებას.

ცენტრალური მთავრობა არ აკონტროლებს ამ კვლევით ინსტიტუტს, რადგან კვლევით ინსტიტუტს შეუძლია უარი თქვას მთავრობის დაფინანსებაზე, მოიძიოს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები ან შეწყვიტოს ფუნქციონირება.

### **მაგალითი 17**

სურსათის მიმწოდებელ ერთეულს სავალდებულო შეთანხმება აქვს სახელმწიფოს მიერ ფლობილი სკოლის სურსათით მომარაგებაზე. შეთანხმება გაფორმებულია ამ კომპანიასა და სკოლას შორის. სკოლასთან ხელშეკრულებებიდან წარმოიქმნება ამ კომპანიის შემოსავლის უდიდესი ნაწილი. არსებობს ზოგადი მოთხოვნები, რომლებიც რეგულირებით არის დადგენილი და ვრცელდება ყველა მსგავს შეთანხმებაზე, მათ შორის კვებითი სტანდარტები და შესყიდვების პოლიტიკა. მაგალითად, შეთანხმებაში მითითებულია, რა ოდენობის პროდუქცია უნდა იქნეს შეძენილი ადგილობრივ ბაზარზე.

ამჟამინდელი შეთანხმებები ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. ამ პერიოდის ბოლოს თუ სურსათის მიმწოდებელ ერთეულს სურს სკოლის სურსათით მომარაგების გაგრძელება, მას მოეთხოვება სატენდერო პროცესის გავლა და ამ ბიზნესისთვის სხვა ერთეულებთან კონკურენცია.

სკოლა სურსათის მიმწოდებელ ამ ერთეულს არ აკონტროლებს, რადგან მას შეუძლია აირჩიოს სკოლის სურსათით მომარაგების შეწყვეტა და სხვა სამუშაო მოძებნოს, ან შეწყვიტოს მუშაობა.

### **მაგალითი 18**

საერთაშორისო დონორი განვითარებად ქვეყანაში აფინანსებს პროექტს. დონორი ამ ქვეყანაში პატარა, ადგილობრივ სააგენტოს იყენებს ამ პროექტის მართვისთვის. ამ ადგილობრივ სააგენტოს თავისი მართვის საბჭო ჰყავს, მაგრამ ის მეტისმეტად არის დამოკიდებული დონორის დაფინანსებაზე. სააგენტო ინარჩუნებს ამ დონორისგან დაფინანსებაზე უარის თქმის უფლებამოსილებას.

საერთაშორისო დონორი არ აკონტროლებს ადგილობრივ სააგენტოს, რადგან ამ სააგენტოს შეუძლია აირჩიოს ამ

დონორისგან დაფინანსების მიღებაზე უარის თქმა და დაფინანსების ალტერნატიული წყაროები მოიძიოს ან შეწყვიტოს ფუნქციონირება.

*ხმის უფლებები (პუნქტები მგ43–მგ48)*

სმ9. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია ერთეულს, რომელსაც სხვა ერთეულში ხმის უფლებების ნახევარზე ნაკლები აქვს, აქვს თუ არა რელევანტური საქმიანობების ცალმხრივად წარმართვის შესაძლებლობა და ეს უფლებები საკმარისია თუ არა მის მიერ სხვა ერთეულზე უფლებამოსილების მოსაპოვებლად წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის.

**მაგალითი 19**

ერთეული იძენს სხვა ერთეულის ხმის უფლების მქონე აქციების 48%-ს. დანარჩენი ხმის უფლებები ეკუთვნის ათასობით აქციონერს, მაგრამ ცალ-ცალკე არც ერთ მათგანს არ გააჩნია ხმის უფლებების 1%-ზე მეტი. არც ერთ აქციონერს არა აქვს დადებული შეთანხმება არც ერთ სხვა აქციონერთან კონსულტაციების, ან კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების შესახებ. როდესაც ერთეული აფასებდა, შესაძენი ხმის უფლებების მქონე აქციების ხვედრით წილს აქციების სხვა პაკეტების სიდიდის საფუძველზე, ერთეული იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 48% წილის შეძენა საკმარისი იქნებოდა კონტროლის მოსაპოვებლად. ასეთ შემთხვევაში, მისი პაკეტის აბსოლუტური ზომისა და აქციების სხვა პაკეტების ფარდობითი ზომის საფუძველზე, ერთეული დაასკვნის, რომ მას საკმარისი დომინანტური წილი გააჩნია, რათა დააკმაყოფილოს უფლებამოსილების კრიტერიუმი ისე, რომ აუცილებელი არ იქნება უფლებამოსილების არსებობის სხვა მტკიცებულებების განხილვა.

**მაგალითი 20**

ერთეულს A ეკუთვნის სხვა ერთეულის ხმის უფლების მქონე აქციების 40%, ხოლო სხვა თორმეტ ინვესტორს, თითოეულს ეკუთვნის აღნიშნული სხვა ერთეულის ხმის უფლების მქონე

აქციების 5%. აქციონერებთან დადებული შეთანხმება ერთეულს A იმ ხელმძღვანელი პერსონალის დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებას აძლევს, რომელსაც აკისრია რელევანტური საქმიანობების მართვის პასუხისმგებლობა და, გარდა ამისა, მათი ანაზღაურების განსაზღვრის შესაძლებლობასაც აძლევს. ამ შეთანხმების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია აქციონერთა ხმათა უმრავლესობა, კერძოდ, ხმების ორი მესამედი. ამ შემთხვევაში, ერთეული A დასკვნის, რომ მარტო ხმის უფლებების პაკეტის აბსოლუტური სიდიდიდან და აქციების სხვა პაკეტების შეფარდებითი სიდიდიდან გამომდინარე არ შეიძლება დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილების მოსაპოვებლად საკმარისი უფლებები. თუმცა, ერთეული A გადაწყვეტს, რომ მისი სახელშეკრულებო უფლება, დანიშნოს და გაანთავისუფლოს ხელმძღვანელი პერსონალი და ასევე განსაზღვროს მათი ანაზღაურება, საკმარისია დასკვნის გამოსატანად, რომ მას გააჩნია უფლებამოსილება სხვა ერთეულზე. როდესაც ერთეული A ადგენს, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება სხვა ერთეულთან მიმართებით, არ გაითვალისწინება ის ფაქტი, რომ ერთეულმა A შეიძლება არ გამოიყენოს ეს უფლება, ან ალბათობა იმისა, რომ ერთეული A გამოიყენებს თავის უფლებას, შეარჩიოს, დანიშნოს ან გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პერსონალი.

## მაგალითი 21

A ერთეულს ეკუთვნის სხვა ერთეულის ხმის უფლების მქონე აქციების 45%, ხოლო ორ სხვა ინვესტორს, თითოეულს ეკუთვნის სხვა ერთეულის ხმის უფლების მქონე აქციების 26%. დანარჩენი ხმის უფლების მქონე აქციები ეკუთვნის სამ სხვა აქციონერს, თითოეულს 1%. არ არსებობს სხვა შეთანხმება, რომელიც გავლენას იქონიებს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ამ შემთხვევაში, A ერთეულის კუთვნილი აქციების პაკეტის სიდიდისა და აქციების სხვა პაკეტებთან მიმართებით მისი ხვედრითი წილის ანალიზი საკმარისია იმის დასადგენად, რომ A ერთეულს არ გააჩნია უფლებამოსილება აღნიშნულ სხვა ერთეულთან მიმართებით. მარტო ორმა სხვა ინვესტორმაც რომ ითანამშრომლოს, ეს საკმარისი იქნება იმისთვის, რომ A



ერთეულს ხელი შეუშალონ სხვა ერთეულის რელევანტური საქმიანობების მართვაში.

### **მაგალითი 22**

ერთეულს ეკუთვნის სხვა ერთეულის ხმის უფლების მქონე აქციების 35%. სამ სხვა აქციონერს, თითოეულს ეკუთვნის სხვა ერთეულის ხმის უფლების მქონე აქციების 5%. დანარჩენი ხმისუფლებიანი აქციები განაწილებულია სხვა მრავალრიცხოვან აქციონერზე, რომელთაგან არც ერთს არ ეკუთვნის ხმის უფლების მქონე აქციების 1%-ზე მეტი. არც ერთ აქციონერს არა აქვს დადებული შეთანხმება არც ერთ სხვა აქციონერთან კონსულტაციების, ან კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების შესახებ. სხვა ერთეულის რელევანტური საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას ესაჭიროება ხმათა უმრავლესობით დამტკიცება აქციონერთა შესაბამის კრებებზე. აქციონერთა ბოლო პერიოდის შესაბამის კრებებზე საკითხი გავიდა სხვა ერთეულის აქციონერთა ხმების 75%-ით. ამ შემთხვევაში, სხვა აქციონერების აქტიური მონაწილეობა ბოლო პერიოდების აქციონერთა საერთო კრებებზე იმის მიმანიშნებელია, რომ ერთეულს არ ექნებოდა რელევანტური საქმიანობების ცალმხრივად მართვის პრაქტიკული შესაძლებლობა, იმის მიუხედავად, ერთეულმა განახორციელა თუ არა რელევანტური საქმიანობების მართვა, იმის გამო, რომ საკმარისი რაოდენობის სხვა აქციონერებმაც ისევე მისცეს ხმა, როგორც ინვესტორმა.

### *პოტენციური ხმის უფლებები (პუნქტები მგ49–მგ52)*

სმ10. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია, პოტენციური ხმის უფლებები არსებითია თუ არა წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის.

### **მაგალითი 23**

A ერთეულს ეკუთვნის სხვა ერთეულის ხმისუფლებიანი აქციების 70%. ერთეულს B ეკუთვნის სხვა ერთეულის ხმისუფლებიანი აქციების 30% და ასევე ოფციონი, რომელიც ეხება A ერთეულს ხმისუფლებიანი აქციების ნახევრის შეძენას. ოფციონის განხორციელება შესაძლებელია მომდევნო ორ

წელიწადში, ფიქსირებულ ფასად, რომელიც საბაზრო ფასთან შედარებით არახელსაყრელს ხდის ოფციონის გამოყენებას (და მოსალოდნელია, რომ ეს ოფციონი არ განხორციელდება მითითებულ ორწლიან პერიოდში). ერთეული A იყენებს თავის ხმის უფლებებს და აქტიურად მართავს სხვა ერთეულის რელევანტურ საქმიანობებს. ასეთ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ერთეული A დააკმაყოფილებს უფლებამოსილების კრიტერიუმს, რადგან, როგორც ჩანს, მას გააჩნია მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა. მართალია, ერთეულს B გააჩნია დამატებითი ხმისუფლებიანი აქციების შეძენის ოფციონები, რომლის განხორციელება მიმდინარე მომენტში შეუძლია (რაც, გამოყენების შემთხვევაში, მას უზრუნველყოფს სხვა ერთეულის საკონტროლო პაკეტით), მაგრამ ამ ოფციონებთან დაკავშირებული პირობები ისეთია, რომ ოფციონები რეალურად არ მიიჩნევა.

#### **მაგალითი 24**

A ერთეულს და ორ სხვა ინვესტორს, თითოეულს ეკუთვნის სხვა ერთეულის ხმისუფლებიანი აქციების ერთი მესამედი. სხვა ერთეულის სამეწარმეო საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული A ერთეულთან. A ერთეულს, წილობრივი ინსტრუმენტების გარდა, ეკუთვნის სავალო ინსტრუმენტებიც, რომელთა კონვერტაცია შესაძლებელია სხვა ერთეულის ჩვეულებრივ აქციებში, ნებისმიერ მომენტში ფიქსირებულ ფასად საბაზრო ფასთან შედარებით არახელსაყრელი ფასით (მაგრამ ზარალი უმნიშვნელოა). თუ სავალო ინსტრუმენტების კონვერტაცია მოხდება, A ერთეულს ექნება სხვა ერთეულის ხმისუფლებიანი აქციების 60%. ერთეული A სარგებელს მიიღებდა სინერჯის რეალიზების გზით, თუ სავალო ინსტრუმენტები გადაიცვლება ჩვეულებრივ აქციებში. მაშასადამე, A ერთეულს გააჩნია უფლებამოსილება სხვა ერთეულთან მიმართებით, რადგან მას გააჩნია სხვა ერთეულის ხმისუფლებიანი აქციები და ასევე რეალური პოტენციური ხმის უფლებები, რაც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს.

*უფლებამოსილების არსებობა ისეთ სიტუაციაში, როდესაც ხმის უფლებები, ან სხვა ანალოგიური უფლებები მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს სარგებელზე (პუნქტები მგ53-მგ56)*

სმ11. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია, ხმის უფლებების ან მსგავსი უფლებების არარსებობისას ერთეულს აქვს თუ არა უფლებამოსილება წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის.

### **მაგალითი 25**

ცენტრალურ მთავრობას მიღებული აქვს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირება კულტურული და მემკვიდრეობის საბჭოების დაფუძნებას. ამ საბჭოებს დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსი და შეზღუდული პასუხისმგებლობა აქვთ. ამ საბჭოების უფლებამოსილება და მიზნები, ანგარიშგების მოთხოვნებთან ერთად, კანონმდებლობით არის განსაზღვრული. თითოეული საბჭოს ძირითადი ფუნქციაა საბჭოს აქტივების, ძირითადად ქონების, ადმინისტრირება ბენეფიციარების საერთო სარგებლის წარმოქმნის მიზნით. საბჭოებს ჯანდაცვის, განათლების, პროფესიული სწავლების წახალისებაზე და ბენეფიციარების სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე თანხის დახარჯვის უფლება აქვთ. მათ თანხის დახარჯვაზე შეზღუდული უფლებამოსილება აქვთ, გარდა იმ დანიშნულებით თანხის დახარჯვისა, რომელიც კანონმდებლობით არის განსაზღვრული. ბენეფიციარები (როგორც განმარტებულია თითოეული საბჭოს მიერ და კონკრეტული ტერიტორიიდან ადამიენებს მოიცავს) ირჩევენ საბჭოს წევრებს. ნდობით აღჭურვილი პირები თანამდებობაზე სამწლიანი ვადით ინიშნებიან ბენეფიციარების მიერ წლიურ სართო კრებაზე ხმის მიცემის მეშვეობით. თითოეული საბჭო განსაზღვრავს თავის საოპერაციო და საფინანსო პოლიტიკასა და სტრატეგიას. საქმიანობები, რომლებსაც უდიდესი გავლენა აქვთ საბჭოს მიზნების მიღწევაზე, გახლავთ ქონების მართვა და ფონდების განაწილება ბენეფიციარებზე.

ცენტრალური მთავრობა არ აკონტროლებს ამ საბჭოებს. მთავრობა მონაწილეობდა იმ კანონმდებლობის შექმნაში, რომლითაც ხორციელდება საბჭოს საქმიანობების მართვა, მაგრამ მას ამ საბჭოების რელევანტურ საქმიანობებზე უფლებები არა აქვს.

### **მაგალითი 26**

ხუთმა ადგილობრივი მმართველობის ორგანომ შექმნა ცალკე კომპანია მონაწილე ორგანოებისთვის საზიარო მომსახურების გასაწევად. კომპანია მუშაობს ამ ადგილობრივ ორგანოებთან ხელშეკრულების ფარგლებში. კომპანიის ძირითადი მიზანია მომსახურების გაწევა ამ ადგილობრივი ორგანოებისათვის.

კომპანია ეკუთვნის ყველა მონაწილე ადგილობრივ ორგანოს. თითოეულ მათგანს ერთი აქცია და ერთი ხმის უფლება აქვს. თითოეული ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელს უფლება აქვს იყოს ამ კომპანიის საბჭოს წევრი. კომპანიის საბჭო პასუხისმგებელია სტრატეგიულ მიმართულებაზე, სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული შემთხვევების დამტკიცებასა და საქმიანობის შედეგების მონიტორინგზე.

თითოეული საზიარო საქმიანობისთვის არსებობს მრჩეველთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ამ საქმიანობასთან დაკავშირებით საოპერაციო მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. თითოეული მრჩეველთა ჯგუფი შედგება თითო წარმომადგენლისგან თითოეული ადგილობრივი ორგანოდან.

საზიარო მომსახურების შეთანხმების სარგებელია:

- მომსახურების გაუმჯობესებული დონე და ხარისხი;
- კოორდინირებული და თანმიმდევრული მიდგომა მომსახურების გაწევისადმი;
- დამხმარე და ადმინისტრაციული მომსახურებების დანახარჯების შემცირება;
- ახალი ინიციატივების განვითარების შესაძლებლობა; და
- მასშტაბის ეკონომია, რომელიც წარმოიქმნება შესყიდვებში მრავალი საბჭოს ერთადერთი ერთეულის მიერ წარმოდგენით.

თუ განისაზღვრება დამატებითი საზიარო მომსახურება, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი კაპიტალი, ეს კომპანია წილობრივი ინსტრუმენტების ახალ ჯგუფს გამოუშვებს ან კონტროლირებულ ერთეულს შექმნის ახალ აქტივებში წილის ფლობისთვის.

კომპანია თავის დანახარჯებს ორი გზით ფარავს. ის იტოვებს დიდი ოდენობით შესყიდვებიდან დანაზოგის პროცენტს და

გარიგების ადმინისტრაციულ დანახარჯებს აკისრებს ადგილობრივ მთავრობას, გაწეული მომსახურებისთვის.

ინდივიდუალურად არცერთი ადგილობრივი ორგანო არ აკონტროლებს ამ კომპანიას. იმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, როგორ განხორციელდეს კომპანიაში თავისი მონაწილეობის აღრიცხვა, თითოეულმა ადგილობრივმა ორგანომ უნდა განიხილოს ასევე, ის არის თუ არა მხარე ერთობლივ შეთანხმებაში, როგორც ეს განმარტებულია სსბასს 37-ში, *ერთობლივი შეთანხმებები*.

### **მაგალითი 27**

დასვენების ტრასტი დაფუძნდა, როგორც გარანტიით შეზღუდული, საქველმოქმედო ორგანიზაცია ადგილობრივი მთავრობის სახელით სპორტისა და დასასვენებელი კომპლექსების ოპერირებისა და მართვის მიზნით. ადგილობრივ მთავრობასთან შეთანხმების პირობების მიხედვით ეს ტრასტი პასუხისმგებელია საოპერაციო მართვაზე, ქალაქის სპორტისა და დასვენების კომპლექსების შექმნასა და ოპერირებაზე. ტრასტს მოეთხოვება ადგილობრივი მთავრობის არსებული დასასვენებელი კომპლექსების ოპერირება. მოთხოვნილი მომსახურების დონე, მათ შორის სამუშაო საათები და პერსონალის რაოდენობა, განისაზღვრება ადგილობრივი მთავრობის მიერ. ამ ტრასტის საქმიანობა ადგილობრივი მთავრობის გრძელვადიანი გეგმის თანმიმდევრული უნდა იყოს და მისი საქმიანობების მნიშვნელოვან ნაწილს ადგილობრივი მთავრობა აფინანსებს. ტრასტს არა აქვს ახალი კომპლექსის შექმნის ან სხვა ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელების უფლება ადგილობრივი მთავრობისგან დამტკიცების გარეშე.

თუ ტრასტი შეწყვეტს ოპერირებას, შემოსავალი უნდა გადაეცეს მსგავსი მიზნების მქონე სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციას. ადგილობრივი მთავრობა პასუხისმგებელი არ არის ამ ტრასტის ვალეებზე (მისი ვალდებულება შემოიფარგლება ერთი ფულადი ერთეულით).

ადგილობრივი მთავრობა აკონტროლებს ტრასტს. იმის დეტალურად მითითებით, როგორ უნდა განხორციელოს ოპერირება, ადგილობრივ მთავრობას წინასწარ აქვს განსაზღვრული ამ ტრასტის საქმიანობები და ადგილობრივი მთავრობის სარგებლის ხასიათი.

## **მაგალითი 28**

ადგილობრივი მთავრობა თავის დასასვენებელ ცენტრებს, ბიბლიოთეკებსა და თეატრებს გადასცემს საქველმოქმედო ტრასტს.

ტრასტის შექმნით ადგილობრივი მთავრობა სარგებლის მიღებას მოელის დანახარჯების დაზოგვიდან, საზოგადოების მიერ კომპლექსების უფრო ინტენსიური გამოყენებიდან და უფრო ხელსაყრელი საგადასახადო მიდგომიდან, ასევე უკეთეს ხელმისაწვდომობას დაფინანსებაზე, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის. ტრასტს შეუძლია განსაზღვროს შესაქმნელი კომპლექსების ხასიათი და ზომა და შეუძლია სხვა საქველმოქმედო საქმიანობაში მონაწილეობა. ტრასტის საბჭოს თემი ირჩევს. ადგილობრივ მთავრობას ერთი წარმომადგენელი ჰყავს ამ საბჭოში. ტრასტს მოეთხოვება ნებისმიერი ნამეტის შენარჩუნება და მისი გამოყენება ტრასტის მიზნებისთვის.

ადგილობრივი მთავრობა სარგებელს იღებს ტრასტის საქმიანობებიდან, მაგრამ ის არ აკონტროლებს ტრასტს. ადგილობრივ მთავრობას არ შეუძლია მას მიუთითოს, როგორ გამოიყენოს თავისი რესურსები.

## **მაგალითი 29**

ტრასტი A ხელს უწყობს, მხარს უჭერს და ახორციელებს პროგრამებს, საქმიანობასა და ინიციატივებს A ქალაქის კეთილმოწყობისთვის. ის ადგილობრივი მთავრობისგან იღებს დაფინანსებას სხვადასხვა მომსახურებისთვის, მათ შორის უხამსი ნახატების მოსამორებლად, კეთილმოწყობის პროექტებისათვის და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩასატარებლად. ის ანგარიშს აბარებს ადგილობრივ მთავრობას ამ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით თავისი საქმიანობის შედეგების შესახებ. ტრასტი რომ არ არსებობდეს, ადგილობრივ მთავრობას მოუწევდა ამ მომსახურებების რაიმე სხვა გზით მიწოდება. ტრასტი შემოწირულობებისა და მოხალისეთა მუშაობის სახით დახმარებას იღებს ასევე ადგილობრივი

თემისგან, მათ შორის ადგილობრივი ბიზნესის, სკოლების, სათემო ჯგუფებისა და პირებისგან.

ტრასტი თავდაპირველად დაფუძნდა ადგილობრივი მთავრობის არჩეული თანამდებობის პირის მიერ.

ადგილობრივი მთავრობა თანამდებობაზე ნიშნავს ყველა ნდობით აღჭურვილ პირს (გარკვეული მოთხოვნების გათვალისწინებით, როგორცაა მაგალითად გენდერული ბალანსი და ნდობით აღჭურვილი პირების ადგილმდებარეობა). ხუთიდან 12-მდე ნდობით აღჭურვილი პირია. ნდობით აღჭურვილი პირები ნიშნავენ პერსონალს.

ტრასტის სადამფუძნებლო დოკუმენტის ცვლილება ნდობით აღჭურვილმა პირებმა და ადგილობრივი მთავრობის მმართველმა ორგანომ უნდა დაამტკიცონ.

ტრასტის დაშლის შემთხვევაში ნამეტი აქტივები უნდა გადაეცეს მსგავს საქველმოქმედო ორგანიზაციას იგივე გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. აქტივების აღნიშნული გადაცემა ადგილობრივი მთავრობის მიერ დამტკიცებას ექვემდებარება.

ადგილობრივ მთავრობას მრავალფეროვანი უფლებები აქვს ტრასტზე, მათ შორის:

- ა) ტრასტის ძირითადი ხელმძღვანელი პირების, რომელთაც რელევანტური საქმიანობების წარმართვის შესაძლებლობა აქვთ, დანიშვნა, ხელახლა დანიშვნა ან გათავისუფლება;
- ბ) ტრასტის რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებული საოპერაციო და კაპიტალის ბიუჯეტების დამტკიცება ან მათზე ვეტოს დადება; და
- გ) ტრასტში ძირითად ცვლილებებზე, როგორცაა მაგალითად, ძირითადი აქტივის ან მთლიანად ტრასტის გაიყიდვა, ვეტოს დადება.

ადგილობრივ მთავრობას შეუძლია ტრასტის რელევანტური საქმიანობების (აღნიშნული მომსახურებების) ისე წარმართვა თავისი შეთანხმებებით, რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს გაწეული მომსახურებების დანახარჯებსა და ხარისხზე. ადგილობრივი მთავრობის წინაშეა ცვალებადი უკუგების რისკი (როგორც მომსახურების ეკონომიკური გავლენა, ისე მომსახურების ხარისხი). რადგან ის ამ უკუგებაზე გავლენის მოსახდენად თავის უფლებამოსილებას იყენებს, ადგილობრივი

მთავრობა აკონტროლებს აღნიშნულ ტრასტს.

### **მაგალითი 30**

ერთეული A საჯარო სექტორის ორგანოა, რომელიც ხელს უწყობს ახალი სახლების მშენებლობას, არსებული სახლების შეკეთებასა და მოდერნიზებას და სახლებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. ის ასევე ხელს უწყობს საცხოვრებლის დაფინანსების ხელმისაწვდომობას და საცხოვრებლის დაფინანსების უზრუნველყოფაში კონკურენციასა და ეფექტიანობას.

A ერთეულმა დააფუძნა ცალკე ტრასტი, რომელსაც ვიწროდ განსაზღვრული მიზნები აქვს. ტრასტის ფუნქციებია საცხოვრებელი სახლების სესხებში, რომლებიც კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, წილების ყიდვა და იპოთეკური ობლიგაციების გამოშვება. ერთეული A უზრუნველყოფს ტრასტის მიერ გამოშვებული ობლიგაციების გარანტიას, მაგრამ არ უზრუნველყოფს მიმდინარე დაფინანსებას - ტრასტი თავის საქმიანობებს აფინანსებს თავისი ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლით. ტრასტის დაშლის შემთხვევაში ტრასტის აქტივები უნდა განაწილდეს ერთ ან მეტ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე. A ერთეულს არა აქვს ტრასტის საქმიანობებთან დაკავშირებით მიმდინარე გადაწყვეტილებების მიღების უფლებები.

A ერთეულს უფლებამოსილება აქვს ამ ტრასტის რელევანტურ საქმიანობებზე, რადგან მან განსაზღვრა ტრასტის რელევანტური საქმიანობები, როდესაც ტრასტი დააფუძნა. A ერთეულის წინაშეა ასევე ცვალებადი სარგებელი, როგორც მის მიერ გარანტირებული ობლიგაციებიდან, ისე ტრასტის საქმიანობებიდან, რაც A ერთეულის მიერ განისაზღვრა ტრასტის დაფუძნებისას, რომელიც A ერთეულს ეხმარება თავისი მიზნების მიღწევაში.

### **მაგალითი 31**

კანონმდებლობით შეიქმნა საფინანსო სააგენტო. ის ეკუთვნის ათ ადგილობრივ ორგანოსა და ცენტრალურ მთავრობას. ის მოგების მიღების საფუძველზე ოპერირებს. საფინანსო სააგენტო სავალო დაფინანსებას მოიძიებს და ამ დაფინანსებას აწვდის მონაწილე



ადგილობრივ ორგანოებს. მისი ძირითადი მიზანია დანახარჯების უფრო ეფექტურად დაფინანსება და დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია ადგილობრივი ორგანოებისთვის. მას შეუძლია ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელსაც საბჭო მიიჩნევს, რომ გონივრულად დაკავშირებულია ამ სამეურნეო საქმიანობასთან ან მას დაეხმარება.

მონაწილე ადგილობრივი ორგანოების ძირითადი სარგებელია შემცირებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. საფინანსო სააგენტოს საბჭოს შეუძლია დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ცოტა ოდენობის დივიდენდები გადაიხდება.

საბჭო პასუხისმგებელია საფინანსო სააგენტოს საქმიანობების სტრატეგიულ მიმართულებასა და კონტროლზე. საბჭო შედგება ოთხიდან შვიდ დირექტორამდე. დირექტორების უმეტესობა დამოუკიდებელია.

არსებობს აქციონერთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის აქციონერების მიერ დანიშნული ათი წარმომადგენელი (მათ შორის, ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი). აქციონერთა საბჭოს ფუნქციაა:

- საფინანსო სააგენტოსა და საბჭოს საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და აქციონერებისთვის ანგარიშის წარდგენა აღნიშნული საქმიანობის შედეგების შესახებ;
- რეკომენდაციების წარდგენა აქციონერებისათვის დირექტორთა დანიშვნის, გათავისუფლების, ჩანაცვლებისა და ანაზღაურების შესახებ; და
- მართვასთან დაკავშირებით აქციონერთა გადაწყვეტილებების კოორდინირება.

საფინანსო სააგენტო სავალო ფასიან ქაღალდებს თავისი გასესხების და/ან საინვესტიციო პოლიტიკის, რომელიც საბჭოს და/ან აქციონერების მიერ არის დამტკიცებული, შესაბამისად შეისყიდის.

საფინანსო სააგენტოში ძირითადი აქციონერის სახით მონაწილეობისათვის თითოეულმა ადგილობრივმა მთავრობამ განხორციელა საწყისი კაპიტალის ინვესტიცია ფ.ე.100,000-ის ოდენობით, წარმოადგინა უზრუნველყოფა სამომავლო ქონების გადასახადებისთვის და დათანხმდა მისთვის საჭირო ნასესხები

სახსრების დადგენილი ნაწილის საფინანსო სააგენტოსგან მიღებაზე სამწლიანი პერიოდით.

არც ცენტრალური მთავრობა და არც მონაწილე ადგილობრივი ორგანოები აკონტროლებენ საფინანსო სააგენტოს. იმის განსაზღვრისას, როგორ აღრიცხონ საფინანსო სააგენტოში თავიანთი მონაწილეობა, ცენტრალურმა მთავრობამ და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა განიხილონ, არიან თუ არა ისინი ერთობლივი შეთანხმების მხარეები, როგორც ეს განმარტებულია სსბასს 37-ში.

### **მაგალითი 32**

სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით, A ერთეულის ერთადერთ სამეწარმეო საქმიანობას წარმოადგენს დებიტორული დავალიანებების ყიდვა და მათი ყოველდღიური მომსახურება B ერთეულისთვის. ყოველდღიური მომსახურება მოიცავს დავალიანების ძირითადი თანხისა და გადასახდელი პროცენტების თანხების ამოღებასა და გადაცემას მათი გადახდის ვადის დადგომისას. დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ერთეული A დებიტორულ დავალიანებას ავტომატურად მიჰყიდის B ერთეულს, როგორც გათვალისწინებულია A ერთეულს და B ერთეულს შორის დადებულ ცალკე „ფუთ“ ხელშეკრულებაში. აქ ერთადერთი რელევანტური საქმიანობაა დებიტორული დავალიანებების მართვა, მასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვინაიდან ეს არის ერთადერთი საქმიანობა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა A ერთეულის საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე. დებიტორული დავალიანებების მართვა მანამ, სანამ არ დაფიქსირდება დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი, არ წარმოადგენს რელევანტურ საქმიანობას, რადგან არ საჭიროებს არსებითი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა A ერთეულის საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე. საქმიანობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომამდე, წინასწარ არის განსაზღვრული და გულისხმობს

მხოლოდ ფულადი სახსრების ამოღებას მათი გადახდის ვადის დადგომისას და მათ გადაცემას ერთეულისთვის B. მაშასადამე, როდესაც ერთეული A აფასებს მთლიანობაში ერთეულის A იმ საქმიანობებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს A ერთეულის საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, მან უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ B ერთეულის უფლება, მართოს აქტივები მათი გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომისას. ამ მაგალითში, A ერთეულის სტრუქტურა უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ B ერთეულს ექნება გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება ისეთ საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე ზუსტად იმ მომენტში, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღების ზემოაღნიშნული უფლებამოსილება. „ფუთ“ ხელშეკრულების პირობები მთლიანი გარიგებისა და A ერთეულის დაფუძნების განუყოფელი ნაწილია. ამგვარად, „ფუთ“ ხელშეკრულების პირობებისა და A ერთეულის სადამფუძნებლო დოკუმენტების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ B ერთეულს გააჩნია უფლებამოსილება A ერთეულთან მიმართებით, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ერთეული B დებიტორულ დავალიანებაზე საკუთრების უფლებას იღებს მხოლოდ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომისას და ვადაგადაცილებულ დებიტორულ დავალიანებას მართავს A ერთეულის იურიდიულ საზღვრებს გარეთ.

*სხვა ერთეულისგან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული რისკები ან უფლებები (პუნქტი მგ57)*

სმ12. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია, ერთეული ცვალებად სარგებელს იღებს თუ არა სხვა ერთეულისგან წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის.

### **მაგალითი 33**

კვლევა აჩვენა, რომ უნივერსიტეტებში ოჯახისადმი მეგობრული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს პატარა ბავშვების ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას, ძალიან

მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და პერსონალის მოსაზიდად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი დონის პერსონალისა და ასპირანტების მოსაზიდად, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს უნივერსიტეტის რეპუტაციის გაუმჯობესებასა და მის მიერ კვლევისთვის დაფინანსების მოძიებას.

ზემოთ მოცემული ინფორმაცია შესაფერისია ქვემოთ მოცემული მაგალითებისთვის 33ა და 33ბ. თითოეული მაგალითი ცალკე განიხილება.

### მაგალითი 33ა

A უნივერსიტეტს შექმნილი აქვს ბავშვებზე ზრუნვის შვიდი ცენტრი (მართალია, უნივერსიტეტი A მთავრობისგან დაფინანსებას იღებს თავისი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, მაგრამ ბავშვებზე ზრუნვის ცენტრები უნივერსიტეტის მიერ არის დაფუძნებული, და არა მთავრობის მიერ). ცენტრები ფუნქციონირებს უნივერსიტეტის კუთვნილ შენობებში. თითოეულ ცენტრს თავისი ხელმძღვანელი და პერსონალი ჰყავს და თავისი ბიუჯეტი აქვს. ცენტრების მომსახურებით სარგებლობა მხოლოდ უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს შეუძლიათ. უნივერსიტეტი ბავშვებზე ზრუნვის მომსახურების ლიცენზირებული პროვაიდერია. უნივერსიტეტს უფლება აქვს დახუროს ეს ცენტრები ან მათ სხვა ფუნქცია დააკისროს. რადგან ბავშვებზე ზრუნვის ცენტრი უნივერსიტეტის კუთვნილ შენობებშია გახსნილი, პერსონალსა და მშობლებს მოეთხოვებათ უნივერსიტეტის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვა. ბავშვებზე ზრუნვის ცენტრის ხელმძღვანელ გუნდს შეუძლია ყველა სხვა საოპერაციო პოლიტიკის განსაზღვრა.

უნივერსიტეტი A არაფინანსურ სარგებელს იღებს ბავშვებზე ზრუნვის მომსახურების უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაწევიდან. მართალია, უნივერსიტეტი A ამ ცენტრების ყოველდღიურ მართვაში არ მონაწილეობს, მაგრამ მას შეუძლია ამ ცენტრების დახურვა და მათი სამუშაო საათების შეცვლა.

უნივერსიტეტი A აკონტროლებს ბავშვებზე ზრუნვის ცენტრებს.

### **მაგალითი 33ბ**

B უნივერსიტეტმა ბავშვებზე ზრუნვის მომსახურებისთვის უფასოდ დათმო შენობა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. ბავშვებზე ზრუნვის მომსახურებას ეწევა რეგისტრირებული საზოგადოება. ყველა მშობელი, რომელიც ბავშვებზე ზრუნვის მომსახურებას იყენებს, ამ საზოგადოების წევრია. წევრები ნიშნავენ ამ რეგისტრირებული საზოგადოების საბჭოს და პასუხისმგებელნი არიან ბავშვებზე ზრუნვის ცენტრის საოპერაციო და საფინანსო პოლიტიკაზე. ბავშვებზე ზრუნვის ცენტრის გამოყენება შეუძლია პერსონალს, სტუდენტებსა და ფართო საზოგადოებას, თუმცა სტუდენტებს ენიჭებათ უპირატესობა. რადგან ბავშვებზე ზრუნვის ცენტრი უნივერსიტეტის შენობაშია განთავსებული, პერსონალსა და მშობლებს მოეთხოვებათ უნივერსიტეტის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვა. აღნიშნული რეგისტრირებული საზოგადოება ბავშვებზე ზრუნვის მომსახურების ლიცენზირებული პროვაიდერია. თუ რეგისტრირებული საზოგადოება შეწყვეტს ფუნქციონირებას, მისი რესურსები უნდა გადაეცეს მსგავს არამომგებიან ორგანიზაციას. აღნიშნულ რეგისტრირებულ საზოგადოებას შეუძლია არ გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობები თავისი მომსახურების გაწევისას.

მართალია, უნივერსიტეტი არაფინანსურ სარგებელს იღებს ბავშვებზე ზრუნვის მომსახურების თავის ტერიტორიაზე გაწევიდან, მაგრამ მას არა აქვს რეგისტრირებული საზოგადოების რელევანტური საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება. რეგისტრირებული საზოგადოების წევრებს, ანუ ბავშვების მშობლებს, აქვთ რეგისტრირებული საზოგადოების რელევანტური საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება. უნივერსიტეტი არ აკონტროლებს აღნიშნულ რეგისტრირებულ საზოგადოებას.

**კავშირი უფლებამოსილებასა და სარგებელს შორის**

*დელეგირებული უფლებამოსილება (პუნქტები მგ60–მგ63)*

სმ13. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია, ერთეული მარწმუნებლის სახით მოქმედებს, თუ რწმუნებულის სახით, წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის.

**მაგალითი 34**

ერთ-ერთი სახელმწიფო დეპარტამენტი შეიძლება პასუხისმგებელი იყოს სხვა საჯარო სექტორის ერთეულის საქმიანობის შედეგების მონიტორინგზე. მონიტორინგის განმახორციელებელი დეპარტამენტის ფუნქციაა იმის უზრუნველყოფა, რომ აღნიშნული სხვა ერთეულის მიდგომა მთავრობის მიზნების თანმიმდევრული იყოს. ის უზრუნველყოფს მინისტრებისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევასა და შედეგებს, და აფასებს ნებისმიერ რისკს და მინისტრს აცნობებს მის შესახებ. დეპარტამენტს მინისტრთან ცალსახა შეთანხმება აქვს გაფორმებული, რომელშიც განსაზღვრულია მისი მონიტორინგის ფუნქციები. დეპარტამენტს სხვა ერთეულისგან ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება აქვს და რჩევას აძლევს მინისტრს ამ ერთეულისგან მიღებული დაფინანსების მოთხოვნების თაობაზე. დეპარტამენტი მინისტრს რჩევას აძლევს ასევე იმის შესახებ, აღნიშნულ სხვა ერთეულს გარკვეული სხვა საქმიანობების განხორციელების ნება უნდა დაერთოს თუ არა. დეპარტამენტი ასრულებს მინისტრის რწმუნებულის ფუნქციას.

**მაგალითი 35**

პროვინციის მთავრობა ტრასტს აფუძნებს რეგიონში ჯანდაცვის პროგრამებისა და სხვა ჯანდაცვის ინიციატივებისთვის დაფინანსების მოძიების ღონისძიებების კოორდინირებისთვის. ამასთან, ტრასტი ინვესტიციას ახორციელებს და მართავს საქველმოქმედო ფონდებს. ამ ფონდების მიერ მოზიდული სახსრები გამოიყენება რეგიონში სახელმწიფოს მიერ ფლობილი საავადმყოფოებისა და მოხუცებზე ზრუნვის კომპლექსებში.

პროვინციის მთავრობა თანამდებობაზე ნიშნავს ტრასტის საბჭოს ყველა ნდობით აღჭურვილ პირს და ტრასტის საოპერაციო ხარჯებს აფინანსებს. ტრასტი რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაციაა და გათავისუფლებულია

მოგების გადასახადის გადახდისგან.

ქვემოთ მოცემული ანალიზის საფუძველზე პროვინციის მთავრობა აკონტროლებს აღნიშნულ ტრასტს:

ა) პროვინციის მთავრობას შეუძლია მითითებები მისცეს ნდობით აღჭურვილ პირებს და ნდობით აღჭურვილ პირებს აქვთ ტრასტის რელევანტური საქმიანობების მიმდინარე მომენტში წარმართვის შესაძლებლობა. ნდობით აღჭურვილ პირებს ტრასტზე უფლებამოსილება აქვთ და პროვინციის მთავრობას შეუძლია ნდობით აღჭურვილი პირების ჩანაცვლება თავისი შეხედულებისამებრ. ნდობით აღჭურვილი პირების ფიდუციარული მოვალეობა, რომ იმოქმედონ ბენეფიციარების საუკეთესო ინტერესის შესაბამისად, ხელს არ უშლის პროვინციის მთავრობას ტრასტზე უფლებამოსილების მოპოვებაში;

ბ) პროვინციის მთავრობას აქვს ტრასტში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი სარგებლის მიღების რისკი;

გ) პროვინციის მთავრობას შეუძლია ტრასტზე თავისი უფლებამოსილების გამოყენება, რათა გავლენა მოახდინოს ტრასტის სარგებელის ხასიათსა და ოდენობაზე; და

დ) ტრასტის საქმიანობები პროვინციის მთავრობის საქმიანობების შემავსებელია.

### **მაგალითი 36**

კანონმდებლობის ფარგლებში დაფუძნდა ორგანო თემისთვის მომსახურების გასაწევად. ამ კანონით შექმნილ ორგანოს ჰყავს მმართველი საბჭო, რომელიც ზედამხედველობას უწევს მის საქმიანობას და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ ოპერაციებზე. პროვინციის მთავრობის ჯანდაცვის მინისტრი ნიშნავს ამ ორგანოს მმართველ საბჭოს და, მინისტრის მიერ დამტკიცების შემთხვევაში, ამ ორგანოს მმართველი საბჭო ნიშნავს მის აღმასრულებელ დირექტორს.

პროვინციის მთავრობის ჯანდაცვის დეპარტამენტი მოქმედებს პროვინციის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის „სისტემის

მენეჯერის“ სახით. ეს ფუნქცია მოიცავს:

ა) სტრატეგიულ ლიდერობას, მაგალითად, პროვინციის მასშტაბით ჯანდაცვის მომსახურების გეგმების შემუშავება;

ბ) ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებისთვის მითითებების მიცემას, როგორცაა მაგალითად, მომსახურების შეთანხმებებში მონაწილეობა, კაპიტალური სამუშაოების დამტკიცება და პროვინციის მასშტაბით სამრეწველო კავშირების მართვა, მათ შორის, აღნიშნული ორგანოს თანამშრომლების დასაქმების ვადები და პირობები; და

გ) ამ ორგანოს საქმიანობის შედეგების მონიტორინგსა (მაგალითად, ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი და ფინანსური მონაცემები) და გამოსწორებითი ღონისძიებების გატარებას, როდესაც საქმიანობის შედეგები ვერ აკმაყოფილებს განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების მაჩვენებლებს.

მინისტრის მიერ დამტკიცება საჭიროა კონკრეტულად შემდეგი ძირითადი გადაწყვეტილებებისთვის:

ა) ამ ორგანოსთან მომსახურების შეთანხმებების გაფორმება;

ბ) ჯანდაცვის მომსახურების სავალდებულო დირექტივების გამოცემა;

გ) ჯანდაცვის მომსახურების გეგმებისა და კაპიტალური სამუშაოების დაგეგმვის დასრულება; და

დ) ამ ორგანოს აღმასრულებელი პერსონალის დასაქმება და შრომის ანაზღაურება.

ჯანდაცვის დეპარტამენტი თავის საოპერაციო და კაპიტალის დაფინანსებას მთლიანად პროვინციის მთავრობისგან იღებს.



ზემოთ მოცემული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, ჯანდაცვის დეპარტამენტი მოქმედებს, როგორც მინისტრის რწმუნებული ამ ორგანოსთან მიმართებით. ეს ცხადია დეპარტამენტის შეზღუდული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებიდან. ჯანდაცვის დეპარტამენტი ამ ორგანოს არ აკონტროლებს.

რადგან მინისტრი ნიშნავს აღნიშნული ორგანოს მმართველ საბჭოს და ამტკიცებს ძირითად გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანოს საქმიანობებზე, მინისტრს აქვს ამ ორგანოს რელევანტრი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება. თუ დავუშვებთ, რომ დაკმაყოფილებულია კონტროლის სხვა კრიტერიუმები (ცვალებადი სარგებელი და კავშირი უფლებამოსილებასა და სარგებელს შორის), როგორც ეს მოსალოდნელია, მაშინ მინისტრი აკონტროლებს ამ ორგანოს. შესაბამისად, ეს ორგანო კონსოლიდირდება პროვინციის მთლიანი მთავრობის ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშში.

### **მაგალითი 37**

ფაქტები იგივეა, რაც 36-ე მაგალითში, შემდეგი საკითხების გარდა:

- ა) მინისტრი ამ ორგანოს მმართველი საბჭოს წევრების დანიშვნის უფლებამოსილების დელეგირებას ახორციელებს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსზე;
- ბ) ამ ორგანოს მმართველი საბჭოს მიერ აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნისთვის საჭირო არ არის მინისტრის დამტკიცება;
- გ) მინისტრს ამ ორგანოს ძირითადი გადაწყვეტილებების დამტკიცების უფლებამოსილება დელეგირებული აქვს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსზე; და
- დ) ჯანდაცვის დეპარტამენტის საქმიანობის შედეგების შეფასება მოიცავს ამ ორგანოს საქმიანობის შედეგების შეფასებას.

მინისტრს კვლავ შეუძლია ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსზე დელეგირებული უფლებამოსილების გამოყენება, მაგრამ

პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს გააკეთოს.

ამ მაგალითში ჯანდაცვის დეპარტამენტის გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მინისტრის მიერ უფლებამოსილების ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსზე დელეგირების შედეგად. რადგან აღნიშნული დელეგირების პირობებში ჯანდაცვის დეპარტამენტი მოქმედებს, როგორც მარწმუნებელი, დეპარტამენტს აქვს ამ ორგანოს რელევანტური საქმიანობების მიმდინარე მომენტში წარმართვის უფლებამოსილება, ჯანდაცვის დეპარტამენტის ჯანდაცვის მომსახურების მიზნების მიღწევისთვის. რადგან ჯანდაცვის დეპარტამენტს ასევე აქვს შესაძლებლობა, რომ ამ ორგანოზე თავისი უფლებამოსილება გამოიყენოს დეპარტამენტის სარგებლის ხასიათსა და ოდენობაზე გავლენის მოსახდენად, დეპარტამენტი აკონტროლებს აღნიშნულ ორგანოს.

### **მაგალითი 38**

კანონით განსაზღვრულია, რომ ფინანსებსა და გადასახადებთან დაკავშირებული სახელმწიფო დეპარტამენტის (ხაზინა) უფროსი არის რამდენიმე საინვესტიციო ფონდის მმართველი ნდობით აღჭურვილი პირი. ეს საინვესტიციო ფონდები ფინანსდება გამოყოფილი გადასახადებით და გამოიყენება ფედერალური სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელებისთვის. ხაზინა ახორციელებს აღნიშნული საგადასახადო შემოსავლის, რომელიც ამ ფონდებთანაა დაკავშირებული, უდიდესი ნაწილის აკრეფას. სხვა სააგენტოებიც ახორციელებენ აღნიშნული შემოსავლის გარკვეული ნაწილის არკრეფას და მას ხაზინას გადასცემენ.

ხაზინას ამ ფონდების ადმინისტრირების პასუხისმგებლობა დელეგირებული აქვს. თითოეული ფონდთან მიმართებით, ხაზინა მაშინვე ახორციელებს ამ ფონდზე დაკრედიტებული მთლიანი შემოსავლის ინვესტირებას და ინვესტირებულ აქტივებს გამოყოფილ სატრასტო ფონდში ინახავს, სანამ თანხა არ დასჭირდება შესაბამის სააგენტოს.

როდესაც შესაბამისი სააგენტოები გადაწყვეტენ, რომ თანხა სჭირდებათ, ხაზინა ამ ფონდების საინვესტიციო ნაშთებიდან გამოისყიდის ფასიან ქაღალდებს და შემოსულ ფულად სახსრებს,

ამ ინვესტიციებიდან მიღებული პროცენტის ჩათვლით, გადაიტანს პროგრამის ანგარიშებზე, სააგენტოს მიერ დასახარჯად. ხაზინა უზრუნველყოფს თითოეული სააგენტოს ყოველთვიურ და სხვა პერიოდულ ანგარიშგებას. ხაზინა მართვის საზღაურს აკისრებს თავისი მომსახურებისთვის.

### **მაგალითი 39**

ადგილობრივი მთავრობა ახორციელებს ათი ფონდის ადმინისტრირებას. თითოეული მათგანი დაკავშირებულია კონკრეტულ რაიონთან. ფონდები ფლობენ კონკრეტულ აქტივებს (როგორცაა მაგალითად, მიწა და ძირითადი აქტივები), რომლებიც იმ რაიონებს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც ადრე თავისი ადგილობრივი მთავრობა ჰყავდა, მაგრამ შემდეგ სხვა რაიონებთან გაერთიანდა. ეს ფონდები იღებენ ამ აქტივებთან დაკავშირებულ შემოსავალსა და გარკვეულ გადასახადს, როგორცაა, მაგალითად ამ რაიონის ქონების გადასახადი. ამ ფონდების მიერ აღნიშნული კონკრეტული აქტივების ფლობისა და შემოსავლის მიღების უფლებები კანონმდებლობითაა განსაზღვრული. ამ ფონდების აქტივებისა და შემოსავლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ყოფილი რაიონის მაცხოვრებლების სასარგებლოდ.

ადგილობრივი მთავრობა თავისუფალია ამ ფონდების ხარჯვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას. ფონდები თემის სასარგებლოდ ისე უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ადგილობრივი მთავრობა მიიჩნევს შესაფრისად გონივრული განსჯის საფუძველზე, ყოფილი რაიონის მაცხოვრებლების ინტერესების გათვალისწინებით. ადგილობრივმა მთავრობამ შეიძლება ეს ფონდები გამოიყენოს ხარჯვისთვის, რომელიც განსაზღვრული არ არის გადასახადის საბჭოს მიერ. ფონდებზე დაკისრებული დანახარჯების მიზნობრიობა კანონით ნებადართულ მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.

ამ ფონდებს ადგილობრივი მთავრობა აკონტროლებს.

#### **მაგალითი 40**

სუვერენული ქონების ფონდი (ფონდი) არის კონსტიტუციურად დაფუძნებული მუდმივი ფონდი, რომელსაც სახელმწიფო კორპორაცია მართავს. კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ ფონდს ეკუთვნის ნავთობის გაყიდვებიდან შემოსავლის სულ მცირე 25%. ფონდი ამ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს გვერდზე გადადებს მოქალაქეთა ამჟამინდელი და სამომავლო თაობების სასარგებლოდ.

აღნიშნული კორპორაცია მართავს როგორც ფონდის, ისე გარკვეული სხვა სახელმწიფო ინვესტიციების აქტივებს, რისთვისაც ანაზღაურებას იღებს. კორპორაციას არ შეუძლია ფონდის შემოსავლის დახარჯვა. ფონდის შემოსავლის დახარჯვის შესახებ გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს. ყოველ წელს ფონდის შემოსავალი იყოფა საოპერაციო ხარჯებად და იმ მაცხოვრებლებისათვის წლიურ გადახდებად, რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრულ გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.

კორპორაცია არ აკონტროლებს სუვერენული ქონების ფონდს. ის უბრალოდ მოქმედებს, როგორც რწმუნებული.

#### **მაგალითი 41**

გადაწყვეტილების მიმღები (ფონდის მმართველი) აფუძნებს ფონდს, ბაზარზე რეკლამას უკეთებს და მართავს ფონდის მიერ რეგულირებულ ფასიან ქაღალდებს ზუსტად განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებულია საინვესტიციო მანდატში, ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ინვესტორების წინაშე ფონდს რეკლამა უკეთდება, როგორც ინვესტიციის განხორციელებას საფონდო ბირჟაზე კოტირებული ერთეულების წილობრივი ინსტრუმენტების დივერსიფიცირებულ პორტფელში. დადგენილი პარამეტრების ფარგლებში, ფონდის მმართველს მინიჭებული აქვს მოქმედების თავისუფლება იმ აქტივების შერჩევის საკითხში, რომელშიც უნდა განხორციელოს ინვესტიცია. ფონდის მმართველმა ფონდში ჩადო 10% პროპორციული ინვესტიცია და გაწეული მომსახურებისთვის

ჰონორარს იღებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით, რომელიც ფონდის წმინდა აქტივების ღირებულების 1%-ის ტოლია. ჰონორარი შესაბამისობაშია გაწეულ მომსახურებასთან. ფონდის მმართველს ფონდის ზარალის დაფინანსების საკითხში ვალდებულება ეკისრება მხოლოდ მისი ინვესტიციის, ანუ 10%-იანი წილის ფარგლებში. ფონდს არ მოეთხოვება და არც აქვს შექმნილი დირექტორების დამოუკიდებელი საბჭო. ინვესტორებს არ გააჩნიათ რაიმე რეალური უფლებები, რომლებიც გავლენას იქონიებდა ფონდის მმართველის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებაზე, მაგრამ შეუძლიათ თავიანთი წილების გამოსყიდვა (მიმოქცევიდან ამოღება), ფონდის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში.

მართალია, ფონდის მმართველი მოქმედებს საინვესტიციო მანდატით გათვალისწინებული პარამეტრების ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ ფონდის მმართველს გააჩნია გადაწყვეტილებების მიღების უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში ფონდის რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს: ინვესტორებს არ გააჩნიათ რეალური უფლებები, რომლებიც გავლენას იქონიებდა ფონდის მმართველის გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებაზე. ფონდის მმართველი ჰონორარს იღებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან და ამავე დროს, მას ფონდში ჩადებული აქვს პროპორციული ინვესტიცია. ანაზღაურება და ფონდში განხორციელებული ინვესტიციები ფონდის მმართველს უქვემდებარებს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, თუმცა, ამგვარი რისკების სიდიდე იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ ამის საფუძველზე ფონდის მმართველი მიჩნეულიყო მარწმუნებლად. ამ მაგალითში ფონდის მმართველის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფონდიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, შეზღუდული პარამეტრების ფარგლებში მისი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების გათვალისწინებით, იმის მიმანიშნებელია, რომ ფონდის მმართველი არის რწმუნებული. ამგვარად, ფონდის მმართველი დაასკვნის, რომ ის არ აკონტროლებს ფონდს.

## მაგალითი 42

გადაწყვეტილების მიმღები აფუძნებს, ბაზარზე რეკლამას უკეთებს და მართავს ფონდს, რომელიც საინვესტიციო შესაძლებლობებს აძლევს ინვესტორებს. გადაწყვეტილების მიმღებმა (ფონდის მმართველი) გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს ყველა ინვესტორის ინტერესების სასარგებლოდ და ფონდის მართვის შეთანხმებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ფონდის მმართველს თავისუფალი მოქმედების ფართო უფლებები აქვს მინიჭებული გადაწყვეტილებების მიღების საკითხში. ფონდის მმართველი გაწეული მომსახურებისთვის ანაზღაურებას იღებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით, რომელიც ტოლია ფონდის მიერ მართული აქტივების 1%-ის და ფონდის მთლიანი ნამეტის 20%-ის, თუ მიღწეული იქნება მოგების წინასწარ დადგენილი დონე. ფონდის მმართველის ანაზღაურება შესაბამისობაშია მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან.

მართალია, ფონდის მმართველმა გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს ყველა ინვესტორის ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ მას გააჩნია გადაწყვეტილების მიღების საკითხში ფართო თავისუფალი მოქმედების უფლებამოსილება, ფონდის რელევანტური საქმიანობების მართვისთვის. ფონდის მმართველს უხდებიან ფიქსირებულ ანაზღაურებას და ასევე საზღაურს, რომელიც განისაზღვრება ფონდის საქმიანობის შედეგებზე დაყრდნობით, რაც მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან შესაბამისობაშია. გარდა ამისა, ამ ანაზღაურებას ფონდის მმართველის ინტერესები შესაბამისობაში მოჰყავს სხვა ინვესტორების ინტერესებთან, რათა გაიზარდოს ფონდის ღირებულება, ისე, რომ არ წარმოიქმნას რისკები, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა ფონდის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, რაც ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდება, როგორც ანაზღაურება, თუ ანალიზის დროს ფონდის მმართველი ცალ-ცალკე განიხილავდა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი იმის მიმანიშნებელია, რომ ფონდის მმართველი არის მარწმუნებელი.

ამ მაგალითში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები და ანალიზი ვრცელდება მომდევნო 42ა-42გ პუნქტებზე. თითოეული მაგალითი ცალკე განიხილება.

### **მაგალითი 42ა**

ფონდის მმართველს ასევე გააჩნია 2% ინვესტიცია ფონდში, რასაც მისი ინტერესები შესაბამისობაში მოჰყავს სხვა ინვესტორების ინტერესებთან. ფონდის მმართველს ფონდის ზარალის დაფინანსების საკითხში ვალდებულება ეკისრება მხოლოდ მისი ინვესტიციის, ანუ 2% ინვესტიციის ფარგლებში. ინვესტორებს შეუძლიათ ფონდის მმართველის გათავისუფლება თანამდებობიდან ხმის უბრალო უმრავლესობით, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

ფონდის მმართველის ინვესტიციის წილი, 2%, ზრდის მის რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან ისე, რომ არ წარმოქმნის ისეთ მნიშვნელოვან რისკებს, რომლებიც იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ ფონდის მმართველი არის მარწმუნებელი. სხვა ინვესტორების უფლებები, გაათავისუფლონ ფონდის მმართველი, მიიჩნევა დამცავ უფლებებად, რადგან მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. ამ მაგალითში მართალია, ფონდის მმართველს გააჩნია ფართო თავისუფალი მოქმედების უფლებამოსილება გადაწყვეტილებების მიღების საკითხში და ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია მისი წილიდან და ანაზღაურების სახით მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, მაგრამ ფონდის მმართველის რისკის ქვეშ მყოფი ანაზღაურების სიდიდე იმის მიმანიშნებელია, რომ ფონდის მმართველი არის რწმუნებული. ამგვარად, ფონდის მმართველი დაასკვნის, რომ ის არ აკონტროლებს ფონდს.

### **მაგალითი 42ბ**

ფონდის მმართველს გააჩნია არსებითზე მეტი პროპორციული ინვესტიციები ფონდში, მაგრამ ზარალის დაფინანსების საკითხში ვალდებულება ეკისრება მხოლოდ თავისი ინვესტიციის ფარგლებში. ინვესტორებს შეუძლიათ ფონდის მმართველის გათავისუფლება თანამდებობიდან ხმის უბრალო უმრავლესობით, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

ამ მაგალითში სხვა ინვესტორების უფლებები, გაათავისუფლონ

ფონდის მმართველი, მიიჩნევა დამცავ უფლებებად, რადგან მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. მართალია, ფონდის მმართველს უხდებიან ფიქსირებულ ანაზღაურებას და ასევე საზღაურს, რომელიც განისაზღვრება ფონდის საქმიანობის შედეგების მიხედვით, რაც შესაბამისობაშია მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან, მაგრამ ფონდის მმართველის ინვესტიციამ, მის ანაზღაურებასთან ერთად, შეიძლება წარმოქმნას რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან; ამასთან, რისკის ქვეშ მყოფი შემოსავლების სიდიდე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფონდის მმართველის მარწმუნებლობაზე მიანიშნებს. რაც უფრო მეტი ეკონომიკური ინტერესები გააჩნია ფონდის მმართველს ფონდთან მიმართებით და რაც უფრო მაღალია ამგვარ ინტერესებთან დაკავშირებული ცვალებადობის ხარისხი (მისი ანაზღაურებისა და სხვა ფორმით მონაწილეობის ერთობლივად განხილვისას), ფონდის მმართველმა მით უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ანალიზის დროს ამ ეკონომიკურ ინტერესებს და უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ ფონდის მმართველი იქნება მარწმუნებელი.

მაგალითად, განიხილავს რა თავის ანაზღაურებას და სხვა ფაქტორებს, ფონდის მმართველმა შეიძლება თავისი ინვესტიციები, 20%-ის ოდენობის, საკმარისად მიიჩნიოს იმის შესახებ დასკვნის გამოსატანად, რომ ის აკონტროლებს ფონდს. თუმცა, სხვა გარემოებებში (ანუ, იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურება, ან სხვა ფაქტორები განსხვავებული იქნებოდა), კონტროლი შეიძლება წარმოქმნილიყო სხვა დონის ინვესტიციებიდან.

#### **მაგალითი 42გ**

ფონდის მმართველს გააჩნია 20% პროპორციული ინვესტიცია ფონდში, მაგრამ ზარალის დაფინანსების საკითხში ვალდებულება ეკისრება მხოლოდ თავისი ინვესტიციის, 20%-იანი წილის ფარგლებში. ფონდში შექმნილია დირექტორთა საბჭო, რომლის ყველა წევრი დამოუკიდებელია ფონდის მმართველთან მიმართებით და დანიშნულები არიან სხვა ინვესტორების მიერ. საბჭო ფონდის მმართველს ნიშნავს



ყოველწლიურად. თუ საბჭო გადაწყვეტს, რომ ფონდის მმართველს არ უნდა განუახლოს შრომითი ხელშეკრულება, მომსახურება, რომელსაც ფონდს უწევდა ფონდის მმართველი, შეიძლება შეასრულოს ამ დარგში მომუშავე სხვა მმართველებმა.

მართალია, ფონდის მმართველს უხდინან ფიქსირებულ ანაზღაურებასა და საზღაურს, რომელიც განისაზღვრება ფონდის საქმიანობის შედეგებზე დაყრდნობით, რაც მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან შესაბამისობაშია, მაგრამ ფონდის მმართველის ინვესტიციის 20%-იანი წილი მის ანაზღაურებასთან ერთად წარმოქმნის ფონდის მმართველის დაქვემდებარებას რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის საქმიანობიდან მისაღები სარგებლის ცვალებად ხასიათთან. ამასთან, რისკის ქვეშ მყოფი შემოსავლების სიდიდე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფონდის მმართველის მარწმუნებლობაზე მიანიშნებს. თუმცა, ინვესტორებს გააჩნიათ რეალური უფლებები, თანამდებობიდან გაათავისუფლონ ფონდის მმართველი: დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს მექანიზმს იმის გარანტირებისთვის, რომ ინვესტორებს შეეძლოთ ფონდის მმართველის გათავისუფლება, თუ ამის გაკეთებას გადაწყვეტენ.

ამ მაგალითში ფონდის მმართველი ანალიზის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებას. ამგვარად, მართალია, ფონდის მმართველს თავისუფალი მოქმედების ფართო უფლებები გააჩნია და ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის სარგებლის ცვალებად ხასიათთან, რომელსაც იღებს ანაზღაურების ფორმით და ასევე ინვესტიციებიდან, მაგრამ სხვა ინვესტორების რეალური უფლებები იმის მიმანიშნებელია, რომ ფონდის მმართველი არის რწმუნებული. ამგვარად, ფონდის მმართველი დაასკვნის, რომ ის არ აკონტროლებს ფონდს.

### **მაგალითი 43**

ერთეული A შექმნილია აქტივებით უზრუნველყოფილი ფიქსირებულგანაკვეთიანი ფასიანი ქაღალდების პორტფელის შესაძენად, რომელიც ფინანსდება ფიქსირებულგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტებითა და წილობრივი ინსტრუმენტებით.

წილობრივი ინსტრუმენტები განკუთვნილია სავალო ინსტრუმენტების მფლობელთა (ვალის ინვესტორები) დასაცავად საწყისი ზარალისგან და A ერთეულის ნარჩენი ღირებულების მისაღებად. ამ გარიგების შესახებ პოტენციურ ვალის ინვესტორებს ინფორმაცია მიეწოდება, რომ ეს არის ინვესტიცია აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების პორტფელში, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია პორტფელის აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გადაუხდელობისა და პორტფელის მართვასთან დაკავშირებულ საპროცენტო განაკვეთის რისკებთან. პორტფელის ფორმირების მომენტში წილობრივი ინსტრუმენტები შეადგენს შეძენილი აქტივების ღირებულების 10%-ს. მიმოქცევაში მყოფი აქტივების პორტფელს მართავს გადაწყვეტილების მიმღები (აქტივების მმართველი), საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების მეშვეობით იმ პარამეტრების ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრულია A ერთეულის პროსპექტში. ამ მომსახურებისთვის აქტივების მმართველი ანაზღაურებას იღებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით (სამართავი აქტივების ღირებულების 1%-ს) და ასევე საზღაურს, რომელიც განისაზღვრება საქმიანობის შედეგების მიხედვით (ნამეტის 10%), თუ ერთეულის A მოგება გადააჭარბებს გარკვეულ დონეს. აღნიშნული საზღაური შესაბამისობაშია აქტივების მმართველის მიერ გაწეულ მომსახურებასთან. აქტივების მმართველს ეკუთვნის A ერთეულის წილობრივი ინსტრუმენტების (კაპიტალის) 35%. დანარჩენი 65% და ყველა სავალო ინსტრუმენტი ეკუთვნის მრავალრიცხოვან, ძალიან დაქსაქსულ ინვესტორებს, რომლებიც წარმოადგენენ დამოუკიდებელ (არადაკავშირებულ) მესამე მხარეებს. აქტივების მმართველის თანამდებობიდან გათავისუფლება, მიზეზების აუხსნელად, შესაძლებელია სხვა ინვესტორების უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

აქტივების მმართველს უხდიან ფიქსირებულ ანაზღაურებას და ასევე საზღაურს, რომელიც განისაზღვრება ფონდის საქმიანობის შედეგებზე დაყრდნობით, რაც მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან შესაბამისობაშია. ამ ანაზღაურებას აქტივების მმართველის ინტერესები შესაბამისობაში მოჰყავს სხვა ინვესტორების ინტერესებთან, რაც მდგომარეობს ფონდის ღირებულების გაზრდაში. აქტივების მმართველი ექვემდებარება

რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სარგებლის ცვალებად ხასიათთან, რომელსაც იღებს ფონდის საქმიანობიდან (რადგან ის არის კაპიტალის 35% წილის მფლობელი) და ასევე მომსახურების ანაზღაურებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ აქტივების მმართველი მოქმედებს A ერთეულის პროსპექტში განსაზღვრული პარამეტრების ფარგლებში, მას მიმდინარე მომენტში გააჩნია ისეთი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ერთეულის A შემოსავლებზე: სხვა ინვესტორების გათავისუფლების უფლებებს ანალიზში მცირე მნიშვნელობა (წონა) ენიჭება, რადგან ამ უფლებების მფლობელები არიან მრავალრიცხოვანი ძალიან დაქსაქსული ინვესტორები. ამ მაგალითში აქტივების მმართველმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თავის დაქვემდებარებას რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის სარგებლის ცვალებად ხასიათთან, რომელსაც იღებს წილობრივ ინსტრუმენტებში (კაპიტალში) ფლობილი წილიდან, რომელსაც სუბორდინირებული მდგომარეობა უკავია სავალო ინსტრუმენტებთან მიმართებით. კაპიტალის 35%-იანი წილი წარმოქმნის სუბორდინირებულ რისკს, რომელიც დაკავშირებულია A ერთეულის ზარალთან და ასევე უფლებებს შემოსავლებზე, რომელთა სიდიდე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმაზე მიანიშნებს, რომ აქტივების მმართველი არის მარწმუნებელი. ამგვარად, აქტივების მმართველი დაასკვნის, რომ ის აკონტროლებს A ერთეულს.

#### **მაგალითი 44**

გადაწყვეტილების მიმღები (სპონსორი) აფინანსებს მრავალგამყიდველიანი კომერციული ქაღალდების ემიტენტ სპეციალიზებულ სუბიექტს, რომელიც უშვებს მოკლევადიან სავალო ინსტრუმენტებს, არადაკავშირებული (დამოუკიდებელი) მესამე მხარე ინვესტორებისთვის. ამ გარიგების რეკლამაში პოტენციურ ინვესტორებს ეცნობათ, რომ ეს არის ინვესტიცია მაღალი რეიტინგის მქონე საშუალოვადიან აქტივებში, რომელსაც გააჩნია მინიმალური საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია პორტფელის აქტივების

ემიტენტების მხრიდან ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობასთან. მრავალი ცედენტი ყიდის მაღალი ხარისხის საშუალოვადიან აქტივების პორტფელს ამ საშუამავლო სუბიექტზე. თითოეული ცედენტი ემსახურება აქტივების იმ პორტფელს, რომელსაც ის მიჰყიდის საშუამავლო სუბიექტს და, ამავე დროს, საბაზრო განაკვეთებზე დაფუძნებული მომსახურების საზღაურის გადაუხდელობის შემთხვევაში, მართავს დებიტორულ დავალიანებებს.

გარდა ამისა, თითოეული ცედენტი თავისი აქტივების პორტფელისთვის უზრუნველყოფს საკრედიტო დანაკარგებით განპირობებული პირველი ზარალის დაცვას, საშუამავლო სუბიექტისთვის გადაცემული აქტივების ჭარბი უზრუნველყოფის მეშვეობით. სპონსორი ადგენს საშუამავლო სუბიექტის პირობებს და მართავს მის ოპერაციებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრული საზღაურის სანაცვლოდ. ეს საზღაური შესაბამისობაშია გაწეულ მომსახურებასთან. სპონსორი ამტკიცებს იმ გამყიდველებს, რომლებსაც საშუამავლო სუბიექტისთვის აქტივების მიყიდვის უფლება ეძლევათ, ამტკიცებს აქტივებს, რომლებიც უნდა შეისყიდოს საშუამავლო სუბიექტმა და გადაწყვეტილებებს იღებს საშუამავლო სუბიექტის დაფინანსების შესახებ. სპონსორმა უნდა იმოქმედოს ყველა ინვესტორის ინტერესების გათვალისწინებით.

სპონსორს გააჩნია უფლება საშუამავლო სუბიექტის ნებისმიერ ნარჩენ შემოსავალზე და ასევე ის უწევს საშუამავლო სუბიექტს საკრედიტო რეიტინგის ამაღლებისა და ლიკვიდობის უზრუნველყოფის მომსახურებას. სპონსორის მიერ საკრედიტო რეიტინგის ამაღლების მიზნით გაწეული მომსახურება ანეიტრალურად საშუამავლო სუბიექტის ყველა აქტივის თითქმის 5%-მდე ზარალს, მას შემდეგ, რაც ზარალს შთანთქავენ ცედენტები. ლიკვიდობის უზრუნველყოფის მომსახურების გაწევა არ ხდება დაუფარავ აქტივებთან მიმართებით. ინვესტორებს არ გააჩნიათ რეალური უფლებები, რომლებიც გავლენას იქონიებდა სპონსორის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებაზე.

მართალია, სპონსორს მომსახურებისთვის საზღაურს უხდიან საბაზრო განაკვეთების მიხედვით, რაც შესაბამისობაშია მის მიერ

გაწეულ მომსახურებასთან, მაგრამ სპონსორი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია საშუამავლო სუბიექტის საქმიანობიდან მისაღები სარგებლის ცვალებად ხასიათთან, რასაც განაპირობებს მისი უფლებები საშუამავლო სუბიექტის ნებისმიერ ნაჩვენებ შემოსავალზე და საკრედიტო რეიტინგის ამაღლებისა და ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად გაწეული მომსახურება (ე.ი. საშუამავლო სუბიექტი ექვემდებარება ლიკვიდობის რისკს, რადგან მოკლევადიან სავალო ინსტრუმენტებს იყენებს საშუალოვადიანი აქტივების დასაფინანსებლად).

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ცედენტს გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლებები, რომლებიც გავლენას ახდენს საშუამავლო სუბიექტის აქტივების ღირებულებაზე, სპონსორს გააჩნია მოქმედებების ფართო თავისუფლება გადაწყვეტილებების მიღების საკითხში, რაც მას მიმდინარე მომენტში ისეთი საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საშუამავლო სუბიექტის სარგებელზე (ე.ი. სპონსორმა დაადგინა საშუამავლო სუბიექტის პირობები, მას გააჩნია გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქტივებთან დაკავშირებით (ამტკიცებს შესაძენ აქტივებს და ამ აქტივების ცედენტებს)). საშუამავლო სუბიექტის ნაჩვენებ შემოსავლებზე უფლება და მისთვის საკრედიტო რეიტინგის ამაღლებისა და ლიკვიდობის მხარდაჭერის მიზნით მომსახურების გაწევა, სპონსორს დაქვემდებარებულს ხდის რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია საშუამავლო სუბიექტის საქმიანობიდან მისაღები სარგებლის ცვალებად ხასიათთან და ეს რისკები განსხვავდება სხვა ინვესტორების რისკებისგან. მაშასადამე, ზემოაღნიშნული რისკები იმის მიმანიშნებელია, რომ სპონსორი არის მარწმუნებელი და, ამდენად, სპონსორი დაასკვნის, რომ ის აკონტროლებს საშუამავლო სუბიექტს. სპონსორის ვალდებულება, იმოქმედოს ყველა ინვესტორის ინტერესების სასარგებლოდ, ხელს არ უშლის იმას, რომ სპონსორი მიჩნეული იყოს მარწმუნებლად.

სააღრიცხვო მოთხოვნები: კონტროლის დაკარგვა (პუნქტები 52–55ა)

სმ13ა. ქვემოთ მოცემულ მაგალითში ნაჩვენებია ისეთ კონტროლირებულ ერთეულში წილის გაყიდვის აღრიცხვა, რომელიც ოპერაციას არ შეიცავს.

#### მაგალითი 44ა

მაკონტროლებელ ერთეულს 100 პროცენტის წილი აქვს კონტროლირებულ ერთეულში, რომელიც ოპერაციას არ შეიცავს. მაკონტროლებელი ერთეული კონტროლირებულ ერთეულში თავისი წილის 70 პროცენტს ყიდის მეკავშირე ერთეულზე, რომელშიც მისი წილი 20 პროცენტია. ამ ოპერაციის შედეგად მაკონტროლებელი ერთეული კონტროლს კარგავს ამ კონტროლირებულ ერთეულზე. შვილობილი ერთეულის წმინდა აქტივების ღირებულებაა ფ.ე.100, ხოლო გაყიდული წილის საბალანსო ღირებულებაა ფ.ე.70 (ფ.ე.70=ფ.ე.100 × 70%). მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებაა ფ.ე.210, რაც ასევე გაყიდული წილის სამართლიანი ღირებულებაა. ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში შენარჩუნებული ინვესტიციაა მეკავშირე ერთეული, რომელიც აღრიცხება წილობრივი მეთოდით და მისი სამართლიანი ღირებულებაა ფ.ე.90. პუნქტების 54-55 შესაბამისად, პუნქტით 55ა მოთხოვნილ ანულირებამდე, განსაზღვრული შემოსულობა არის ფ.ე. 200 (ფ.ე.200 = ფ.ე.210 + ფ.ე.90 – ფ.ე.100). ეს შემოსულობა ორი ნაწილისგან შედგება:

- a) შემოსულობა (ფ.ე.140), რომელიც წარმოიქმნება კონტროლირებულ ერთეულში წილის 70 პროცენტის მეკავშირე ერთეულზე მიყიდვიდან. ეს შემოსულობა არის სხვაობა მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებასა (ფ.ე.210) და გაყიდული წილის სამართლიან ღირებულებას (ფ.ე.70) შორის. პუნქტის 55A შესაბამისად მაკონტროლებელი ერთეული თავის ნამეტში ან დეფიციტში აღიარებს არსებულ მეკავშირე ერთეულში დაუკავშირებელი ინვესტორების წილებზე მიკუთვნებული შემოსულობას. ეს გახლავთ ამ შემოსულობის 80 პროცენტი, ანუ ფ.ე.112 (ფ.ე.112 = ფ.ე.140 × 80%). შემოსულობის დარჩენილი 20 პროცენტი (ფ.ე.28 = ფ.ე.140 × 20%) ანულირდება არსებულ მეკავშირე ერთეულში დარჩენილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულების საპირისპიროდ.

b) შემოსულობა (ფ.ე.60) წარმოიქმნება უშუალოდ ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებით ხელახლა შეფასებისგან. ეს შემოსულობა არის სხვაობა ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიან ღირებულებასა (ფ.ე.90) და კონტროლირებულ ერთეულის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების 30 პროცენტს შორის (ფ.ე.30 = ფ.ე.100 × 30%). პუნქტის 55A შესაბამისად მაკონტროლებელი ერთეული თავის ნამეტში ან დეფიციტში აღიარებს ახალ მეკავშირე ერთეულში დაუკავშირებელი ინვესტორების წილებზე მიკუთვნებულ შემოსულობას.

ეს არის შემოსულობის 56 პროცენტი ( $70\% \times 80\%$ ), ანუ ფ.ე.34 (ფ.ე.34 = ფ.ე.60 × 56%). შემოსულობის დარჩენილი 44 პროცენტი ფ.ე.26 (ფ.ე.26 = ფ.ე.60 × 44%) ანულირდება ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში შენარჩუნებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულების საპირისპიროდ.

#### საინვესტიციო ერთეულები (პუნქტები მგ88–მგ106)

სმ14. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია, ერთეული არის თუ არა საინვესტიციო ერთეული წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის.

#### მაგალითი 45

ერთეული, *ლიმითიდ ფართნერშიფი*, 20X1 წელს შეიქმნა შეზღუდული ამხანაგობის სახით, 10-წლიანი ვადით. შეთავაზების მემორანდუმის მიხედვით *ლიმითიდ ფართნერშიფის* მიზანია სწრაფი ზრდის პოტენციალის მქონე ერთეულებში ინვესტირება, მათი მომსახურების ვადის განმავლობაში კაპიტალის ზრდის მიზნით. ერთეული GP (*ლიმითიდ ფართნერშიფის* გენერალური პარტნიორი) კაპიტალის 1 პროცენტს უზრუნველყოფს *ლიმითიდ ფართნერშიფისთვის* და პასუხისმგებელია პარტნიორობისთვის

შესაფერისი ინვესტიციების მოძიებაზე. დაახლოებით 75 შეზღუდული პარტნიორი, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან GP ერთეულთან, უზრუნველყოფენ ამ ამხანაგობის კაპიტალის 99 პროცენტს.

ლიმითიდ ფართენრშიფი საქმიანობებში ინვესტირებას 20X1 წელს იწყებს. თუმცა, 20X1 წლის ბოლოს შესაფერისი ინვესტიციები გამოვლენილი არ არის. 20X2 წელს ლიმითიდ ფართენრშიფმა მაკონტროლებელი წილი შეიძინა ერთ ერთეულში, ABC კორპორაციაში. ლიმითიდ ფართენრშიფმა ვერ შეძლო სხვა საინვესტიციო გარიგების განხორციელება 20X3 წლამდე, როდესაც მან სააქციო კაპიტალი შეიძინა ხუთ განსხვავებულ საოპერაციო კომპანიაში. გარდა ამ სააქციო წილის შემენისა, ლიმითიდ ფართენრშიფი სხვა საქმიანობებს არ ახორციელებს. ლიმითიდ ფართენრშიფი თავის ინვესტიციებს სამართლიანი ღირებულების საფუძველზე აფასებს და ეს ინფორმაცია მიწოდება ერთეულს GP და გარე ინვესტორებს.

ლიმითიდ ფართენრშიფს თითოეულ ინვესტირებულ ერთეულში თავისი წილების ამხანაგობის დადგენილი 10-წლიანი ვადის განმავლობაში გასვლის გეგმები აქვს. მსგავსი გასვლა მოიცავს პირდაპირ გაყიდვას ფულადი სახსრების სანაცვლოდ, ლიკვიდური წილობრივი ფასიანი ქაღალდების განაწილებას ინვესტორებზე ინვესტირებული ერთეულების ფასიანი ქაღალდების წარმატებული საჯარო გაყიდვის შემდეგ და ინვესტიციების გაყიდვას საჯაროდ ან სხვა დაუკავშირებელ ერთეულებზე.

მოცემული ინფორმაციის მიხედვით ლიმითიდ ფართენრშიფი აკმაყოფილებს საინვესტიციო ერთეულის განმარტებას 20X1 წელს მისი შექმნიდან 20X3 წლის 31 დეკემბრამდე, რადგან არსებობს შემდეგი პირობები:

ა) ლიმითიდ ფართენრშიფმა ფონდები მოიპოვა შეზღუდული პარტნიორებისგან და აღნიშნულ შეზღუდულ პარტნიორებს უწევს ინვესტიციების მართვის მომსახურებას;

ბ) ლიმითიდ ფართენრშიფის ერთადერთი საქმიანობაა



წილობრივი კაპიტალის შექმნა საოპერაციო კომპანიებში ამ ინვესტიციების მომსახურების ვადის განმავლობაში კაპიტალის ზრდის რეალიზების მიზნით. *ლიმიტიდ ფართერშიფმა* თავისი ინვესტიციებისათვის, რომელთაგან ყველა კაპიტალში ინვესტიციებია, განსაზღვრა გასვლის სტრატეგია და მისი დოკუმენტირება განახორციელა; და

ა) *ლიმიტიდ ფართერშიფი* თავის ინვესტიციებს სამართლიანი ღირებულების საფუძველზე აფასებს და თავის ფინანსურ ინფორმაციას წარუდგენს თავის ინვესტორებს.

ამასთან, *ლიმიტიდ ფართერშიფმა* გამოავლინა შემდეგი თვისებები, რომლებიც შესაფერისია იმის შეფასებისთვის, ის აკმაყოფილებს თუ არა საინვესტიციო ერთეულის განმარტებას:

ა) *ლიმიტიდ ფართერშიფი* დაფინანსებულია მრავალი ინვესტორის მიერ; და

ბ) *ლიმიტიდ ფართერშიფში* საკუთრება წარმოდგენილია კაპიტალის შენატანის მეშვეობით შექმნილი ამხანაგობის წილების ერთეულებით.

*ლიმიტიდ ფართერშიფი* ერთზე მეტ ინვესტიციას არ ფლობს ამ პერიოდის განმავლობაში. თუმცა, აღნიშნულის მიზეზია ის, რომ ის შექმნის სტადიაზე იყო და გამოვლენილი არ ჰქონდა შესაფერისი საინვესტიციო შესაძლებლობები.

#### **მაგალითი 46**

*ჰაი ტექნოლოჯი* შეიქმნა *ტექნოლოჯი კორპორეიშენის* მიერ, კაპიტალის გაზრდის მიზნით დამწყებ ტექნოლოგიურ კომპანიებში ინვესტირებისთვის. *ტექნოლოჯი კორპორეიშენი* 70 პროცენტს ფლობს *ჰაი ტექნოლოჯი* ფონდში და აკონტროლებს *ჰაი ტექნოლოჯი* ფონდს; *ჰაი ტექნოლოჯი* ფონდის დანარჩენი 30 პროცენტიანი საკუთრების წილის მფლობელია 10 ინვესტორი. *ტექნოლოჯი კორპორეიშენი* ფლობს ოფციონებს *ჰაი ტექნოლოჯის* მიერ ფლობილი ინვესტიციების მათი სამართლიანი ღირებულებით შესაძენად, რომლებიც გამოყენებულ იქნება, თუ ინვესტირებული ერთეულების მიერ

ტექნოლოგიის შექმნა სარგებელს მოუტანს *ტექნოლოჯი კორპორეიშენის* ოპერაციებს. ინვესტიციების გასვლის გეგმები არ შეუდგენია ჰაი ტექნოლოჯი ფონდს. *ჰაი ტექნოლოჯი* ფონდს მართავს ინვესტიციების კონსულტანტი, რომელიც *ჰაი ტექნოლოჯი* ფონდის ინვესტორებისთვის რწმუნებულის სახით მოქმედებს.

მართალია, *ჰაი ტექნოლოჯი* ფონდის მიზანია კაპიტალის გაზრდის მიზნით ინვესტირება და ის ინვესტიციების მართვის მომსახურებას უწევს თავის ინვესტორებს, მაგრამ *ჰაი ტექნოლოჯი* ფონდი საინვესტიციო ერთეული არ არის შემდეგი შეთანხმებებისა და გარემოებების გამო:

ა) *ტექნოლოჯი კორპორეიშენი*, ჰაი ტექნოლოჯი ფონდის მაკონტროლებელი ერთეული, ფლობს ოფციონებს ჰაი ტექნოლოჯი ფონდის მიერ ფლობილ ინვესტიციებში ინვესტიციების შესაძენად, თუ ამ ერთეულების მიერ შექმნილი აქტივები სარგებელს მოუტანენ *ტექნოლოჯი კორპორეიშენის* ოპერაციებს. ეს წარმოქმნის სარგებელს, კაპიტალის გაზრდის ან საინვესტიციო შემოსავლის დამატებით; და

ბ) *ჰაი ტექნოლოჯი* ფონდის საინვესტიციო გეგმები არ მოიცავს თავისი ინვესტიციების, რომლებიც კაპიტალში ინვესტიციებია, გასვლის სტრატეგიას. *ტექნოლოჯი კორპორეიშენის* მიერ ფლობილ ოფციონებს *ჰაი ტექნოლოჯი* ფონდი არ აკონტროლებს და ისინი არ წარმოადგენენ გასვლის სტრატეგიას.

#### **მაგალითი 47**

*რილ ესთეით ენთითი* შეიქმნა საცალო, საოფისე და სხვა კომერციული უძრავი ქონების შექმნის, ფლობისა და ოპერირებისთვის. საზოგადოდ, *რილ ესთეით ენთითი* თავის ქონებას ფლობს სრულად ფლობილ კონტროლირებულ ერთეულებში, რომლებსაც არა აქვთ სხვა არსებითი აქტივები ან ვალდებულებები, გარდა დაკავშირებული საინვესტიციო ქონების დაფინანსებისთვის გამოყენებული ნასესხები სახსრებისა. *რილ ესთეით ენთითი* და თითოეული მისი კონტროლირებული ერთეული თავის საინვესტიციო ქონებას

სამართლიანი ღირებულებით ასახავს სსბასს 16-ის, *საინვესტიციო ქონება*, შესაბამისად. რილ ესთეით ენთითის არა აქვს განსაზღვრული ქონებაში თავისი ინვესტიციების გასვლის ვადები, მაგრამ სამართლიან ღირებულებას იყენებს, რათა დაეხმაროს გასვლის ოპტიმალური დროის განსაზღვრაში. მართალია, სამართლიანი ღირებულება საქმიანობის შედეგების ერთი მაჩვენებელია, მაგრამ რილ ესთეით ენთითი და მისი ინვესტორები სხვა შეფასებებსაც იყენებენ, მათ შორის ინფორმაციას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, საიჯარო შემოსავლისა და ხარჯების შესახებ, რათა შეაფასონ საქმიანობის შედეგები და მიიღონ საინვესტიციო გადაწყვეტილებები. *რილ ესთეით ენთითის* ძირითადი ხელმძღვანელ პირების აზრით სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია ძირითადი მახასიათებელი კი არ არის თავიანთი ინვესტიციების შედეგების შეფასებისთვის, არამედ ის თანაბრად შესაბამისი საქმიანობის შედეგების ძირითადი მაჩვენებლების ერთი ნაწილია.

*რილ ესთეით ენთითი* ახორციელებს ინტენსიურ ქონებისა და აქტივების მართვის საქმიანობებს, მათ შორის, ქონების მოვლა-შენახვა, კაპიტალური დანახარჯები, რეკონსტრუქცია, მარკეტინგი და მოიჯარეების შერჩევა, რომელთაგან ზოგიერთს ის მესამე მხარეებს აძლევს შესასრულებლად. აღნიშნული მოიცავს განახლებისთვის ქონების შერჩევას, მშენებლობას და მომწოდებლებთან მოლაპარაკებებს დიზაინისა და სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად, მსგავსი ქონების მშენებლობისთვის. აღნიშნული დეველოპერული საქმიანობა რილ ესთეით ენთითის საქმიანობების განცალკევებულ არსებით ნაწილს წარმოადგენს.

რილ ესთეით ენთითი არ აკმაყოფილებს საინვესტიციო ერთეულის განმარტებას, რადგან:


- ა) *რილ ესთეით ენთითის* განცალკევებული არსებითი საქმიანობა აქვს, რომელიც მოიცავს თავისი ქონების პორტფელის აქტიურ მართვას, მათ შორის იჯარის თაობაზე მოლაპარაკებები, განახლებისა და დეველოპერული საქმიანობები, ასევე ქონების მარკეტინგი სარგებლის, დამატებით კაპიტალის ზრდისა და საინვესტიციო შემოსავლისა, ან ორივე მათგანის მისაღებად;

ბ) რილ ესთეით ენთითის საინვესტიციო გეგმები არ მოიცავს განსაზღვრულ გასვლის სტრატეგიებს თავისი ინვესტიციებისთვის. შესაბამისად, რილ ესთეით ენთითის გეგმა ქონებაში ამ ინვესტიციების განუსაზღვრელი ვადით ფლობა; და

გ) მართალია, რილ ესთეით ენთითი თავის საინვესტიციო ქონებას სამართლიანი ღირებულებით ასახავს სსბასს 16-ის შესაბამისად, მაგრამ სამართლიანი ღირებულება არ არის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ გამოიყენება თავიანთი ინვესტიციების შედეგების შესაფასებლად. საქმიანობის შედეგების სხვა მაჩვენებლები გამოიყენება საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად.

#### **მაგალითი 48**

ერთეული, მასტერ ფონდი, 20X1 წელს შეიქმნა 10-წლიანი ვადით. მასტერ ფონდის კაპიტალს ორი დაკავშირებული დონორი ფონდი ფლობს. ეს დონორი ფონდები შექმნილია, რათა ერთმანეთთან კავშირში დააკმაყოფილონ სამართლებრივი, მარეგულირებელი, საგადასახადო ან მსგავსი მოთხოვნები. დონორი კაპიტალიზდება 1 პროცენტი ინვესტიციით გენერალური პარტნიორისგან და 99 პროცენტი ინვესტიციით კაპიტალის ინვესტორებისგან, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან გენერალურ პარტნიორთან (არცერთი მხარე არ ფლობს მაკონტროლებელ ფინანსურ წილს).



მასტერ ფონდის მიზანია ინვესტიციების პორტფელის ფლობა კაპიტალის ზრდის წარმოქმნისა და საინვესტიციო შემოსავლისთვის (როგორცაა, მაგალითად, პროცენტი ან საიჯარო შემოსავალი). ინვესტორებისათვის მიწოდებული ინფორმაცია ინვესტიციის მიზნის შესახებ არის ის, რომ სტრუქტურის, მასტერ ფონდი-დონორი, ერთადერთი დანიშნულებაა საინვესტიციო შესაძლებლობების უზრუნველყოფა ინვესტორებისთვის ცალკე ბაზრის ნიშებში, მცირე და არალიკვიდურ აქტივებში, რომელთა ინდივიდუალურად გაყიდვა შეუძლებელია, დიდ ერთობლიობაში ინვესტირებისთვის. მასტერ ფონდმა გამოავლინა გასვლის სტრატეგია მის მიერ ფლობილი წილობრივი და არაფინანსური ინვესტიციებისთვის და ამ სტრატეგიის დოკუმენტირება განახორციელა. მასტერ ფონდი მოკლევადიანი და საშუალოვადიანი სავალო ინვესტიციების პორტფელს ფლობს, რომელთაგან ზოგიერთი დაფარვის ვადამდე იქნება ფლობილი, ზოგიერთი კი გაიყიდება, თუმცა, მასტერ ფონდს კონკრეტულად არ განუსაზღვრია, რომელი ინვესტიციები იქნება ფლობილი და რომელი გაიყიდება. მასტერ ფონდი ფაქტობრივად ყველა თავის ინვესტიციას, სავალო ინვესტიციების ჩათვლით, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე აფასებს. ამასთან, ინვესტორები პერიოდულ

ფინანსურ ინფორმაციას იღებენ, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, დონორი ფონდებისგან. საკუთრების წილი როგორც *მასტერ ფონდში*, ისე დონორ ფონდებში წარმოდგენილია წილის ერთეულებით.

თითოეული, *მასტერ ფონდი* და დონორი ფონდები, აკმაყოფილებს საინვესტიციო ერთეულის განმარტებას. შემდეგი პირობები არსებობს:

ა) ორივემ, *მასტერ ფონდმა* და დონორმა ფონდებმა მოიპოვეს ფონდები ინვესტორებისთვის ინვესტიციების მართვის მომსახურების გაწევის მიზნით;

ბ) სტრუქტურის, *მასტერ ფონდი-დონორი*, რომლის შესახებ ინფორმაცია პირდაპირ მიეწოდა დონორი ფონდის ინვესტორებს, მიზანია მხოლოდ კაპიტალის გაზრდისა და საინვესტიციო შემოსავლის მისაღებად ინვესტირება და *მასტერ ფონდმა* გამოავლინა პოტენციური გასვლის სტრატეგია თავისი წილობრივი და არაფინანსური ინვესტიციებისთვის და განახორციელა მისი დოკუმენტირება;

ა) მართალია, დონორ ფონდებს *მასტერ ფონდში* თავიანთი წილების გასვლის სტრატეგია არა აქვთ, მაგრამ მაინც შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ ამ დონორ ფონდებს აქვთ თავიანთი ინვესტიციების გასვლის სტრატეგია, რადგან *მასტერ ფონდი* შეიქმნა ამ დონორ ფონდებთან კავშირში და ინვესტიციებს ფლობს ამ დონორი ფონდების სახელით; და

ა) *მასტერ ფონდის* მიერ ფლობილი ინვესტიციები სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება და *მასტერ ფონდის* მიერ გაკეთებული ინვესტიციების შესახებ ინფორმაცია ინვესტორებს მიეწოდებათ სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, აღნიშნული დონორი ფონდების მეშვეობით.

*მასტერ ფონდი* და დონორი ფონდები შექმნილია, რათა

ერთმანეთთან კავშირში დააკმაყოფილონ სამართლებრივი, მარეგულირებელი, საგადასახადო ან მსგავსი მოთხოვნები. ერთად განხილვისას მათ შემდეგი მახასიათებლები აქვთ:

ა) დონორი ფონდები არაპირდაპირ ფლობენ ერთზე მეტ ინვესტიციას, რადგან მასტერ ფონდი ინვესტიციების პორტფელს ფლობს;

ბ) მართალია, *მასტერ ფონდი* მთლიანად ამ დონორი ფონდებით არის კაპიტალიზებული, მაგრამ დონორი ფონდები დაფინანსებულია მრავალი ინვესტორის მიერ, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან დონორ ფონდებთან (და გენერალურ პარტნიორთან); და

გ) დონორ ფონდებში საკუთრების წილი წარმოდგენილია კაპიტალის შენატანის მეშვეობით შემენილი წილობრივი ერთეულებით.

#### **მაგალითი 49**

სახელმწიფო კორპორაცია A შეიქმნა ძირითადი საქმიანობის - წილობრივი დაფინანსების უზრუნველყოფა თავისი არსებული და ახალი საწარმოებისთვის - განსახორციელებლად. მისი საინვესტიციო მიზანია კაპიტალის გაზრდისა და უკუგების მიღება. ყველა შექმნა აღნიშნულ საფუძველზე ხორციელდება. ამ კორპორაციის სტრატეგიაა ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების გაზრდა, გასვლისას შემოსულობის რეალიზებისთვის. ხელმძღვანელობა ინვესტიციების სამართლიან ღირებულებას აფასებს და რეგულარულად ახორციელებს მის მონიტორინგს. კორპორაცია ხშირად ახორციელებს ინვესტიციების გასვლას, როდესაც ისინი დაფარვის ვადის გარკვეულ დონეს მიაღწევენ, რათა უზრუნველყონ ფონდები მიმდინარე საინვესტიციო შესაძლებლობებისთვის. ნებისმიერი ნამეტი მთავრობას გადაეცემა დივიდენდების სახით.

ამასთან, კორპორაცია ინვესტიციებთან დაკავშირებულ მომსახურებას უწევს მთავრობას ფინანსურ კრიზისში მყოფი საწარმოებისთვის მთავრობის დახმარების პოლიტიკასთან დაკავშირებით. ის რწმუნებულის სახით მოქმედებს მთავრობის

ზოგიერთი ბიზნეს-ინიციატივის სქემის მართვისა და განხორციელებისას. კორპორაციას არა აქვს რაიმე ზარალი ან რისკები აღნიშნულ სქემებში მონაწილეობის შედეგად.

ეს კორპორაცია საინვესტიციო ერთეულია. ის აკმაყოფილებს საინვესტიციო ერთეულის განმარტების ყველა, სამივე ასპექტს.



## შედარება ფასს 10-თან

სსბასს 35, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ძირითადად ემყარება ფასს 10-ს, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (გამოცემული 2011 წელს, 2014 წლის 31 დეკემბრამდე ცვლილებების ჩათვლით). წინამდებარე სტანდარტის გამოცემის დროს სსბასსს-ს არ ჰქონდა განხილული საჯარო სექტორის ერთეულებისათვის ფასს 10-ში მითითებული გარკვეული ფასს-ების გამოყენებადობა. აღნიშნული სტანდარტებია:

- ფასს 5, *გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები*; და
- ფასს 9, *ფინანსური ინსტრუმენტები*.

სსბასს 35-სა და ფასს 10-ს შორის ძირითადი განსხვავებებია:

- სსბასს 35 გარკვეულ შემთხვევებში ფასს 10-გან განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებს. ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითებია შემდეგი ტერმინები: „ეკონომიკური ერთეული“, „მაკონტროლებელი ერთეული“ და „კონტროლირებული ერთეული“. ფასს 10-ში ეკვივალენტური ტერმინებია „ჯგუფი“, „შობელი საწარმო“ და „შვილობილი საწარმო“. ხშირ შემთხვევაში ფასს 10-ში გამოყენებული ტერმინები, „ინვესტორი“ და „ინვესტირებული“, ჩანაცვლებულია ტერმინებით „ერთეული“, „სხვა ერთეული“ ან „ერთეული, რომლის კონტროლის შეფასება ხორციელდება“. ტერმინები, „ინვესტორი“ და „ინვესტირებული“, შენარჩუნებულია საინვესტიციო ერთეულთან მიმართებით, რადგან ისინი შესაფერისია ამ კონტექსტში;
- სსბასს 35-ში განმარტებულია ტერმინი „სავალდებულო შეთანხმება“. ამ ტერმინს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ტერმინს „სახელშეკრულებო შეთანხმება“, რომელიც ფასს 10-ში გამოიყენება;
- ფასს 10-ში საინვესტიციო ერთეულის ტიპური მახასიათებლები საინვესტიციო ერთეულის განმარტებისგან ცალკეა გამოვლენილი. სსბასს 35-ში მსგავსი ტიპური მახასიათებლები გამოვლენილი არ არის. თუმცა, მასში განხილულია მისი ზოგიერთი მახასიათებელი საინვესტიციო ერთეულის განმარტების კონტექსტში;
- სსბასს 35-ში უფრო მეტი მითითებებია მოცემული არაფინანსური

სარგებლის შესახებ;

- სსბასს 35-ით არ მოითხოვება, რომ მაკონტროლებელმა ერთეულმა, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო ერთეული, განახორციელოს ყველა კონტროლირებული ერთეულის კონსოლიდირება. სანაცვლოდ, მოითხოვება, რომ მსგავსმა მაკონტროლებელმა ერთეულმა წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, სადაც (i) კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის ინვესტიციებს სამართლიანი ღირებულებით შეაფასებს ნამეტის ან დეფიციტის მეშვეობით, სსბასს 29-ის შესაბამისად და (ii) განახორციელებს სხვა აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების კონსოლიდირებას სსბასს 35-ის შესაბამისად;
- სსბასს 35-ში მოცემულია დამატებითი საილუსტრაციო მაგალითები, სადაც ასახულია საჯარო სექტორის კონტექსტი.